F 1172
1951.
(3)
1951 №4
1952 №5
1953 №6

მამული

კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა

ნოემბერი, 1951 წ. Buenos Aires, NOVIEMBRE, 1951. Nr. 4 რვეული მეოთხე

TARIFA REDUCIDA
Concesión Nr. 4564
Sacursal 31. (B)

MAMULI - "La Patria"
Revista GEORGIANA de HISTORIA y LITERATURA
Director Dr. VICTOR NOSADSE
Calle Blanco Encalada 5196, BUENOS AIRES.

Reg. Nac. de la Propiedad
Intelectual Nr. 352438





1951 წლის 11 ნოემბერს არგენტინის რესპუბლიკაში მოხდა საპრეზიდენტო არჩევნები. დიდი უმრავლესობა მიიღო პერონისტულმა პარტიამ. ეხლანდელი პრეზიდენტი გ. პერონი პრეზიდენტი იქნება მომავალ 1952 — 1958 წელთა განმავლობაშიც. პერონი და მისი მეუღლე ევა ყუთთან.

F 7014

RATIFICACION POPULAR

Modelo de elecciones, como la de 1946, es la que acaba de dar el triunfo al justicialismo. En todos los rincones del país, lo mismo que en sus ciudades, el acto popular ha sido intachable. En sus formas legales y en sus procedimientos de difusión y propaganda, las libertades fueron estrictamente respetadas y defendidas. También, como entonces, las fuerzas armadas se constituyeron en custodia del acto electoral. El fraude ha sido definitivamente desterrado de la política argentina y la democracia se ha consolidado.

Un nuevo factor hizo que estos comicios despertaran intenso interes: el voto femenino. Por primera vez, la mujer argentina intervino directamente en la política y su aporte es considerable. La mujer que siente en la vida del hogar reflejarse el bien o el mal de los gobiernos, tiene una conciencia práctica del voto. El justicialismo que vela por el trabajo de todos, que asegura la educación y la salud de sus hijos, que ha devuelto la dignidad y los derechos al ciudadano, le atrajo su adhesión. La intervención del sexo femenino en los asuntos públicos dará, sin duda, aspectos nuevos a la gestión política.

El pueblo, el pueblo afanoso que constituye la obra de la Nueva Argentina, dignificado y compensado ahora, no podía, faltar a la cita donde se jugaron los intereses y los destinos de la Nación. No podía sino confirmar con su voto sincero, los principios que han hecho a su patria grande, libre y soberana.

Los resultados del comicio hablan por si solo. El pueblo quiere la con.

(Continua en la pag. 2)

საქართველოს ეროვნული

RATIFICACION POPULAR

tinuidad de una obra comenzada con tanto vigor, pero que aún no ha terminado.

Si en esa realización magnífica hubieran contrastes, moras o contingencias, el pueblo está listo para remediarlas y seguir adelante.

El triunfo peronista lleva implicada la afirmación de su política, de su doctrina de amparo al trabajo, de cuidado y atención del hombre que lucha por el progreso nacional y la felicidad de los argentinos.

Hay que destacar en el acto electoral de ambos sexos. Así puede decirse que fué también un acto de cultura.

Por decisión inapelable, la Argentina marcha hacia el amplio porvenir que le ha señalado su lider. Acompañado del pueblo cumplirá lo prometido como lo ha hecho hasta el presente.

SIGNIFICACION DEL VOTO FEMENINO

La historia patria tendrá que consignar con caracteres indelebles la trayectoria que por segunda vez le ha tocado recorrer a la ciudadanía argentina al amparo de una libertad que no tiene precedentes en las luchas del civismo.

Es que los pueblos no se equivocan núnca cuando tienen abiertos los caminos de las urnas y cuando los guía el reconocimiento de virtudes ciudadanas que no se discuten porque enaltecen el espíritu y lo reconfortan frente a la obra realizada por un gobierno que en sólo cinco años logró transformar el panorama político, social y económico de la República.

პირველად არგენტინაში 11 ნოემბერს 1951 წ. დედაკაცებმა მიიღეს საარჩევნო უფლება. მათ ამ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

En las elecciones del 11 del mes en curso hay un hecho que debe ser destacado. La mujer argentina ha concurrido a los comicios por primera vez. Su presencia puso patriótico fervor en la contienda electoral y demostró que su conciencia política supo señalarle el único camino que debía seguir en salvaguardia del bienestar que están disfrutando los habitantes del país.

Disciplinada y serena, acudió presurosa a cumplir sus deberes de ciudadana, guiada por la política justicialista que instauró en el país el general Perón. Madres que llevaban en brazos a sus hijos, ancianas que en cualquiera otra ocasión hubiesen permanecido indiferentes, se las vió concurrir a las mesas receptoras de votos, desafiando la lluvia torrencial.

El acto electoral que acaba de efectuarse, al señalar un nuevo jalón en nuestras prácticas eleccionarias, tiene, además, la significación de un acto histórico, sin precedentes en la vida política nacional. Y tiene también esa significación porque la mujer argentina, siempre sensible a los llamados de la legalidad, supo volcarse entera en las urnas para que el justicialismo siga manteniendo en toda la República, y con miras a una grandeza mayor, la felicidad y el bienestar de que gozan todos sus habitantes.

Hoy y hace treinta años...

Hace más de 30 años, las naciones oprimidas, luchaban solas contra el comunismo.

Europa no oía, o mejor dicho no quería oir, las llamadas de socorro de estas naciones.

¿Que podía interesar a Europa, emborrachada por la reciente victoria, que en algún lugar bastante lejos, torturaban y mascaraban a los seres humanos?

Europa no tenía miedo de una invasión cualquiera, pero de tiempo en tiempo, después de una buena comida, mandaba a los comunistas una ''enérgica'' protesta y de nuevo se callaba con su conciencia tranquila.

Pero el cachorro comunista creció y se transformó en una enorme bestia.

Para él no bastaban más las victimas sacrificadas; necesitaba la sangre de otros pueblos.

Aprovechando las circunstancias favorables, con la colaboración de su ''intimo amigo'' Hitler, puso su pata sucia sobre Polonia, Lituania, Letonia y Estonia; entró en Bulgaria, Rumania, declaró su ''amor ardiente'' a Alemania Oriental y después del ''suicidio voluntario'' de Mazarik y ''muerte natural'' de Benes, adjudicóse Checoeslovaquia.

Recuerdo en Europa, los primeros tiempos, después de la segunda guerra, ¿quien podia permitirse la critica de este nuevo idolo? Europa y Estados Unidos estaban enamorados locamente de esta bestia.

¿Quién recuerda ahora de ''Koba'' Dyugachvili, del maldito ''José el Caín''?

Todo se olvidó, quedó solamente el genial Stalín.

Claro que el comunismo no podía o no quería estacionarse sobre estas conquistas y empezó, como de costumbre, a estirar sus patas fuera de sus fronteras, buscando nuevas víctimas, hasta que Estados Unidos y Europa comprendieron el peligro y osaron mandar al ''genial Stalin'' una ''tímida' protesta, pero como esa protesta no dió resultado, empezaron a armarse.

Los occidentales ya saben que el comunismo no es una imaginación de pueblos eprimidos y a su turno, llaman a todos a la lucha.

Ayer China Nacionalista y Tibet, hoy Indochina y Corea, mañana Irán etc.

Nosotros oímos esta llamada y enseguida contestamos; ''Estamos presentes''.

Vamos juntos a defender la vieja civilización contra la barbarie por que no hay duda, ambos no pueden vivir como buenos vecinos; o uno, u otro.

Pero, nosotros hemos tenido tantas desiluciones, hemos visto tantas picardias, que antes de entrar en la lucha, queremos determinar los derechos y posiciones de cada uno; que remos estar seguros que lucharemos hasta la destrucción completa del comunismo; que no pararemos en ''el paralelo 38'' y que celebraremos la victoria solamente después de la liberación de todas las naciones oprimidas.

TENGUIZ BARADERENSE.

ილია ჭავჭავაძე —

ერი და ისტორია

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისი ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილი ცხოვრების ამოფხვრა ხსოვნისაგან - მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირსველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავალისა. ეს სამი სხვა და სხვა ხანა, სხვა და სხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ — წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცხოვრება,, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისა, მის წმიდათა წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ასეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ რა იყო — ის დავიწყებული აქვს და , მაშასადამე, რა არის — არც ის იცის, არ იცის რა გაიმაგროს რისთვის ვაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მა-
მა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარ— ჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ - ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც-კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის.

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებ შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა, ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნლი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა — რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება -რა, ვიმეორებთ, იმიტომ რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს-ბრუ-დახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა

ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელსა და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის თავზედ სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ – ბუნებოვან კაცთა უწმიდაესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა ,ვითა საშვილიშვილო ანდერძი.

ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ – ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირში თუ ლხინში. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში....

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია წრთვნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულებდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს. და ეგრეც არის, საცა ერი ერობს

ილია ჭავჭავაძე

„ივერია“, 1888 წ. (დ. ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე).

საქართველო და ევროპა

ძველთაგანვე, საქართველო, — იყო იგი მთლიანი და ერთიანი სახელმწიფო, თუ დაქსაქსულლი სხვადა სხვა სამეფოთა და სამთავროთა ერთეულებად, — სრული თავისი წადილითა და ღონით ევროპისაკენ მიისწრაფვოდა. ამ ფრიად შესანიშნავი და ქართული ისტორიისათვის ჩინებული მოვლენის გამომწვევი ბიძგი იყო:

1. რასიული ნათესაობა, რომელსაც ქართველობა არა მარტო გრძნობითი მიდრეკილებით ააშკარავებდა, არამედ გონებრივადაც ცხად ჰყოფდა და ასაბუთებდა,

2. ევროპასთან სულიერი ერთობა, რომელიც აღმოცენებული იყო ჰელენისტურ (ანუ ძველი ქალთული გამოთქმა რომ ვიხმაროთ — ელინურ) საერთო საფუძველზე,

3. ევროპასთან ერთობილი კულტურის შემოქმედებითი სივრცე, ხელოვნების დარგში,

4. სარწმუნოების ერთიანობა — ქრისტიანობა —, რომელიც საქართველოს აზიისაგან მიჯნავდა და ევროპასთან მჭიდროდ აკავშირებდა,

5. საქართველოს თუ მის საძეფოთა თავდაცვის ალღო ევროპის შემწეობის ძიების ცდით.

ქართველობა თავის ნათესავობას ევროპასთან იმით ასაბუთებდა, რომ ესპანეთის იბერიელთა და კავკასიის ივერიელთა ერთ-წარმოშობას ჰგონებდა. ეს შეხედულება, რომლის თანახმად ქართველები და ესპანელი იბერები ერთი მოდგმისა არიან, დღესაც ცოცხალია და მას ბევრი მოჰხრე ჰყავს ამ ჟამადაც. საკვირველია მხოლოდ ის მოვლენა, რომ მეთერთმეტე საუკუნეში, ქართველი წმიდა იოანე, ბიზანტიაში ყოფნის დროს, განიზრახავდა და ემზადებოდა ესპანეთს გასამგზავრებლად, რათა ქართველთა და იბერელთა ნათესაობა გამოეკვლია და შეესწავლა.

ამ ჩვეულებრივი ნათესავურობის დასაბუთებათა გარეშეც, ევროპას თან სულიერი ერთობა მეღავნდება იმ მკვიდრი ისტორიული ურთიერთობით, ევროპას საქართველოსთან რომ ჰქონდა. მაშინდელი ევროპა, წარმოდგენილი რომის იმპერიის სახით, ქართველ ერთან მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო პომპეიუსის დროიდან (106 — 48 წ. ქრისტეს წინ), და შემდეგ, აღმოსავლეთში რომის შემცვლელ და მემკვიდრე ბიზანტიასთან, სანამ ეს უკანასკნელი თურქთა დარტყმის მსხვერპლი არ შეიქმნა (1453 წ.).

ქართული კულტურული და საერთოდ სულიერი ცხოვრება, დამყარებული ერთობილ ქრისტიანობაზე, ნიადაგ დაკავშირებულია საერთოდ ევროპასთან და კერძოდ ბიზანტიასთან, რომელიც იმ ჟამად ევროპიულობის მატარებელი იყო. ეს ურთიერთობა საქართველოსი ევროპასთან ხშირი და ძლიერი იყო მე-11 და მე-12 საუკუნეში, ოდეს გიორგი მესამეს, თამარ მეფის მამას (1156 — 1184), დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიასთან და იტალიასთან (რომის პაპა). და რომ ბიზანტიის ცხოვრებაში და პოლიტიკაში საქართველოს თავისი სიტყვა და საქმე ჰქონდა, ამის დასადასტურებელად საკმაოა გავიხსენოთ ქორწინებითი ნათესავობა ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა და თავადთა, თორნიკე ერისთავის მოღვაწეობა, თამარ მეფის მონაწილეობა ტრაპიზონის იმპერიის შექმნაში, ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების დროს (1204 — 1261). და სხვა. მაგრამ უფრო ნაკლებ ცნობილია თვით თამარ მეფის ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, ბიზანტიის გარდა, ბულგარეთ, ვენეცია, რომთან. თამარ მეფე (1184 — 1213) შეწირულებებს უგზავნიდა კუნძული კიპროსის და საფრანგეთის (ანუ ევროპიულ ქვეყნების) ეკლესიებს. ევროპასთან ურთიერთობა განაგრძო მისმა ვაჟმა ლაშა გიორგიმ და ასულმა რუსუდანმა. (იხილეთ ვ. ე.დ. ალლენ — ე ჰისტორი ოვ თი ჯორჯიან პიპლ. ლონდონ, 1932. გვ. 329).

ჯვაროსანთა ომების დროს ლაშა გიორგის (1213 — 1223) დესპანებმა ეგვიპტეს ქალაქ დამიეტაში, რომელიც მაშინ ჯვაროსანთ ეპყრათ, ევროპიელი ჯვაროსნები ინახულეს და მათ ქართველი მეფის დახმარება აღუთქვეს. და მართლაც, ლაშა გიორგი ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, მაგრამ მონღოლთა პირველმა შემოტევამ და თვით ლაშას მალე გარდაცვალებამ ეს გეგმა ჩაშალა. ლაშა გიორგის დაი და მემკვიდრე დედოფალი რუსუდანი (1223 — 1247) რომის პაპა ჰონორიუსს მესამეს სწერდა 1224 წ. — ჩემი ძმა გიორგ მზად იყო ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ და

ერუსალიმის გამოსახსნელად სალაშ-ქროდ წამოსულიყო, მაგრამ მონრო-ლთა შემოჭრამ და მერმე თვით ჩე-მი ძმის გარდაცვალებამ ხელი შეგ-ვიშალაო. რომის პაპამ მას უპასუხა; და ამ მიწერმოწერიდან დარჩენილია რამოდენიმე საბუთი, ხოლო პაპა გრიგოლ მეცხრეს წერილები კი და-კარგულია (იხილეთ მ. ტამარატი — ისტუარ დე ლ,ეგლიზ ჟეორჟიენ).

რომის პაპმა იოანე 22-ემ წერი-ლით მიმართა საქართველოს გამაერ-თიანებელ მეფეს, გიორგი ბრწყინ-ვალეს (1318 — 1346) და სთხოვა მას ქართული და რომაული ეკლე-სიის გაერთიანებისათვის ეღვაწა (1321 წ.), ხოლო შვიდი წლის შემ-დეგ იოანე ფლორენციელი თბილისს მიბრძანდა, ვით რომის კათოლიკუ-რი ეპისკოპოსი, და დაიწყო ქათოლი-კურ წიგნთა ქართულ ენაზე თარგ-მნა. 1330 წ. სოხუმში ბრძანდებოდა, ჩამომავლობით ინგლისელი, რომის ეპისკოპოსი პეტრე ჯერალდ, ხოლო ერისკაცთაგან — გერმანელები, იტ-ალიელები და ფრანგები თბილისს მისვლას ეჩქარებოდნენ.

1441 წ. ქართველი ეპისკოპოსი სა-ეკლესიო ყრილობას დაესწრო ფლო-რენციაში და 1461 წ. ქართველი დესპანები საფრანგეთის მეფე ლუი მე-11-ს კურთხევას ესწრებიან.

როდესაც თურქ - ოსმალებმა ბი-ზანტიის იმპერია გადააყირავეს და კონსტანტინოპოლი ისტამბულად გა-დააქციეს (1453 წ.), და შემდეგ ტრა-პიზონის იმპერიაც დაამხვეს (1463), ქართველობისათვის აშკარა გახდა ის საფრთხე, რომელიც მას იმ ჟამად სა-მხრეთ - დასავლეთიდან მოელოდა. ეს ისლამური საფრთხე ევროპასაც უშუალოდ აეტუზა ვენის კარების წინ. მაშინ რომის პაპა კალიქსტ მე-სამემ (1455 — 1458) საქართველო-ში გააგზავნა თავის ელჩი ლუდოვი-გო ბალონელი, რომელსაც ქართვე-ლები ჯვაროსანთა ომზე თურქთა წინააღმდეგ უნდა დაეთანხმებინა. პაპის ელჩს საუბარი ჰქონდა ქართ-ლის მეფე გიორგი მერვესთან (1445 — 1469) და სხვა კუთხეთა ხელის-უფალთანაც. ყველამ აღუთქვა და-ხმარება. დანაწილებული საქართვე-ლოს მმართველებთან მოლაპარაკე-ბის შემდეგ პაპის ელჩი ისევ რომს გაბრუნდა და პაპასთან მოხსენების შედეგად ისევ საქართველოს მიუბ-რუნდა. პაპა პიუს მეორემ (1458 — 1464) თავისი წინაპარის პოლიტიკა განაგრძო. პაპის ელჩი რომს წავიდა და თან ხუთი ელჩი წაასხა, მათ შორის ორი ქართველი — 1. ფარსადან, სამცხეს ელჩი და 2. ნიკოლოზ თბი-ლელი, გიორგი მერვეს წარმომად-გენელი. მათ პირველად ინახულეს გერმანიის კაიზერი ფრიდრიხ მესამე (1440 — 1493), შემდეგ ისინი ვენე-ციის (ვენეტიკი) სენატს ეწვივნენ, რომელმაც ეს უცხო ელჩები დიდი ზეიმით მიიღო და აქედან რომის პაპს ესტუმრნენ, რომელი მათ დი-დებულად შეხვდა (1460 წ.).

ელჩებმა პაპას წერილი მიართვეს, რომლიდანაც სჩანს, რომ ქართლის მეფე გიორგი მერვე, სამცხეს ათაბა-გი — ყვარყვარე, ბედია - სამეგრე-ლოს მთავარი, რაბია - აფხაზეთის მთავარი და სომხური და მუსულმა-ნური თავადებიც კი მზად იყვნენ თურქთა წინააღმდეგ გალაშქრები-სათვის. ქართლის მეფე გიორგი მე-რვე ევროპიელებს დარიგებას უთვ-ლის და პაპს სწერს — ევროპიელე-ბმა სვა საქმეებს თავი უნდა დაანე-ბონ და არავითარი მსხვერპლი არ უნდა დაზოგონ ამ წმიდა საქმისათ-ვის: სირიიდან და პალესტინ.დან თურქთა გასაძევებელადო. საუბ-რის დროს ქართველმა ელჩებმა პაპს განუცხადეს — აფხაზეთი, გურია, ოდიში და იმერეთი თურქთა მოწი-ნააღმდეგე კავშირის წევრნი, არიან მზად საბრძოლელადო. პაპმა თავის მხრივ იმედი გამოსთქვა, ამ ქვეყნებს მზად ყოფნა ბრძოლისათვის ევრო-პიელ სახელმწიფოებზე შთაბეჭდი-ლებას მოახდენსო. შემდეგ ქართველ-მა ელჩებმა ინახულეს საფრანგეთ-ის მეფე შარლ მეშვიდე და მისი სი-კვდილის შემდეგ ლუი მეთერთმეტე. (იხილეთ ა. სანდერს — კაუკაზიენ. მუენხენ, 1942. გვერდი 189).

მაგრამ ქართველების ბრალი არა-თუ ევროპიული კავშირი თურქთა წინააღმდეგ არ განხორციელდა, სა-ნამ თურქნი ვენაზე არ მივიდნენ — 1529 და 1683 წ.

ვენეციის ელჩნი იოსაფატ ბარბა-რო, აბროჯიო კონტარინი და კატე-რინო ცენო აღმოსავლეთში იმყო-ფებოდნენ და თურქთა წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებდნენ საქართვე-ლოში და სპარსეთში (1471 — 1474 წ.).

1496 წ. პაპა ალექსანდრე მეექვსე მადლობას უხდიდა ქართლის მეფეს, ალექსანდრე მესამეს იმ მიღოცვი-სათვის, რომელიც გამოწვეული იყო ესპანეთში არაბთა წინააღმდეგ გა-მარჯვებით (გრანადას აღება 1492 წელს, როდესაც უკანასკნელი სულ-თანი აბდალლაჰ ბოაბდილ დამარ-ცხდა და აფრიკას გადავიდა), ხოლო გამარჯვებულ დედოფალ იზაბელ-ლა კასტილიელს ქართლის მეფე კონსტანტინე მესამემ (1469 — 1505) ელჩი გაუგზავნა მილოცვითა და ძღვენითურთ (1495 წ.).

ეს იყო ხანა , როდესაც თვით ევ-როპა ქართველ მეფეებს მუსულმან-თურქთა წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. მერმე მდგომარეობა სავ-სებით შეიცვალა — ეხლა უკვე ქა-ართველი მეფენი ითხოვენ ევროპი-საგან დახმარებას, ოღონდ უშედე-გოდ. ამ მიმართულებით ქართლის მეფე ლუარსაბ პირველს მიწერმო-წერა ჰქონდა პაპა პავლე მესამეს-თან (1534 — 1549) და აგრეთვე სხვა ევროპიულ სახელმწიფოებთან, რომელთაგან იგი დახმარებას ითხოვ-და. ამაოდ.

სპარსეთის შაჰის აბასის სიკვდი-ლის შემდეგ (1628 ან 1629 წ.) თე-მურაზ პირველმა გააერთიანა ქართლ-კახეთის სამეფო, მაგრამ იგი კარ-გად ხედავდა, გარეშე შემწეობის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა სა-გარეო მტერთა და შინაური ფეო-დალთა ალაგმვა. ჯერ კიდევ ადრე, დახმარების მოპოვების მიზნით, მან ევროპაში გაგზავნა ელჩი ნიკოლოზ ერბაში, რომელსაც მოკავშირეთა მო-ძებნა დაავალა. ნიკოლოზ ერბაში ესაუბრა პაპა ურბან მერვეს 1625 წ., გერმანიის კაიზერს, ესპანეთის მე-ფეს, ფლორენციის მთავარს და პო-ლონეთის მეფეს. ყველგან, მათგან ქართველი ელჩი მუსულმანთა წი-ნააღმდეგ დახმარებას ითხოვდა.

ქართლის მეფე, ვახტანგ მეხუთე, შაჰ-ნავაზ (1658 — 1675) საკითხს უფრო ეკონომიური დაინტერესების საზრისით მიუდგა და ამ მხრივ სინჯა ევროპიულ სახელმწიფოებთან კავ-შირის გაბმა და მერმე შემწეობის მი ღება. იგი თბილისში მყოფ ევროპი-ელებს უმტკიცებდა — ინდოეთს სა-ვაჭროდ მიმავალ ევროპიელებს არ შეუძლიათ საქართველოზე უკეთესი გზა გამოსძებნონო...

ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე, სჯულმდებელი (1702 — 1724) თა-ვის მხრივ კიდევ შეეცადა ევროპას-თან გადაკავშირებას და ამ მიზნით მან ელჩად სულხან საბა ორბელიანი (1658 — 1726) წარგზავნა, რომელ-მაც ინახულა ვერსალის სასახლეში მზე-მეფე, ლუი მეთოთხმეტე, რომის პაპა და სხვანი.

ევროპის დახმარების ნატვრით სა-ქართველოში ისე გატაცებული იყვ-ნენ, რომ ამის გამო რომის მისიონე-რები ჩვენში დიდი პატივით მიიღეს, და მათ იმ ზომამდე გავლენა მოიპო-ვეს, რომ ბევრმა დააპირა კათოლი-

კობა აღეარებინა. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ პოლიტიკურ მოსაზრებას, და ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს პროფ. მიხეილ წერეთელი — იმ დროს საქართველოში ფიქრობდნენ, რომ თურქთა და სპარსთა განუწყვეტელ შემოსევათა და მიმძლავრებათა წინაშე, ერისა და ეროვნულ - ქრისტიანული კულტურის ერთად - ერთი ხსნა იქნებოდა კათოლიციმში გადასვლა, ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან გაერთიანება, რომის ეკლესიისა და კათოლიკურ სახელმწიფოთა მფარველობის მოპოვებაო. მეფენი, თავადნი, სასულიერო პირნი და ბევრი სხვანიც იმ რწმენისა იყვნენ და ბევრმაც მიიღო კათოლიკობაო (იხილეთ წინასიტყვაობა წიგნისა სიბრძნე სიცრუისა, თარგმანი გერმანულად — დი ვაისჰაიტ დერ ლუეგე. ბერლინ, 1933. გვერდი 4).

ქართლ - კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემაც სინჯა ევროპასთან გადაბმა, რომლის დახმარებით იგი საქართველოს წამოყენებას ნატრობდა. ერეკლეს მიზანი იყო ქვეყნის ევროპიულად გარდაქმნა, ამიტომ, როგორც ამბობს ერეკლეს დროს საქართველოში მყოფი რუსი ბურნაშევი, — ერეკლე „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპიულად გარდაქმნისაკენ“., მაგრამ ამაოდ.

1781 და 1782 წ .ერეკლემ მიმართა ვენაში იმპერატორს, პარიზში — მეფეს, აგრეთვე სარდინიის, ნეაპოლის და ვენეციის მთავრობებს, რომელთაც იგი ან ჯარით ან ფულით შემწეობას სთხოვდა და თავის მხრივ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებას აღუთქვამდა საჭიროებისამებრ. მაგრამ ევროპას მაშინ საქართველო არ აინტერესებდა.

ოთხი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფონი თავისი თავისუფლების დაცვისათვის და ევროპასთან გადაბმულობისათვის იღწვოდნენ. რატომ?

იმიტომ, რომ საქართველო აზია არ იყო არც ხორციელად და არც სულიერად, არც ბუნებითა და არც ხასიათით, არც ცხოვრების წესით და არც ზნითა, — საქართველოსა და აზიას შორის ანუ ევროპეიზმისა და ორიენტალიზმს შორის იგივე არსებითი განსხვავება იყო და არის, როგორც თვით აზიასა და ევროპას შორის. და თუმცა საქართველო ვით ზღურბლი ამ ორი სამყაროს შუა, აზიასთან გეოგრაფიულად უფრო ახლო არის, იგი მაინც მას ვერ ეგუებოდა, ვინაიდან თავისი სულიერი გამოვლინებით იგი ევროპიული იყო. ოღონდ თურქთა დაპყრობათა შედეგად საქართველო სავსებით ევროპას მოსწყდა, მაჰმადიანურ რკალში ჩაიკეტა და ევროპასთან მისვლის ყოველი ცდაც ამაო შეიქმნა.

მხოლოდ შემდეგ ხანაში დაესახა ასეთი გზა ევროპისაკენ და ამ გზაზე მოდიოდა ახალი ისტორიული მოვლენა — რუსეთის სახით, — რომელიც ერთი მხრივ ევროპასთან საზღვრებს მართავდა და კავკასიის ქედსაც უახლოვდებოდა.

ქართველმა მეფეებმა სწორედ აქეთ მიმართეს თავისი საგარეო პოლიტიკა — რუსეთთან დაახლოებისა — და, დაბოლოს დაკავშირების მიზნით.

ქართული პოლიტიკის სურვილი იყო — ქართველი ერის გადარჩენა მოზღვავებული მუსულმანობის წინაშე და ევროპასთან ამ გეზით საკავშირო გზის გამოძებნა.

რუსეთის გაბატონებული ფენა მართლაც ევროპიული იყო, ხოლო რუსეთის მრავალმილიონიანი ხალხი კი აზიას წარმოადგენდა, და მისი ევროპიული ქრისტიანიზმიც ამ ფარგლებში იხუთებოდა. ქართველობა იცნობდა რუსეთის მხოლოდ მაღალ ფენებს, და რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა თვით რუსის ხალხზე. არამც თუ ქართველ მეფეებს, არამედ ქართულ ინტელიგენციასაც მე-19 და მე-20 საუკუნეში არაფერი გაეგებოდა ამ რუსის ხალხისა, რომელიც მან ბოლშევიზმის გაბატონებამდე ვერ გაიგო და ვერ გაიცნო.

ქართველი მეფენი სახელმწიფოებრივი საზრისით განიხილავდნენ რუსეთთან დაახლოების აუცილებლობას, და ცხადია, რუსეთი ევროპად მიაჩნდათ, როგორც ქართულ ხელმძღვანელობასაც მე-19 და მე - 20 საუკუნეში!

აღნიშნული პოლიტიკის შედეგი იყო — 1783 წლის რუსეთ — ქართლ კახეთის ტრაქტატი, რომელსაც აზრად ჰქონდა ქართველი ერის მაჰმადიანური რგოლიდან გამოხსნა, ევროპიული სახელმწიფოს (რუსეთის) მფარველობა და ამით ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება.

ერეკლე მეფის ეს ხელშეკრულება და მისთანანი დანარჩენ ქართულ სამთავროთა, რომელთაც იგივე მიზანდასახულობა ასულდგმულებდა, მხოლოდა ნაწილობრივ იქმნა გამართლებული და განაღდებული.

საქართველო გამოვიდა და მართლაც თავი დააღწია მუსულმანურ რკალსა და გარემოცვას, — ამით ის მოშორდა აზიას, ჩამოშორდა ორიენტალიზმს, რომელმაც უკანასკნელ საუკუნეთა გასწვრივ მეს ერთგვარი დაღიც დაამჩნია და რუსეთის გზით ევროპას მიუახლოვდა. მაგრამ ამასთან, ქართველმა ერმა დაჰკარგა საკუთარი სამეფო და მით — თავისუფლება. ევროპასთან მისვლამ ქართული სამეფო და ტახტი იმსხვერპლა.

ამ ბედითი ბედის შემრიგებელი, ქართველი ერი არ აღმოჩნდა; მან იგი არ დაადასტურა და რუსეთის ბატონობას ას წელიწადზე მეტი სიგრძის ხანაში რუსეთის წინააღმდეგ 25 ჯერ მაინც აჯანყება მოაწყო. ამ აჯანყებათა ასპარეზზე საკუთარი სისხლის გაღებით ქართველმა ხალხმა განამტკიცა თავისი თავისუფლების, ეროვნული და სოციალური უფლებათა საფუძვლები.

ამ ხანის განმავლობაში ევროპა მხოლოდ ერთჯერ დაინტერესდა საქართველოს ბედით და ეს მაშინ, როდესაც ეს მას თვითონ დასჭირდა, სახელდობრ, ყირიმის ომის დროს — 1854 — 1856 წ.

რუსეთის იმპერიისათვის საქართველო იყო საუკეთესო დასაბჯენი წინა აზიისაკენ სალაშქროდ, — და როდესაც ნიკოლოზ პირველმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა, და მისი დაპყრობაც მოისურვა, რაც ევროპიულ წონასწორობას არღვევდა, ევროპა მას წინაღუდგა, და ამის შედეგად საფრანგეთი და ინგლისი ომში ჩაერივნენ ოსმალეთის მხარეზე.

აი, მაშინ გაახსენდათ, რომ არსებობდა საქართველო, და კერძოდ სამეგრელოს სამთავრო, რომელიც ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო.

სამეგრელოს მთავრად მაშინ იყო დავით დადიანის (გარდაიცვალა 1853 წ.) მეუღლე ეკატერინე, ცნობილი მგოსანის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული.

ომის დაწყებისათანავე ოსმალური ჯარი სამეგრელოში შეიჭრა. ეკატერინემ თავისი მხარე დასტოვა და ქუთაისს შეეხიზნა. აი, აქ ეკატერინე ღებულობს წერილს ოსმალეთის ჯარის სარდალ ომარ - ფაშისაგან (1855 წ. 31 ოქტომბერის თარიღით). ამ წერილით ომარ - ფაშა, მოკავშირეთა სახელით, მაშასადამე, საფრანგეთისა და ინგლისის სახელითაც, სამეგრელოს მმართველ ეკატერინეს სწერდა —

ჩემს უავგუსტოეს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხონ სამეგრელოს მართვაგამგეობას ან რა-

იმე უპირატესობა მოიპოვონ ამ ქვეყანაში. ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისაგან და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი იყონ და თავიანთი საკუთარი მთავრობები მათ მართავდენო.

შემდეგი წერილით იგივე ომარ - ფაშა ეკატერინეს არწმუნებს (1855 წ. 9 ნოემბერი), რომ ოსმალეთსა და მის მოკავშირეებს სურთ „სამეგრელო და მისი მეზობელი პროვინციები რუსეთისაგან და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი იყონ და თავიანთი საკუთარი მართვაგამგეობა ჰქონდეთ“-ო.

მაგრამ ამას გარდა ინგლისის აგენტი ოსმალეთის შტაბთან, ფ. ლონგროუტი ეკატერინეს სთხოვდა, მის სატახტო ქალაქ ზუგდიდს დაბრუნებოდა, ხოლო საფრანგეთის აგენტი, გრაფი მეფრე კი უფრო პოლიტიკურად არდგენდა საკითხს და ეკატერინეს აცნობებდა — „ევროპამ ეხლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივი სიბნელითა და სილარიბით შეწუხებულნი, გაანთავისუფლოს; ევროპას სურს, თქვენ შეუერთდეთ განათლებულ ხალხებს; რომ იმ განძითა და იმ სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენი ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ; და სხვა“...

სამეგრელოს მთავარს, ეკატერინეს არც ომარ - ფაშისათვის და არც ინგლისელ, ფრანგისათვის პასუხი არ გაუცია და ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ისევ რუსეთის ორიენტაციაზე რჩებოდა, რუსეთს არ ღალატობდა, თუმცა მერმე და მალე (1868 წ.) რუსეთმა თვითონ უღალატა ეკატერინეს და სამეგრელოს ავტონომია გააუქმა.

აფხაზეთის მთავარი ამ ომის დროს ოსმალეთს მიემხრო, და თუმცა ოსმალურმა კოალიციამ გაიმარჯვა, — იგი არავის გახსენებია, და რუსეთმა 1867 წ. აფხაზეთის სამთავროც მოსპო. (იხილეთ ვ. ნოზაძე — საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. კრებული „ორნატი“. პარიზი, 1934 წ. ნომ. 4, 5).

მაინც აღსანიშნავია — 1856 წ. 1 მარტს პარიზის საზავო ყრილობაზე, რომელმაც ყირიმის ომი დაასრულა, საფრანგეთის წარმომადგენელმა გრ. ვალევსკიმ განაცხადა — მოკავშირე სახელმწიფონი მოითხოვენ, რათა განსაკუთრებით გაირჩეს შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობაო. ეს განცხადება ოქმში შეიტანეს და შემდეგ ის აღარავის გახსენებია...

ამგვარად, ეს იყო ერთი შემთხვევა, ოდეს ევროპამ საქართველოს ცოტა ყურადღება მიაქცია, მაგრამ ეს შემთხვევა მართლა შემთხვევა იყო, რომელსაც შესაძლებელია დიდი ფათერაკი მოჰყოლოდა.

მერმე, რუსეთ - თურქეთის ომთან (1877 — 1878) დაკავშირებით, ბერლინის ტრაქტატის შესახებ ილია ჭავჭავაძე სწერდა 1879 წელს — „ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაჭიჭს, და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდის რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი.

ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერკავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც, ბერლინის ხელშეკრულობის შემდეგ, გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში გადმოიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის — აქ, აზიაში დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, — ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე. ამას კი ვიტყვით, რომ პირველი ნიშნები ინგლისის მხრით, საცივილიზაციო ღონის ხმარებას მოასწავებს... ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ეგ ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა, — აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს... აზია საერთოდ და ჩვენ თვითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ის მიწისყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილისწამების მიზეზად იქნება კიდეც“-ო.

ასე ესმოდა ქართველობას ევროპისა და საქართველოს მომავალი შესაძლებელი ურთიერთობა, იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც ევროპას საქართველოსადმი უნდა გაღვიძებოდა.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერია დამარცხდა და დაინგრა. რუსეთში დაიწყო სამოქალაქო ომი და დიდი რუსული არეულობა. განაპირა ქვეყნები ცენტრს მოსწყდნენ თავისთავად, და რადგან არც ერთი ეს მხარე რუსული არ იყო, ისინი თავისი საკუთარი ცხოვრების მოწყობას შეუდგნენ — გამოაცხადეს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფინლანდიამ, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, აღსდგა და გაერთიანდა პოლონეთი. უკრაინამ შეჰქმნა თავისი სახელმწიფო; ჩრდილო კავკასიაში გამოცხადდა მთის ხალხთა რესპუბლიკა, 11 მაისს 1918 წ. დამოუკიდებლობის წინაშე დადგა ამიერკავკასიაც, რომელიც განსაკუთრებულ რთულ და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მისი სამხრეთი მეზობელი, თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ომს ეწეოდა. ამ ომის პროცესში ამიერკავკასიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 9 აპრილს (22-ს) , 1918 წ. ხოლო ამაზე უფრო ადრე მოსკოვში გაბატონებულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ მოკავშირეებთან (გერმანია, ავსტროვენგრია, ოსმალეთი და სხვ.) ბრესტ - ლიტოვსკში ხელშეკოულება დასდვა (1918 წ. 3.3.), რომლის მიხედვით ბათუმ- არდაგანის და ყარსის მხარენი ოსმალეთს უნდა მიკუთვნებოდა.

ამიერკავკასიის მთავრობა, რომელსაც აღნიშნულ საზავო მოლაპარაკებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, უარჰყოფს ამ ხელშეკრულებას; საპასუხოდ თურქეთის ლაშქარი კავკასიაში შემოიჭრება. თუ დამხმარე არ გამოჩნდებოდა, უეჭველია, მთელი ამიერკავკასია თურქეთს ხელთ ჩაუვარდებოდა. ამიტომ ამიერ - კავკასიის მთავრობამ არჩია საზავო მოლაპარაკება და თურქეთთან შეთანხმება, მაგრამ თურქეთმა ბრეტ - ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების განაღდება მოითხოვა; ამას მოჰყვა ისევ ბრძოლა; შემდეგ, ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთმა კვლავ მოითხოვა აღნიშნული ოლქები და საკითხი ისევ წამოიჭრა — ან ომის გაგრძელება, ან დამორჩილება. პირველი შეუძლებე-

ლი იყო, მეორე კი — დამღუპველი. საჭირო იყო მშველელი, დამხმარე ხელი. და აი, ქართველობამ მიმართა ბათუმში შემოსულ გერმანულ მისიას, ჩარეულიყო თურქეთისა და ამიერკავკასიის გამწვავებულ ურთიერთობაში. ეს კეთილი საქმე დაიკისრა გერმანული მისიის თავჯდომარემ, გენერალმა ფონ ლოსოვმა. — მან წინადადებით მიმართა თურქეთს შუაკაცად იქმნებოდა თურქეთსა და ამიერ - კავკასიის დელეგაციათა შორის, მაგრამ ეს კეთილი სურვილი თურქთა მიერ უარყოფილ იქმნა.

26 მაისს, 1918 წ. თურქეთის დელეგაციამ გადასცა ამიერ - კავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი, რომლის დაკმაყოფილება 72 საათის განმავლობაში უნდა მომხდარიყო, ან ამიერკავკასიას უნდა მიეღო თურქეთის მიერ ნაკარნახევი საზავო პირობები, ან თურქეთი ისევ იარაღს ჰკიდებდა ხელს. საზავო პირობების მიღება ნიშნავდა საქართველოსათვის და სომხეთისათვის საკუთარი მიწაწყალის დაკარგვას... და ამ მოლაპარაკების შედეგად ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაიშალა და იმავე დღეს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამ დიდ იტორიულ ამბებში გერმანიამ საქართველოს სახელმწიფოს ბებიაობა გაუწია და ახლად შობილი ქართული სახელმწიფო ევროპაში შეიყვანა.

ვ. ნოზაძე

პირველი ქართული წიგნი
ამერიკაში

ქალაქ ბუენოს აირესში გამოიცა ქართულ ენაზე ისტორიული ნარკვევი ქ-ნ თამარ პაპავასი: დარეჯან დედოფალის შესახებ. ნარკვევს წინ უძღვის ბ-ნ ნოე ჟორდანიას წერილი: „ქართველი ქალი“ და დართული აქვს ბოლოსიტყვაობა ავტორისა.

წიგნი შვენივრადაა გამოცემული და შეიცავს დარეჯან დედოფლის და ერეკლე მეფის სურათებს.

ამ წიგნით იწყებს ავტორი მეორე ტომს თვისი „დიდი სახეების“-სას.

საქართველოს საკითხი
და
რუსეთის სახელმწიფო საბჭო

(150 წლის თავზე)

რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა საქართველოს შეერთების მანიფესტს 18 — 12 — 1800 წ. მოაწერა ხელი და სწორედ ერთი თვის შემდგომ ეს აქტი გამოაქვეყნა. მანიფესტზე ხელის მოწერას წინ უძღოდა სახელმწიფო საბჭოს თათბირი ამ საკითხზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მთავრობის ეს უმაღლესი ორგანო საქართველოს საკითხს შეეხო. მოხსენება წარადგინა ობერ - პროკურორმა და ამ მოხსენების უმთავრესი მასალა იყო მუსინ - პუშკინის დასკვნები, რომლებიც გარკვეულად ლაპარაკობდენ საქართველოს შეერთების აუცილებლობაზე.

დაიწყო დიდი კამათი საბჭოში და ყველასათვის მოულოდნელად საბჭოს დიდი უმრავლესობა მუსინ - პუშკინის დასკვნებს არ დეთანხმა.

მაშინდელ საბჭოს წევრთათვის სრულიად გაუგებარი შეიქმნა მუსინ-პუშკინის სპეკულიატიური მიდგომა და უძველესი, ქრისტიანული სახელმწიფოს გაუქმების მოთხოვნა.

ამავე დროს მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს მთავრობა მუდამ მფარველობას ითხოვდა დიდ რუსეთიდან და არა გაუქმებას და სრულ შეერთებას. მაგრამ, როგორც ქვევით ვნახავთ, საბჭოს ეს სიფრთხილის გზა ჩქარა დაატოვებინეს და საქართველოს სამეფოს შეერთება „ურეზერვოდ“ დაადგენინეს...

მაგრამ განვლო პავლეს ხანამ უსახელოდ და უფერულად. მეფე 12 მარტს მოაშთვეს და მის მაგიერ ალექსანდრე პირველი მოევლინა ქვეყანას და რუსეთის მოწინავე საზოგადოებას იმედები მიეცა.

ამ კაცს ჩამორჩენილ რუსეთისათვის დიდი რეფორმების კარები უნ-

ლა გაეხსნა და უფლების და სამართლიანობის პრინციპები უნდა გაეცოცხლებინა. მამის მიერ ჩადენილ ცოდვათა რევიზიების დროს მას საქართველოს ბედიც უნდა მოგონებოდა და სიმართლე აღედგინა — „მანიფესტი“ უარეყო.

ახალგაზრდა ხელმწიფე იდეალისტი იყო, „არალეგალურ კომიტეტის“ წევრად ითვლებოდა და მამის ნაბიჯებს ბევრ რასმეში გმობდა.

ამან პეტერბურგის ქართველობას იმედი გაუცხოველა და პავლე პირველის მზაკვრულ გზების დამარცხება ამათ შესაძლოდ მიიჩნიეს; ხოლო ამას შესაფერი მუშაობა სჭიროდა, მომზადება და არა მარტო კითხვის დაყენება.

ალექსანდრე პირველმა საქმე საბჭოს გადასცა და თან იმედიც ჰქონდა, რომ ეს ახალი, მის მიერ შედგენილი საბჭო მამის გზას დაჰგმობდა და საქართველოს მიღებას უსამართლოდ აღიარებდა, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ 11 — 4 — 1801 წ. სხდომაზე პავლეს ნაბიჯი დაადასტურა.

ზუბოვები ემყარებოდნენ საკუთარ გამოცდილებას და საქმის ცოდნას (1796 წ. ექსპედიციას კავკასიაში), თან მუსინ - პაუშკინის დასაბუთებულ მოხსენებას, და მათ საქმე მოიგეს, რადგან დანარჩენთ ამ საგანზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ და საქართველოს არც კი იცნობდნენ...

აი, აქედან იწყება უკვე პეტერბურგის ქართულ წრეების საქმეში ჩარევა და დიდი სიმტკიცის გამოჩენა, რის გამო „არა - ოფიციალური კომიტეტიც“ მხნედ სდგას ამ პატარა სამეფოს ალალი საქმის დაცვაში.

ალექსანდრე პირველი ალბათ ამ კომიტეტის გავლენით სახელმწიფო საბჭოს პირველ დადგენილებას უარ ჰყოფს და 15 — 4 — 1801 წ. ხელახლა გადასცემს ამ კითხვას გასარჩევად. თვისი უარყოფითი დამოკიდებულება იმპერატორმა ამცნო ობერპროკურორ ბეკლეშევს, რომელმაც საბჭოში განაცხადა, რომ ხელმწიფის არსებაში... დიდ ზიზღს იწვევს საქართველოს ასე შეერთება და სხვათა ქვეყანათა დაუფლებაო.

ეაუგონარი სისწრაფე და ენერგია გამოიჩინა მაშინ რუსეთის ბიუროკრატიის უმაღლესმა მექანიზმმა. ეს საბჭო, რომელიც ახალმა იმპერატორმა 30 — 3-ს ჩამოაყალიბა, ორი კვირის განმავლობაში ეხლა მეორედ არჩევდა საქართველოს საკითხს და მისს წარსულში უჩვეულო გამბედაობას იჩენდა ხელმწიფე - იმპერატორის ლიბერალურ აზრთა გასაბათილებლად.

ობერ - პროკურორის განცხადება ხელმწიფის უარყოფით შეხედულებაზე საქართველოს სამეფოს შეერთების შესახებ, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს სახელმწიფო საბჭოს დიდ უმრავლესობის აზრზე. ეს ახალი საბჭო სრულიად არა ჰგავს პავლე პირველის მონა - მორჩილ სახელმწიფო საბჭოს.

როგორც ვიცით, მაშინ საბჭომ უარჰყო მუსინ - პუშკინის მოხსენება: საქართველოს უძველესი სამეფოის გაუქმება ,მაგრამ მას მაშინვე (18 — 12 — 1800) აცნობა ობერ-პროკურორმა, რომ პავლეს გადაწყვეტილი აქვს საქართველოს შეერთება და საბჭოს უჯობს ამ აზრს დაეთანხმოსო.... სახელმწიფო საბჭომ მყისვე შესცვალა მიღებული დადგენილება და ის მეფის სურვილს შეუფარდა. ეს იყო მაშინ — პავლეს საბჭოში.

ეხლა კი ეკატერინას არწევებს — ზუბოვებს, მკვიდრი ბუდე აეგოთ ახალ საბჭოში და მის დარღვევას ვერც ახალ იმპერატორის მომხრე კოჩუბეი - სტროგანოვები ახერხებდნენ.

ეხლა ფრთა გაშლილ იმპერიალიზმს აქ თავის შეკავება და მით უმეტეს, უკან დახევა (პავლეს მანიფესტის შემდეგ) რუსეთის პრესტიჟისათვის მომაკვდინებლად მიაჩნდა. მათ პოზიციას ამაგრებდა ნაპოლეონის ძლევამოსილება და საფრანგეთის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ.

მართალია, ევროპაში ორ კოალიციათა ომი საფრანგეთის სრულის დამარცხებით დამთავრდა და ამან კორსიკელი მეამბოხე აიძულა აგვისტოში 1799 წ. ეგვიპტე მიეტოვებინა და სასწრაფოდ საფრანგეთისაკენ გამობრუნებულიყო, მაგრამ ეს შეიძლებოდა დროებით „უკან დახევა“ ყოფილიყო. დაუცხრომელ ბონაპარტეს აღმოსავლეთში ინგლისის დამარცხების იმედი არ დაეკარგა: ხოლო ამ შემთხვევაში რუსეთს კარგი ალიანსი მოელოდა: აღმოსავლეთზე მას კარგა ხნით ხელი უნდა აეღო, ხოლო დასავლეთიდან კი რუსთ რევოლუციას და დიდი ხიფათი ელოდა.

ახალგაზრდა იმპერატორის იდეალიზმი ეხლა იმპერიის დიდ გეგმებს ვერას არგებდა.... საჭირო იყო კავკასიაში მაინც მტკიცე ბაზის გაჩენა. ასე მსჯელობდნენ ძველ ტრადიციებზე — ეკატერინას და პეტრე დიდის ანდერძზე — შეფიცული მარშლები, ძველი ორდენებით საბჭოში ეხლა ამაყად მსხდომნი და საქართველოს შეერთების საკითხსაც საიმპერიო პრობლემებს უკავშირებდნენ.

სახელმწიფო საბჭოში ეხლა უკვე მეორედ, 15 — 4 — 1801 წ. სხდომაზე — ამ ჯგუფმა გაიმარჯვა და ალექსანდრეს „უადგილო“ სანტიმენტალობა და ლიბერალიზმი უარყო. მაგრამ ოპოზიციის ჩასაჩუმებლად და ლმობიერ მეფის აღელვებულ სინიდისის დასამშვიდებლად მათ „დემოკრატიული“ პრინციპი მიიღეს და ხალხის „რეფერენდუმით“ მოინდომეს ამ დიდი კითხვის გარდაწყვეტა. ამით მათ ხელმწიფის უახლოეს გარემოცვას, „არა- ოფიციალურ კომიტეტს“, პირში ბურთი ჩასჩრეს, საკუთარი იარაღი გამოაცალეს. ამ ლიბერალურ იდეებით გატაცებულ არისტოკრატებს აბა რაღა ეთქმოდათ იმის საწინააღმდეგოდ, რომ რუსეთი უშუალოდ შეჰკითხებოდა ქართველ ხალხს — სურს თუ არა მას თვითონ ძალდაუტანებლად შეუერთდეს ერთ მორწმუნე რუსეთსო?.

ამის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა ხელმწიფე, რომელსაც თავშივე მხოლოდ ის იჭვები აწუხებდა, რომ მისმა ცხონებულმა „თავ - ქარიანმა“ მამამ უსამართლოდ გამოაცხადა მანიფესტი, ქათველობას არაფერი ჰკითხა და ასე პატარა სამეფოზე ძალდატანება იხმარა. ამ ხერხმა მართლაც გასჭრა და მეფე ნებას დაჰყვა საქართველოში „რეფერენდუმი“ მოეხდინათ.

მაგრამ გამოუცდელ მეფეს მთავარ საქმეში ძველმა მოხელეებმა ადვილად სძლიეს — მას რეფერენდუმის მოხდენა ლენერალ კნორინგისათვის უნდა მიენდო... ეს კაცი ვითომ დიდი მცოდნე იყო იქაურ პირობების, რეალურ ძალთა განწყობილების, იცნობდა ადგილობრივ ხალხს და საერთოდ კავკასიას და თან რუსეთის დიდი ერთგულიც იყო.

იმპერატორმა ამ რესკრიპტს ხელი მოაწერა და საგანგებო ინსტრუქციები მისცა კნორრინგს, რათა ადგილობრივ გამოერკვია ორი მთავარი კითხვა — ამ რესკრიპტის შესავალში ხელმწიფე აღნიშნავს, რომ დიდი ხანია მთავრობა რუსეთისა ელოლიავება ამ აზრს (საქართველოს შემოერთებას), როგორც ფრიად სასარგებლოს იმპერიის საზღვრების დაცვისათვის , ოსმალეთის საწინააღმდეგო ბაზად გამოყენებისათვის, მთის ხალხთა თავგასულ დასხმათა ალაპმვისათვის და სხვა.. როგორც

ვხედავთ, ალექსანდრე პირველს უკვე ნელ-ნელა შეუთვისებია ზუბოვთა იმპერიალისტურ პოლიტიკის დებულებები და მუსინ - პუშკინის არგუმენტაციას უწინამძღვრებს თავის რესკრიპტს. მაგრამ „არა - ოფიციალური კომიტეტის“ ეთიურ და მორალურ გავლენიდან მეფე ჯერ ვერ განთავისუფლებულა და თვის „შესავალს“ ასე განაგრძობს —

„მაგრამ არსებობს აგრეთვე მეორე, უმაღლესი საზომი ამ საგანთა, — ერთად - ერთი, ჭეშმარიტი და გადრეკადი: სამართლიანობა და საერთაშორისო უფლებათა შეულახველობა“...

ამ „ელეგიურ“ შესავალის შემდეგ, ხელმწიფე პრაქტიკულ საკითხებზე გადადის და ავალებს კნორრინგს გამოარკვიოს: — მართლაც საკუთარის გარდაწყვეტილებით სურს მას ჩვენ ქვეშევრდომობაში შემოვიდეს და მართლა ყველა წრეები და წოდებანი ამის მოსურნე არიან? თუ მათზე მოახდინეს რაიმე გავლენა სხვათა ანგარიშებით გამოწვეული?

„ყოველივე ეს თქვენ უნდა გამოარკვიოთ და შეიტყოთ პირველ, უშუალო წყაროებიდან, ჩასწვდეთ ხალხის ნდომის და გონების ჭეშმარიტ ზრახვებს და ბოლოს იმის გარკვევას: თუ მართლა გულწრფელად და შინაგანის რწმენით მისცემიან ისინი ამ შეერთების განზრახვასა; თუ სწამთ, რომ ეს შეერთება მართლაც ერთადერთი გზაა მათი ხსნისათვის“-ო....

როგორც ვხედავთ, ეს ადგილი ხელმწიფეს მართლაც ოპოზიციის შთაგონებით შეუტანია ინსტრუქციაში.

მაგრამ საუკეთესო კანონმდებლობაც, ცნობილია, საქმეს ვერ ველის, როცა მოტივები მისი განხორციელებისა სხვა მიმართულებას და ახსნას ანიჭებენ და ძალასაც აშველებენ.

ეხლა ყველაფერი კნორრინგზე და მის ინტერპრეტაციებზე შეიქმნა დამოკიდებული.

ამ კნორრინგს კი — საქართველოს შეერთებისას მისი მთავარმართებლობა უნდა რგებოდა წილად. უმაღლესმა მოხელეებმა და სახელმწიფო საბჭოს „არწივებმა“ მას წინასწარ გაუმზადეს რუსეთისა და პირადად მისთვისაც ფრიად სასარგებლო პასუხი. კნორრინგი კარგად გაერკვია მისიაში: გარეგნულად მას რესკრიპტის მუხლები უნდა დაეცვა, ფორმალობა ჩაეტარებინა, ხოლო არსებითად კი, წინასწარ დასკვნებზე ხალხის მითომ წარმომადგენლობისაგან ხელმოწერა მიეღო.

კნორრინგი უკვე კარგად მცნობი რუსეთის მომხრეთა წრეებისა, სომხების ვაჭრებთან საგანგებოდ დაახლოებული, მისი მოადგილე ლაზარევის ნების დამყოლი, მაშინვე გარკვეულის პროგრამით დაიძრა თბილისისაკენ; ეს პროგრამა იყო საქართველოს ტახტის ერთგულთა ეხლავ განზე დატოვება, საქმეებიდან ჩამოშორება და ახალ , რუსულ ატმოსფერის შექმნა.

24 მაისს ის თბილისს ჩავიდა და თათბირი გამართა ლაზარევთან, შიმუშავა ოპოზიციის „დადუმების“ გეგმა და დავით ბატონიშვილს და მის მომხრეთ წყალი შეუყენა. ამაზე დავით ბატონიშვილი თვითონ მოგვითხრობს —

„ამ ჟამს გარდვიდა კნორინღი ქართლსა შინა; ამან გარდააყენა დავით მართებლობისაგან სრულიად და განაწესნა რუსითურთ მართებლობა საქართველოისა... ამ ჟამს რუსთა მხიდრობანიცა შესულიყვნენ ქართლს ათი ათასისა... და რაოდენიმე გუამნი თავადნი და აწვიეს რა — ყაფლანიშვილი , სარდალი იოვანე, სოლ. თარხნიშვილი, ქალაქის მეოლიქი დარჩია. ზაალ ბარათაშვილი და სხუანი რაოდენიმე კახნიცა და მოქალაქე სომეხნიცა, კნორინღს, რათა ჰყოს ქართლი ღუბერნიად, რომელმანცა აოუთქვა აოსრულებაი ამისი და უკუნ იქცა რუსეთადვე“. (იხილ. „მასალები“ დავით ბატონიშვილისა).

ამავე დროს კნორრინგმა შექმნა „საქართველოს მმართველობა“, რომელშიაც არა თუ მემკვიდრე, არამედ არც ერთი ბატონიშვილი არ შეიყვანა წევრად. თავჯდომარედ ამ მმართველობისა დანიშნა ქართველი ერის და საქართველოს ტახტის მოძულე, ლაზარევი.

ამასთან ერთად მან შექმნა ძლიერი პოლიცია, რომელიც ამ „მმართველობას“ და ამით ლაზარევს დაუმორჩილა.

ამ რიგად „გაწმენდილ ატმოსფეროში“ კნორრინგს და „დროებით მმართველობას“ არ გაუჭირდებოდა ზოგიერთ წარჩინებულთაგან სასურველ ხელწერილის ჩამორთმევა...

დავითი, დარეჯან დედოფალი და ამათი მომხრენი კარგად ხედავდნენ, თუ რა მახეს უგებდა კნორრინგი საქართველოს სამეფოს ვისგან და როგორ აგროვებდა ის მისთვის სასურველ პასუხს ორთავ კითხვაზე და შეშინებულნი პეტერბურგს სასწრაფო შველას სთხოვდნენ. —

„გვიშველეთ, რას შვრებით მანდ? ყოველივე გვეღუპება“ - ოს სწერდა 5 — 6 — 1801 წ. ბატონიშვილი პეტერბურგში მყოფთ; და შემდეგ დღეებში იოანე ბატონიშვილს აუწყებდა, რომ მას ყოვილგვარი უფლება მიუღეს, წაართვეს და საქართველოს დღეს ოთხი პლუტი და ერთი დურაქი განაგებენო. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რადგან სექტემბერში უკვე ხელმწიფის კორონაცია მოხდება და, თუ საქმეს მანამდე არ ეშველა, საქართველო ღუბერნიად დარჩებაო. (იხ. დუბროვინი).

ამ ამბებმა ლაზარევი უფრო გააბრაზა და მან კნორრინგს ურჩია — ყველა ბაგრატიონები უნდა სასწრაფოდ გადავასახლოთ რუსეთშიო.

ბატონიშვილთა ოპოზიციამ კნორრინგის „პასუხები“ - ს შემუშავებას ხელი ვეღარ შეუშალა და 22 დღის შემდეგ იმპერიისათვის სასურველ დასკვნით პეტერბურგისაკენ გაემგზავრა. მაგრამ დავუბრუნდეთ თვით პეტერბურგის ამბებს.

მუსინ - პუშკინმა, მიხვდა რა, რომ ხელმწიფე ამ საკითხში კიდევ ირყეოდა და ადგილობრივი დაკითხვა - გამორკვევა საჭიროდ მიაჩნდა, ახალი დასაბუთებული მოხსენება გაუგზავნა და აღიარა, რომ საქართველოს შეერთება უცილო და საშური არისო. ახლად მოსულ ინფორმაციით შეშინებული პეტერბურგის ქართველობა დატრიალდა სათანადო საბუთები შეჰკრიბა და მთელი მასალა —არა - ოფიციალურ კომიტეტს“ მიაწოდა. უკანასკნელმა მაშინვე შესანიშნავი მოხსენება დაამზადა საქართველოს შესახებ და იმპერატორს გადასცა (ივლისში). ეს მოხსენება დიდის ცოდნით და ადგილობრივ პირობების ღრმა დაკვირვებითაა შედგენილი (სახ. საბჭ არქივი; 1200 — 1207). ამ მოხსენებაში კომიტეტის წევრები, — ვორონცოვი და კოჩუბეი გასაოცარის ობიექტივობით მიუთითებენ ხელმწიფეს იმ 1) დიდ უსამართლობაზე, რაიც შეიძლება რუსეთმა ჩაიდინოს ამ უძველეს სახელმწიფოს, საქართველოს მიმართ, რომელიც თავიდანვე მხოლოდ მფარველობას ითხოვდა და არა მოსპობასო; ისინი ურჩევენ ხელმწიფეს — შეეცადოს დაამყაროს წესიერება, მშვიდობიანობა და კეთილდღეობა ჯერ იმ ვრცელ მხარეებში, რაიც იმპერიას ეკუთვნის და ახალ ქვეყნების შეერთებაზე კი ხელი აღოს 2) რომ დღემდე საერთოდ

საქართველოს მოსპობაზე ლაპარაკიც არ ყოფილა; ეკატერინა მეორეს სწადდა მხოლოდ მფარველობა მიეღო, რათა საკუთარი საზღვრები უზრუნველ ეყო, რომ შემდეგ იქ ოსმალეთი არ დამკვიდრებულიყო, ამისთვის კი საჭირო იყო მხოლოდ პროტექტორატის ტრაქტატი და საკმაო ჯარების დაბანაკება საქართველოშიო; შემდგომ პერიოდში, პავლეს სრულიად არ სურდა რუსეთის დამკვიდრება საქართველოში და 1796 წლის ბოლოს იქედამ ჯარებიც გამოიყვანა, მაგრამ შემდგომ, რაღაც დაუსაბუთებელ და უნიადაგო სპეკულატიურ ფანტაზიებით გატაცებულმა (მუსინ - პუშკინის შთაგონებით), ეს გეგმა შესცვალაო. შემდეგ, თითქოს შეერთება ქართველთა საერთო სურვილი არისო, მაგრამ — სად და რა სახით გამოსთქვა ეს ერმა და განა ბაგრატიონები ასე ადვილად დათმობენ თავის უძველეს ტახტს? ნამდვილი ცნობები ხომ წინააღმდეგს გვეუბნებიანო! (იხილეთ ზ. ავალიშვილი).

ამ დროს ხელმწიფეს და სახელმწიფო საბჭოს წარდგენილი ჰქონდათ საქართველოდან ორი მოხსენება, რომელთა შესახებ არა - ოფიციალურ კომიტეტს დაწვრილებითი ცნობები მიეღო.

პირველი ასეთი მოხსენება ეკუთვნოდა დარეჯან დედოფალს; ის მოითხოვდა ერეკლეს ტრაქტატის განმტკიცებას და ტახტზე იულონის აყვანას, თანახმად ერეკლეს ანდერძისა.

მეორე — ეკუთვნოდა მემკვიდრე დავითს, რომელიც სასწრაფოდ დამტკიცებას და დაპირებულ ინვესტიტურებს ითხოვდა, სამეფო სახლის ორივე ფრთას, ამნაირად, მეფობის შენარჩუნება სწადდა.

ამ უფლებათა დასაცავად იულონ და ფარნაოზ იმერეთში გახიზნულიყვნენ, ალექსანდრე სპარსეთში გადასულიყო და დავითი და დანარჩენნი ხომ ადგილობრივ იბრძოდნენ.

3). მადნეულობათა სიმდიდრეზე ლაპარაკი ხომ სპეკულატიური მოსაზრებაა, რაიც იმპერიას არ შეეფერება და არც არავინ იცის ნამდვილად, რას წარმოადგენს ეს მადნეები! ამას გარდა, მეფე გიორგი ხომ ამ მადნებს მაინც გვითმობდა განსაკუთრებულ პირობებითო.

4). სპარსეთის გზით ინდოეთს გადასვლა და ამ მდიდარ ქვეყანასთან ვაჭრობის გაცხოველება თავის - თავად ფანტაზიებია. ჯერ საჭიროა ადგილობრივი წარმოების შექმნა და შემდეგ მითი ვაჭრობის გაფართოება. ასტრახანის კოპანიის ვაჭრობის სიმჭლეევე საკმაოდ ააშკარავებს, თუ რა შეგვიძლია ამ გეგმებიდან მივიღოთო. ან სად ვიშოვოთ საამისო თანხებიო?

5). საქართველოს საზღვრების დაცვა რუსეთს ბევრად უფრო მეტად დაუჯდება შეერთების შემდეგო; რუსთა იქ დამკვიდრებას არ შეურიგდებიან სპარსეთ - ოსმალეთი და უფრო გააძლიერებენ შემოტევებსო.

6). აზრი, საქართველოს შეერთებით საზღვრების განმტკიცებისა, რათა იმპარიას იმ მხარედან საფრთხე არ მოელოდეს, ყალბია. ნამდვილად კი საკმაოა მივახმაროთ საქართველოს სამეფოს ის ჯარი, რაიც ჩვენ ტრაქტატით ვიკისრეთო. ჩვენ რომ ეს დროზე გვექმნა, 1795 წ. ამბები არ მოხდებოდა და სპარსეთი თბილისს ვეღარ ააოხრებდაო.

7). რაც შეეხება უფლებას და საერთაშორისო სამართალს, ამაზე ხომ არავითარი ლაპარაკიც არ შეიძლება — რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს საქართველოს სამეფოს დაეპატრონოსო. აქედამ მოხსენებას შესაფერი დასკვნა გამოჰყავს და ითხოვს ეხლავ გამოსწორდეს უკვე საკმაოდ აწეწილი ვითარება საქართველოში; გაუქმდეს „ხელოვნურ" შეერთებით შექმნილი ფაქტები, აღდგინილ იქმნას მშვიდობიანობა და ერთ - ერთი ბატონიშვილი ეხლავე იქმნას აყვანილი მეფის ხარისხზეო; ამ ახალი მეფის განკარგულებაში უნდა იქმნეს იქ დატოვებული ჩვენი ჯარი და აგრეთვე არტილერიაო. უნდა მოხდეს ხალხის ხელახალი დაფიცება და გამოცხადდეს, რომ ტრაქტატი 1783 წ. აღდგენილ იქმნება ძველს მის ძალაში და ერს რუსეთის მფარველობა არ მოაკლდებაო. ვერც სპარსეთ - ოსმალეთი გაბედავს რაამის იმ პირობებში, თუ რუსეთის ჯარი იქ საკმაო ძლიერებით დარჩებაო.

ბოლოს „კომიტეტი" მოითხოვს ეხლავ იქმნას გაგზავნილი რუსეთის რწმუნებული სამეფოს კარზედ და უკან გამოწვეულ იქმნას კნორრინგი, რომელმაც უკვე საკმაოდ არივდარია ყველაფერიო (იხილეთ ზ. ავალიშვილი).

აშკარა იყო, რომ ამ დროს „არაოფიციალურ კომიტეტს" ქართველთა წრისაგან უტყუარი ცნობები გადაეცა კნორრინგის „რეფერენდუმის" ჩატარების შესახებ. ღენერალს ნამდვილად მთელი სამეფო უნდა დაევლო და ხალხი მართლაც დაეკითხნა, ხოლო ნამდვილად კი ეს მას არ მოუმოქმედებია.

ხელმწიფემ ეს მოხსენებაც „არა - ოფიციალური კომიტეტისა" სახელმწიფო საბჭოს გადასცა.

სამი კვირის შემდგომ საქართველოში ჩასვლისა, როგორც ვსთქვით, კნორრინგი პეტერბურგს დაბრუნდა და დამზადებული პასუხები იმ ორ კითხვაზე ხელმწიფეს მიართვა.

პასუხი პირველ კითხვაზე იყო, რომ საქართველოს არ შეუძლიან დამუკიდებლივ თვისი თავის დაცვაო საკმარისია რუსის ჯარი გამოვიყვანოთ, რომ ხალხში საერთო არეულობა დაიწყოს, მას მიემხრობიან იმერეთში გახიზნული იულონ - ფანაოზი, რომლებიც ტახტის საკითხის გამორკვევას ელოდებიანო. ამ ბატონიშვილთ მხარს უჭერენ სოლომონ მეფე, სპარსეთის შაჰი და დაღესტანის ბელადნი, რომელთაც მზად აქვთ სამეფოში შემოჭრის გეგმაო.

მეორე კითხვაზე კნორრინგი, მიუგებს, რომ ვერ ჰბედავს სთქვას, რომ მაღალ წოდებიდან ყველანი მომხრენი იყვნენ რუსეთთან შეერთებისაო; თავად - აზნაურობიდან ნახევარი მაინცაა მსურველი იყოლიონ ქართველი მეფე და მმართველობა ძველის წესითო. (იხ. დუბროვინი).

ხოლო დანარჩენთ, ვისაც მშვიდობიანობა სწყურიათ, უნდათ რუსეთთან შეერთებაო. აქვეა წარმოდგენილ პროექტი კნორრინისა საქართველოს მმართველობის შესახებ. კნორრინგს დასკვნებიც ხელმწიფემ სახელმწიფ საბჭოს გადასცა. ამ უმაღლეს ორგანოში ეხლა უნდა მომხდარიყო უკანასკნელი და ძლიერი შეჯახება ორ მოწინააღმდეგის შორის, რაიც საქართველოს ბედს ამ პერიოდში მტკიცედ გადასწყვეტდა.

და მართლაც, ამ ისტორიულ სხდომაზე, რომელიც საქართველოსათვის ტრაგიკულად გათავდა, ურთიერთს დაეჯახა ორი დიდი რუსეთი: პირველი იყო — რეაქციონური და იმპერიალისტური, ხოლო მეორე იწყებდა კულტურულ და ლიბერალურ რეფორმათა ხანას. ამ უკანასკნელს ეკუთვნოდნენ ჩარტორიისკი, ნოვოსილცევი, სტროგანოვი, კოჩუბეი, ვორონცოვი და სხვ; მათ შესწევდათ მხნეობა და კეთილშობილება, ჰქონდათ განათლება და იდეალიზმი, მაგრამ აკლდათ ცოდნა რუსეთის საიმპერიო დიდ მექანიზმისა. არ იცოდნენ თუ როგორ გადაჯაჭ-

ვული იყო დიდი ბორბალი, შორეულ პატარა - პატარა ბორბლებთან და ბიუროკრატიული რუტინა და ტრადიცია ბოლოს ყველაფერს ჟანგავდა, სჭამდა და იმორჩილებდა. ასე გამოსჭამა რუსეთის ბიუროკრატიამ ხელმწიფის იდეალიზმის და ჰუმანიზმის რგოლები, რომლებიც თავის თავად დაცვივდნენ და იმპერიალიზმის მტკიცე იდეა მის ბრჭყვიალა გარეგნობის შიგნით გამოიჭედა.

8 — 8 — 1801 წლის გრძელ და ცხარე კამათში იმპერიამ ჰუმანიური და მოლიბერალო აზრები დაამარცხა და ზუბოვ - მუსინ - პუშკინებმა საქართველოს სულთათანა უმღერეს.

8 — 8 - ს ზუბოვმა პათეთიურად განაცხადა, რომ თუ ეს ქვეყანა (საქართველო) „საბოლოოდ არ შემოვიერთეთ, რუსეთი სამუდამოდ დაჰკარგავს ყველა შეძენილ ადგილებს კავკასიაშიო. ეს მით უმეტეს უნდა მოვახდინოთ, რადგან საქართველოს შემოსავალი წლიურად ათ მილიონს უდრის. ამ მდიდარ ქვეყნის დაკარგვა უდიდესი დანაშაული იქმნება“-ო.“ (სახ. საბჭოს ოქმები).

ამრიგად, იმპერიალისტური რუსეთი საქართველოს შეერთებაში ხედავდა პირველ ეტაპს სამეფოს განვრცობისათვის.

რეაქციონურმა ძალებმა, კნორრინგის ყალბ ცნობებზე დამყარებით, გაიმარჯვა. მის არგუმენტაციაში ახალი არაფერი სჩანდა; მაგალითად: საკუთარის ძალებით აღარ შეუძლია სამეფოს თავი დაიცვასო. მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ წინასწარ ცხადი ამბავი იყო და გამორკვევას არ ითხოვდაო, მიუგებდა ოპოზიცია ზუბოვებს. სწორედ ამის გამო დასდო ხომ ერეკლემ მფარველობის ტრაქტატი 1783 წ. მაშასადამე, აშკარაა, საჭიროა მიხმარება, დაპირებულ ჯართა მიშველება და არა მისი გაუქმება და შემოერთებაო.

ოპოზიციის სახელით ასეთი ძალადობის წინააღმდეგ მოხსენებით გამოვიდა გრაფ კოჩუბეი. მან გამოსთქვა იქვი თითქოს ქართველ ხალხს მართლაც სურდეს რუსეთთან შეერთება;! კნორრინგის მიერ „შეკრებილი“ ცნობები მან სარწმუნოდ ვერ ჩასთვალა და ასეთი წადილი შეერთებისა არ შეიძლება გულწრფელად მივიღოთო. ქართველებს სწადიათ მხოლოდ მფარველობა და არა ინკორპორაციაო, და ამას ხომ ჩვენგანაც ნაკლები ჯარი და მცირე ხარჯები დასჭირდება ,ვიდრე სრულ შეერთებასო...

ბოლოს მან დააყენა საკითხის ეთიური მხარე: აქვს თუ არა რუსეთს უფლება ასეთი ძალადობა მოახდინოს ერზე და კერძოდ მის უძველეს დინასტიაზე? ეს დინასტია ხომ ამდენი საუკუნეა ლეგიტიმისტური წესით ფლობს საქართველოს ტახტს და რა საბუთით შეგვიძლია ჩვენ ის ასე ცალმხრივად გავაუქმოთო.

კოჩუბეიმ მათ დიდი სიფრთხილე ურჩია ამ საკითხში და განსაკუთრებული სიდინჯე. იქნებ ის ხელმძღვანელობდა იმ ცნობებით, რომელიც პეტერბურგის ქართველობამ მას საგანგებოდ წარუდგინა და რომელიც დარეჯან დედოფლის ახალ ნოტას შეეხებოდა.

დარეჯან დედოფალი ხელმწიფეს სთხოვდა რუსეთ - ქართლკახეთის ურთიერთობა ტრაქტატის საფუძველზე უცვლელად დაეტოვებინა. თუ ეს მოხდებოდა, დარეჯანი მზად იყო ეშუამდგომლა თვისი შვილის შვილის სოლომონ მეფის წინაშე ,რათა მას იმერეთი რუსთა მფარველობაში შეეყვანა 1783 წლის ტრაქტატის მსგავსად. იმერეთთან ხომ მთელი მისი საძთავროები: გურია - სამეგრელო - აფხაზეთი მოექციოდენ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ე. ი. დასავლეთი საქართველო და ამნაირად ბოლოს მთელი ივერია ყველა სამეფო - სამთავროებით რუსეთის ვასალი გახდებოდა.

ეს გუშინდელი ამბები კარგად ახსოვდა კოჩუბეის და სახელმწიფო საბჭოს სიფრთიხლეს და სიფხიზლეს ურჩევდა. მაგრამ ვერც ამან უშველა საქართველოს და რუსეთის შინაგანმა ძალებმა, რასაც იმპერიის პოტენცია და რეაქციონური ალღო მართავდა, საკითხი ეხლა მესამედ საქართველოს შეერთების სასარგებლოდ გადასწყვიტა და მეფეს წარუდგინა.

ასე დამთავრდა ეს ისტორიული სხდომა 8 — 8 — 1801 წლისა; მაგრამ არა - ოფიციალურად საქართველოს საკითხი ჯერ კიდევ არ დალუქულიყო. ზუბოვმა, რომლის კალამს ეკუთვნის ცნობილი მანიფესტი საქართველოს შეერთებისა, 12 აგვისტოს ხელმწიფეს მოხსენება წარუდგინა (ალბათ მანიფესტის ტექსტით). ხელმწიფემ ის კიდევ არ მიიღო და ეხლა მხოლოდ „არა - ოფიციალურ კომიტეტს“ გადასცა დასკვნისათვის და არა სახელმწიფო საბჭოს.

კომიტეტმა მეორე დღესვე, 13 — 8 - საგანგებო სხდომა მოიწვია და უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილ კითხვა (სახელმწიფო საბჭოს მიერ) ერთხელ კიდევ განიხილა და დაასკვნა: თარჰყოს ის (შეერთება) ყველა იმ საბუთებით, რომლითაც კომიტეტი ოლიმდი თარჰყოთდა და გმობდა ამ ძალადობის აქტს.

ჩვენის აზრით, ის იყო პეტერბურგის ქართველთა ოა კერძოო საკარო სამინისტროს ოთო მოხელის ოაშაროვის (ოაშქარაშვილის) ოა ეოჩ ე. ჭაჭაიაძის ავტორები ერთხელ კიდევ მომხდარი დაემობა ოიდ ოსამართლობისა. ამას მონარქზი ავტორია ოინა მოიხდინა. მაგრამ სოლტი ნიბის იმპერატორი ნიო - ნიოა ოომობა სახიომწიოო საბჭოს მტკიცე პოლიტიკას ოა ზუბოვების ოეიიბმა ოიხი ავიოა მის მირეი ბონიბაში.

იმპერატორს აჩქარებდნენ, კოორონაციის დღედ დანიშნული იყო 15 სექტემბერი და ამ დიდ ზეიმების წინ უნდა მომხდარიყო დასრულება მამის მიერ დაწყებულ საქმეთა.

საქართველოს საკითხი ფაქტიურად რუსეთს დიდი ხანია გარდაეწყვიტა, პოლიტიკურად და იურიდიულად მისი სუვერენობა ძალად გაეუქმებინა და ეხლა მხოლოდ ფორმალური მხარე დაშთენილიყო. ქართველ წარჩინებულთა ცდამ ეს საკითხი შეაჩერა, მორალურ ნიადაგზე შეაყენა, მაგრამ იმპერიის ძალა ვერ გასტეხა.

ალალი საქართველო დაეცა და იმპერატორს ამ წაქცეულის „შეერთება“ საქვეყნოდ უნდა გამოეცხადებინა. სად, ან ვინ იყო ის ნეიტრალური, უმაღლესი სამსჯავრო, რომ ელიც ყოველივეს ჭეშმარიტებით გამოიკვლევდა და ამ ძალადობას დაჰგმობდა! პეტერბურგს ყოველივე შინაურულად მოეგვარებინა და არავისი არ ეშინოდა. საქართველოს საკითხი ეხლა საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო.

ზუბოვმა ერთხელ კიდევ წარუდგინა მონარქს მშვენიერ ფრაზებში გახვეული მანიფესტი, საქართველოს ერის „თხოვნას“ რომ ადასტურებდა სამეფოს მისაღებად და ხელმწიფემ მას ხელი მოაწერა. 12 სექტემბერს 1801 წ. ის გამოქვეყნდა.

ასე დაასრულა რუსეთმა საქართველოს მატიანე, მაგრამ საქართველოს ის არ დაუსრულებია...

აკაკი პაპავა

ფელიქს ვარლამიშვილის სამხატვრო მეორე გამოფენა ბუენოს აირესში

ფ. ვარლამიშვილი — რთველი

საანდერძო წერილები

ძვირფას ზურაბ ციციშვილს სახსოვრად.

(წერილი პირველი)

ქართული აზრი

ქართულ აზრს თან მოსდევს მრავალ – საუკუნოვანი საკუთარი ღრმა კვალი.

იგი გამომდინარეობს ქართველთა მოდგმის ზნეჩვეულებანის, ხასიათის, კულტურის და შემოქმედების განსაკუთრებულ თვისებებიდან, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხთა მოდგმათაგან.

ქართული აზრის სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი იყო და არის ქართველი ადამიანის ბუნების მთავარი თვისება — ჰუმანიურობა (კაცთმოყვარეობა) და ეროვნულ - საზოგადოებრივი იდეალებისადმი მუდმივი ლტოლვა.

ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ადამიანთა ბუნებას, საერთოდ, არ ეკარებოდა მხეცური სიძულვილის გრძნობები და ფანატიკური სულის კვეთებანი, რომელთა წყალობით თავის შინა ცხოვრებაში გრძელ ისტორიულ მანძილზე მას არ განუცდია არც სარწმუნოებრივი, არც სოციალური ომები და რევოლუციები.

1600 წლია წინად ქრისტეს მცნების მაღალ იდეალებმა („გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი") ამიტომ ასე ადვილად დაიპყრეს ქართველი ხალხის გული და ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში შემოვიდა სრულ მშვიდობიანად და ქალის ქადაგებით; ასევე მშვიდობიანად მთელი ქართველობის სარწმუნოებად გადაიქცა. მას არ მოჰყოლია თან არც თავის დასაწყისში, არც შემდეგ საუკუნეებში ის საშინელი სარწმუნეობრივი დევნა - ომები, ადამიანთა ზღვა – სისხლით გავსებული, რომლითაც მდიდარია დასავლეთი ქვეყნების ქრისტიანული ისტორია.

ჩვენ დრომდე შემონახულნი ქართველი ხალხის თქმულებანი ნათლად ამოწმებენ მის კაცთმოყვარეობის გრძნობებს. რას მოსთხოვდნენ ქართველს ამ თქმულებანის დედა - აზრნი? თავში — ადამიანის ღირსეულ შეფასებას : —

„ადამიანი ადამიანისათვის წამალია"-ო, (შეადარეთ ლათინურს — ადამიანი ადამიანისათვის მგელია-ო); „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა" „ძმაო, რა სჯობდა ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა", — შემოსძახის ქართველი კაცი თავის ძველ „სუფრულში". და სხვა.

ამ მაღალი ღირებულების ადამიანურ აზროვნებაზე აშენდა ორი ათასი წლის საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივი კულტურა ქართველი ხალხისა.

ამ ნიადაგზე იშვა მე-12 საუკუნის „ოქროს ხანა" საქართველოს სახელმწიფოსი და ამ ხანის მეხოტბე ქართველი ჰენიოსი შუთა რუსთაველი, რომელმაც ბრწყინვალე პოეტური სამოსელით შემოსა ნაკადნი ქართული სულისა, მისი იდეალებისა და დაუტოვა ქართველ ერს და კაცობრიობას კეთილშობილ ადამიანთა რჯულის უკვდავი სამოქალაქო სახარება.

მასვე დაეყრდნო ქართველთა მოდგმის სოციალურ ფენათა მშვიდობიანი ურთიერთობა „პატრონყმობად" წოდებული, ფრანგი მეცნიერი ჟ. კარსტის აზრით, იშვიათი ჰუმანიურობით გამოსახული. (პროფ. ჟ. კარსტ — კოდ ჟეორჟიენ დუ რუა ვახტანგ 6. სტრასბურგ, 1934).

უკვე ძველთა ძველი დროიდან საქართველოს არა ერთი მპყრობელი არა ერთხელ სცდილა ამ კეთილშობილი ქართული აზროვნების სულის აღმოფხვრას, შერყვნას, განიავებას, მაგრამ ვერას გამხდარა. მას ვერ მოერია ვერც ცეცხლი სპარსულ მაზდეანიზმისა, ვერც ურიცხვ მაჰმადიანთა მრისხანე მახვილი, ვერც რუსეთის თვითმპყრობელთა შოვინისტური ძალადობა. და თუ ქართველმა ერმა გაუძლო და უძლებს მათ და დღემდის არ ჩაქანდა სრულ არარაობის უფსკრულში, ეს არის შედეგი ქართველთა მოდგმაში დამკვიდრებულ ამ საკუთარ ძირ - მაგარ მაღალ ზნეობრივ ადამიანურ და საზოგადოებრივ აზროვნებისა.

საქართველოს და ქართველი ხალ-

ხის ისტორიის შესწავლამ დაარწმუნა ბოლშევიკთა პროფესორიც, კ. ბაზილევიჩი, რომ ამ მაღალ ღირსებამ შეაქმნევინა ქართველ ერს, მისი თქმით, „ერთი უძველესთაგანი კულტურა ევროპაში“ (!პრავდა“, 2. 7. 47) და ევროპიელი მეცნიერის არ-თურ ბიჰანის დასკვნით „კავკასიურ ცივილიზაციად“ წოდებული (არტჰ. ბიჰან — ლა სივილიზასიონ კოკაზიენ. ჰამბურგ, 1936).

ერთ მთავარი მიზეზთაგანი ქართული აზრის მეობის გამძლეობისა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ მის შემოქმედებას არ სჩვევია ბრმა მიბაძვა უცხოელთა მოძღვრებათათვის, ან მის თავზე ძალით მოხვეულ უცხოთა ნაზრევ - ნამოქმედარში გათქვეფა. იგი მუდამ თავის მაგარ ფარს, — „მშობლიურ ისტორიას, ცხოვრებას და ქართველობას ეკიდებოდა“ (გ. წერეთელი) — მით იბრძოდა და ბოლოს ისევ საკუთარი გზა გაჰქონდა.

ჩვენს ჟამთა მსვლელობის ვითარებაში, ომებით და რევოლუციებით აშლილ კაცობრიობის, ამ სისხლის წვიმების ხანაში, როდესაც წამებულ საქართველოს კვლავ დაემუქრა ყოფნა - არ - ყოფნის მრისხანე ბედი, ყველა ქართველ მამულიშვილთ ევალებათ მაგრად ჩაეჭიდონ თავის ქართველობას; მტკიცედ დაიცვან ქართული აზრის ეს „მეობა“ და მით მოფარებულნი თავგამოდებით იბრძოლონ ყველგან და ყოველთვის ქართველთა მოდგმის მის ძვირფას მემკვიდრეობის, საკუთარ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების აღდგენა - დამკვდრებისათვის.

დ. ვაჩნაძე

10. 1949. მუენჰენი.

დედოფალი დარეჯანი
და
კარლოს მეოთხე

(პარალელები)

ეს ჩვენი შედარება მეფე ერეკლესი და ესპანეთის მეფე კარლოს მეოთხესი მეტად ძნელია. მეფე ერეკლე იბრძოდა თავისი ერის გადასარჩენად, ხოლო კარლოს მეოთხე ნადირობის და განცხრომის მეტს არას დაგიდევდა. მაგრამ ესპანელებს ხომ თავისი დიდი წარსული ჰქონდათ, და ეს არც ნაპოლეონის და არც ალექსანდრე პირველის ხელწამოსაკრავი არ გახლდათ.

კარგად ვიცით, თუ რაოდენ დაცემული იყო 1800 წ. ესპანეთი ბურბონების ხელში; ისიც ვიცით, თუ რაოდენ დასუსტდა საქართველო თავდადებულ და მოყვარულ ბაგრატიონების დროს. ერეკლე მეფე, მიუხედავად რუსთა მრავალ ღალატისა, მაინც რუსეთის მოკავშირეობას ლამობდა, რადგან სხვა გამოსავალი არა ჰქონდა თავისივე წარმოდგენით;

იგი თავის შორს მჭვრეტელობაში თვით ერის ყოფნა - არ -ყოფნისათვის იბრძოდა, როდესაც კარლოს ერი თან ახლდა, მაგრამ თვით არ ვარგოდა, რის გამო ესპანეთი სისხლისაგან დასცალა.. ვიმეორებ, შედარება ძნელია, მაგრამ სურათი ერნაირად გვეჩვენება.

აღვნიშნავთ, რომ ქ. გიორგიევსკში 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შორის დიდო მოკავშირეთა ხელშეკრულება, ისევე როგორც ნაპოლეონის საფრანგეთი ესპანეთის მოკავშირედ ითვლება მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ავსტრიელები იტალიაში. დაამარცხა და ტრაფალგარის საზღვაო დამარცხების შემდეგ ხომ წარმოუდგენელად ჩაითვლება საფრანგეთ - ესპანეთის რაიმე უთანხმოება.? მაგრამ ნაპოლეონი უკვე ტილზიტის ზავის შემდეგ საიდუმლოდ განიზრახავს ესპანეთის ბურბონების სამეფო ტახტის მოსპობას და თავისი გვარის გაბატონებას.

უკვე 1807 წ. ნაპოლეონი იმავე გზას ადგება ესპანეთის მიმართ, რასაც რუსეთი საქართველოში გაჰყვა. 1808 წ. 25 / 2-დან ნაპოლეონი აშკარად ერევა ესპანეთის შინაურ საქმეებში და საფრანგეთის ჯარი ესპანეთის საზღვრებს უახლოვდება. ცხადია, საქართველოს დაცემაში აც პრინციპე დე - პასი არსებობს, თავისი გარყვნილებით და არც მისი საყვარელი, უღირსი დედოფალი და არც ანარხუეს 1804 წ. 17/18 მარტის რევოლუცია მომხდარა, როგორც მადრიდში, რომლის გამო ნაპოლეონმა თავისი წადილი სრულად მარტივად თუ არა, ყოველ შემთხვევაში მეტად ადვილად აისრულა და ესპანეთის ბურბონები ხელში ჩაიგდო. დღიდან 1808 წ. 8 მარტიდან ნაპოლეონი მოუსვენებელია, ყოველ თავის ხელქვეითს ერთსა და იმავეს მოსთხოვდა, რასაც იმპერატორი ალექსანდრე მოითხოვდა, რომ დედოფალი მასთან „სტუმრად“ გაეგზავნათ და ამით იგი ხელთ ჩაეგდოთ. მართალია, მარეშალი მურა ჩამომავლობით ესპანელი არ არის, მაგრამ იგი საფრანგეთის სამხრეთის შვილია და რომ კარგა გამოვძებნოთ, უეჭველად იგიც ესპანელია, როგორც პავლე ციციანოვი — „ქართველი“, რომელმაც ასე კარგა განახორციელა რუსეთის იმპერატორის სურვილი - ბრძანება და საქართველოსა და ბაგრატიონებს ლახვარი ჩასცა. ნაპოლეონი კარლოს მეოთხეს და ფერდინანდ მეშვიდეს ხელში ჩაგდებას სცდილობს და იგი ამ შემთხვევაში მამაკაცებს ებრძვის და არა როგორც რუსთა იმპერატორი — დედაკაცს, დედოფალ დარეჯანს!

როგორც კი მეფე გიორგი მეცამეტე გარდაიცვალა, 1800 წ. 28 დეკემბერს, რუსეთის ღენერალმა ლაზარევმა დავით ბატონიშვილს ნება არ მისცა ტახტზე ასულიყო, — ისევე მარეშალ მიურამ კარლოს მეოთხეს ძეს, ფერდინანდ მეშვიდეს ნება არ მისცა ტახტზე ასულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მამა მისმა კარლოს მეოთხემ თავის გადადგომაზე ხელი მოაწერა და ძე თვისი, ფერდინანდი მეფედ აღიარებულ იქმნა, მაინც იგი ფრანგებმა ტახტზე არ აუშვეს.

დედოფალი დარეჯანი რუსებმა ვერაფრით ვერ მოხიბლეს და პეტერბურგს ვერ მიიტყუეს.მხოლოდ ძალამ აიძულა ეს დიდი ქართველი ქალი რუსეთს გადასახლებულიყო. ამდენივე არ ითქმის კარლოს მეოთხესა და მისი შვილის შესახებ.

კარლოს მეოთხე, დაშინებული 1808 წლის არანხუეს რევოლუციით სრულიად უილაჯო შეიქმნა და ამის საწინააღმდეგოდ სწორედ რომ ნაპოლეონს მიმართა თავისი შვილის წინააღმდეგ და მას სთხოვა მამა-შვილური დავის გადაწყვეტა! ნაპოლეონმა ეს საბაბი ხელთ იგდო და თავის მოხელეებს უბრძანა: მთელი ბურბონების საგვარეულო საფრანგეთისაკენ გაესტუმრებინათ. და როდესაც მარეშალ მიურამ განზრახ და ელჩმა დე - ბოარნემ გულუბრყვილოდ მამაშვილს საფრანგეთისაკენ მოგზაურობაზე მიუთითეს, როგორც მამა ისე შვილი ამ ანკესზე წამოეგენ და საჩქაროდ ბაიონნისაკენ გაქანდენ.

ღირსაღსანიშნავია ისიც, რომ ესპანეთს, როგორც საქართველოში, თავისი ბრძენი ლეონიძე აღმოაჩნდა, ბ-ნი ურკინე, რომელმაც ფერდინანდ მეშვიდეს არა ქალაქ ბაიონისაკენ მოგზაურობა ურჩია, არამედ ტყეში გასვლა და ესპანეთის ტახტისათვის ბრძოლა. არც ლეონიძესა და არც ურკინეს არ დაუჯერეს.

როგორც იმპერატორი ალექსანდრე ციციანოვის პირით დედოფალ დარეჯანს უთვალავ დაპირებას აძ-

ლევდა და რუსეთისაკენ იწვევდა, ისე ნაპოლეონიც — ფერდინანდსა და კარლოსს, და ამავე დროს თავისი ძმისათვის ტახტის ჩაბარებაზე ფიქრობდა.

ამ ორ ერთიდაიგივე ისტორიულ ამბავში განსხვავება ისაა, რომ ნაპოლეონმა თავისი ძოკავშირის ბურბონების ტახტი გააუქმა, მაგრამ ტახტი ესპანეთისა თავის ძმას მიაკუთვნა და ერთის ხელის მოსმით (როგორც რუსეთმა — საქართველო) საფრანგეთის გუბერნიად არ გადააქცია.

ნაპოლეონმა ესპანეთში ბურბონები ჩამოაგდო, მაგრამ ესპანეთის ტახტზე თავისი ძმა ჟოზეფი აიყვანა და ამით უკეთესი მოკავშირე გაიჩინა. ხრიკი მეტად რთულია, მაგრამ მოქნილი და არა ისეთი, როგორც რუსეთის ტლანქი მოქცევა საქართველოს მიმართ.

ესპანეთს უფრო უკეთესი ბედი ეწვია ამ ერთსა და იმავე ამბავში. ესპანეთმა ბურბონების შეცდომა თავისი სისხლით გამოისყიდა — იგი ნაპოლეონს აუჯანყდა და ისიც ვიცით, თუ როგორ!

ეს ისტორიული ამბები იმდენად ერთი და იგივეა, რომ თვით მომქმედმა პირებმაც კი ხაზი გაავლეს, რადგან იმპერატორი ალექსანდრე, როგორც სხვა ქვეყნების მეფეები ესპანეთის ტახტიდან ბურბონების ჩამოგდებით აღშფოთებული იყო და იმდენად დაშინებულიც, რომ როდესაც ქ. ერფურტში დანიშნულ კონფერენციაზე იმპერატორი ალექსანდრე ნაპოლეონს უნდა შეხვედროდა, მისმა დედამ შიში გამოსთქვა, და თავისი შვილი ალექსანდრე გააფთხილა — ნაპოლეონმა ხელში არ ჩაგიგდოს, როგორც კარლოს მეოთხე და ფერდინანდ მეშვიდეს!.. როდესაც ეს ამბავი ნაპოლეონმა გაიგო, მან საქართველოზე მიუთითა..

ასეთი იყო ორი ერის ერთი და იმავე დროს მომხდარი ისტორიული ამბავი. დასასრული მისი სხვა და სხვაა — ესპანეთი მალე განთავისუფლდა — ნაპოლეონთა ბატონობა მან მალე მოიშორა...

— ხოლო საქართველო, დღესაც ისევ რუსეთის ბატონობაშია!

როდემდის?

გვჯერა, რომ რუსეთის ფარფაში დიდხანს ვერ გასტანს...

ავთი.

ქართველთა შორის

150 და 30 წლის თავზე

რეზოლუცია მიღებული ერთხმად ქართული სათვისტომოს საგანგებო სხდომაზე 30 სექტემბერს 1951 წ. ალიანს ფრანსესის დარბაზში, საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონ შ. აბდუშელის თავმჯდომარეობით.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა 1951 წლის 30 სექტემბერს რუსეთის პირველი და მეორე შემოსევის 150 და 30 წლის თავის მოსაგონებლად, მოისმინა მოხსენებები ბ. ბ. ა. მანველიშვილისა, რ. არსენიძისა და ა. ჩხენკელისა, მიიღო შემდეგი **რეზოლუცია:** —

შე - 18 საუკუნის დასაწყისს, რუსეთზე მინდობილმა საქართველომ მეგობრული, თუმცა უთანასწორო ხელშეკრულებით შეაფარა თავი რუსეთის იმპერატორის მფარველობას. მოყვრულად მოწვეული, დამცველად მიჩნეული რუსეთის იმპერია მუხანათურ დამპყრობად გადაექცა საქართველოს, უარყო ხელშეკრულება, გასტეხა სიტყვა და სამართალი, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას რომ უნდა განაგებდეს.

ულეში ძალით გააუქმა 2.000 წლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობა მისდამი მინდობილ ერის.

118 წლის განმავლობაში მძიმე უცხო უღლის წინააღმდეგ ბრძოლებში გაკაუებული ქართველი ერი 1918 წელს კვლავ აღსდგა, განახლებული, გამობრძმედილი, რევოლუციის ცეცხლგამოვლილი და თავისუფალ ერთა საერთაშორისო ოჯახში შევიდა თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივობის ახალი ფორმით, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, შეიმუშავა თავისი კონსტიტუცია, შექმნა ადგილობრივი ორგანოები, მოიპოვა ცნობა მრავალ სახელმწიფოთა, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში.

კომუნისტური მოსკოვის მთავრობა ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იცნო ჩვენი რესპუბლიკა და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობა დაგვიდვა. მაგრამ დაგვიდვა იმისთვის, რომ მეორე დღესვე შეიარაღებული თავდასხმით უარ ეყო თავისი დაპირებანი.

საბჭოთა რუსეთის დიკტატორულმა მთავრობამ ვერ მოითმინა თავის გვერდით თავისუფლების მოყვარული ერის თავისუფალი, ჰუმანიური წყობილებით წელგამართული ერის არსებობა და თავის მრავალრიცხოვანობით თავვასულმა უხეში ძალით დაიკავა პატარა საქართველო.

მაგრამ თავისუფლების აიაზმით ნაპკურები ქართველი ერი, როგორც ერთი და მთლიანი, კლდესავით ურყევი სიმტკიცით უმკლავდება ახალ მოძალადეთ. იგი პროტესტებით, მიტინგებით, სისტემატიური წინააღმდეგობით, აჯანყებათა მთელი რიგით. ამყლავნებს თავის შეუდრეკელ ნების-ყოფას — იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საჯარო კრება ამ ორი მუხანათური დატის 150 და 30 წლის თავზე შეკრებილი განურჩევლად პარტიისა, რწმენისა და მიმართულებისა, ქალი და კაცი, თავის მოვალეობად ოკლის დღეს ხიშტებით პირაკრული და შებოჭვილი ქართველი ერის სახელით ბის მაგიერ შეღაღადოს მეოცე განათლებულ კაცობრიობას ამ საპჭოთა კომუნისტური ტირანიის უმაგალითო ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც მრავალ სხვა ერთაც მოუსპო თავისუფლება და მოკლა მსოფლიოს მშვიდობიანობას უდიდესი საფრთხით ემუქრება.

ქართველი ერი დაძაბული და ხმა გაკმედილი იბრძვის დღესაც, და მთელი მოწინავე კაცობრიობისაგან, რომელიც ერისა და ადამიანის უფლებათა დროშას ატარებს, მოელის თანაგრძნობას, დახმარებას, ხელისშეწყობას ამ უთანასწორო ბრძოლაში თავის სუვერენულ უფლებათა დასაბრუნებლად.

ქართული ემიგრაცია თავის მხრივ ამ მწარედ მოსაგონარ საბედისწერო თარიღების აღნიშვნის დღეს მტკიცე და ურყევ პირობას სდებს, რომ იცავს რა ქართველი ერის სუვერენული უფლების ურყევ პრინციპს ყოველგვარ შელახვისაგან, მზად არის მსოფლიო დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად მთელი თავისი ძალით და შესაძლებლობით იბრძოლოს როგორც თავის, ისე ყველა საბჭოთა კავშირისაგან დაჩაგრულ ერთა სუვერენულ უფლებების აღსადგენად და მის დასაცავად.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე —

შ. აბდუშელი

საქართველოს ეროვნული საბჭო

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებამ გამოიწვია ქართული ეროვნული ემიგრაციის ამოძრავება და მისწრაფება მთელი პოლიტიკური და მებრძოლი ემიგრაციის დარაზმისაკენ. პარიზში შესდგა კრება, რომელმაც აირჩია განსაკუთრებული კომისია იმ დავალებით, რომ დაარსებული ყოფილიყო „ეროვნული საბჭო". ჩვენ აქ საამისო მოწოდებას ვათავსებთ —

ძვირფასო თანამემამულენო!

როცა ერი პირაკრულია შემოჭრილი მტრისაგან — ემიგრაციას მართებს ამეტყველება. როცა ერის ნებისყოფა შებოჭილია რკინის არტახებით, თავისუფალ ქვეყნებში გახიზნულ მის შვილთ მართებთ ბრძოლა და მოქმედება მისი განთავისუფლებისათვის. მათ აქვთ ამის **უფლება** და აძევთ ამის **მოვალეობა**.

დღეს ამ რბძოლისა და მუშაობისათვის იხსნება ახალი და ფართო ასპარეზი.

ჩვენს დამპყრობელ კომუნისტურ ტირანიას, მოსკოვში ჩასაფრებულს, უპირდაპირდება მთელი თავისუფალი კაცობრიობა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და რაც უმთავრესია ჩვენთვის, უპირდაპირდება ერისა და ადამიანის უფლებათა დროშით. ესაა დროშა მსოფლიო დემოკრატიისა — წინააღმდეგ მოსკოვის ტოტალიტარული რეჟიმისა, რომელიც ერთა დამონებისა და პიროვნების გასრესაზე არის აგებული. ამ ნიადაგზე დგება კავშირები სახელმწიფოთა და ერებისა. ამავე ნიადაგზე სდგება მნიშვნელოვანი გაერთიანებანი, როგორც აღმოსავლეთ ევროპის დაჩაგრულ ერების, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრებ ერთა თავისუფალ, დემოკრატიულ მებრძოლ ძალების. ქართულ პოლიტიკურ ემგრაციას აქ ეძლევა ფართო შესაძლებლობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მორალი სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს და ჩვენი ერის სამართლიანი მოთხოვნა — თავის სუვერენობის აღდგენისა — აქტუალურად დააყენოს მთელი კულტურული კაცობრიობის წინაშე. ქართულ ემიგრაციას მოეთხოვება ამ ფართო, რთულ და მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის — შექმნას ერთი მთლიანი ფრონტი განუყრელი და შეურყეველი. აქ განზე გადგომა დანაშაულია, განხეთქილების ჩამოგდება — ღალატის ტოლად დამაზიანებელია. ერის უმაღლეს ინტერესების წინაშე უკან უნდა ჩამოდგეს ყოველი სხვა მოსაზრებანი და მისწრაფებები.

პარიზის ქართულ პოლიტიკური ემიგრაციის მრავალრიცხოვანმა კრებამ, ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებით გამსჭვალულმა, ერთსულოვნად აირჩია საორგანიზაციო კომისია ეროვნული ხელმძღვანელი ორგანოს შესაქმნელად.

არჩეულმა კომისიამ, თანახმად კრების დავალებისა, შეიმუშავა „ეროვნული საბჭოს" წესდების პროექტი, განსაზღვრა მის წევრთა რიცხვი, გაანაწილა იგი პარიზში მომქმედ პარტიათა და ორგანიზაციათა შორის და რომ საბჭოს ორგანიული კავშირი ჰქონდეს სხვა ქვეყნების ქართულ ემიგრაციასთან, აუცილებლად დაინახა მათი წარმომადგენლების მოწვევა.

აქვე გეგზავნებათ წესდების პირი და რაოდენობა თქვენი ხვედრი დელეგატებისა.

დარწმუნებული ვართ, რომ მიიღებთ საჭირო ზომებს, რათა გააცნოთ ჩვენს თანამემამულეებს ჩვენი მიმართვა და დანიშნულ დროისათვის ე. ი. 20 — 21 ოქტომბერს 1951 წლისთვის გამოგზავნოთ თქვენი დელეგატები.

დელეგატების სახელი და გვარი გთხოვთ გვაცნობოთ წინასწარ, რომ შესაძლებელი იქნეს დროზე მათთვის ვიზის დამზადება.

საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე — რ. არსენიძე.

მდივანი — გ. წერეთელი.

ეროვნული საბჭოს წესდება

საქართველოს ეროვნული საბჭო არის ცენტრალური ორგანო საქართველოს განმათავისფლებელი მოძრაობისა უცხოეთში.

საბჭოს დანიშნულება

საქართველოს ეროვნული საბჭო მიზნად ისახავს იმუშავოს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" აღდგენისათვის.

კერძოდ:

ა. გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მომქმედ ქართულ ძალებს და ორგანიზაციებს.

ბ. გასწიოს სათანადო პროპაგანდა უცხოეთის საზოგადოებრივ წრეებში.

გ. გააცნოს საქართველოს საკითხი და მისი ახლანდელი მდგომარეობა სხვა და სხვა ქვეყნის პასუხისმგებელ პირებს და ორგანიზაციებს, რათა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირონ, როცა მათ წინაშე ეს საკითხი დადგება.

დ. გამოსცეს ბეჭდვითი ორგანო, წიგნები და საინფორმაციო ფურცლები ქართულ და უცხო ენებზე.

ე. საქმიანი დამოკიდებულება, თუ კავშირი დაიჭიროს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელნიც:

1. ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲡᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲣᲚ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲘ.

2. ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲠᲔᲖᲔᲠᲕᲝᲓ.

3. ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ,

ვ. იძიებს ნივთიერ საშუალებას თავის დანიშნულების განსახორციელებლად.

საბჭოს წევრთა მოვალეობანი

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრნი და მასში შემავალი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ დაიცვან საერთო ბრძოლის ფრონტი და საერთო ხაზი მოქმედების საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ერთი მეორეს თავს არ ესხმიან და არა შემთხვევაში მის წინააღმდეგ არ მოქმედებენ.

საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს ეროვნულ საბჭოს შეადგენენ:

1. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები (რიცხვი განისაზღვრება შეთანხმებით)

2. ის ქართველი მოღვაწენი, რომელთა მოწვევა სასარგებლოთ იქნება მიჩნეული.

ორგანო მმართველობის

საქართველოს ეროვნული საბჭოს მმართველი ორგანოებია: საზოგადო კრება და კომიტეტი.

საზოგადო კრება იმართება: ჩვეულებრივი — წელიწადში ორჯერ. ხოლო არაჩვეულებრივი — საჭირო-

ფ. ვარლამიშვილი

მებადურნი

ების მიხედვით. მას იწვევს საქართველოს ეროვნული საბჭოს კომიტეტი თავის დადგენილებით, ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

საზოგადო კრება იმუშავებს მოქმედების საერთო პოლიტიკურ ხაზს და სამოქმედო დირექტივებს აძლევს კომიტეტს. იგი იმუშავებს და ამტკიცებს ბიუჯეტს.

კომიტეტი საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა. კომიტეტს ირჩევს საბჭოს წევრთა საზოგადო კრება ხმის უმრავლესობით და ერთი წლის ვადით.

კომიტეტი შესდგება შვიდი წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

კომიტეტის წევრნი თავმჯდომარეობენ კომიტეტის სხდომას მორიგეობით, დანარჩენი ფუნქციები წევრთა შორის ნაწილდება თვით კომიტეტის მიერ.

ყოველი გადაწყვეტილება, როგორც საზოგადო კრებაზე, ისე კომიტეტში, სწყდება ხმის უმრავლესობით.

კომიტეტს აქვს მიწერ-მოწერა და გამოდის ყველგან საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით.

პირველი ეროვნული ყრილობა პარიზში

პირველი ეროვნული ყრილობა როგორც დადგენილი იყო, გაიხსნა პარიზში 20 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. ყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ - ფედერალისტები, — თეთრ - გიორგის წარმომადგენლნი, ნაციონალ-დემოკრატები პიროვნულად და უპარტიონი. ამათ გარდა ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ — სპარსეთის, ოსმალეთის, ინგლისის, იტალიის და არგენტინის, საზოგადოებათა რწმუნებულები. ჩრდილო - ამერიკის ქართულმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო თავისი დეკლარაციით. ვიზების დროზე მიუღებლობის გამო ვერ დაესწრნენ მიუნხენის და ბრუსელის წარმომადგენლები.

საორგანიზაციო კომისიის სახელით ყრილობა გახსნა ბ. რაჟდენ არსენიძემ. ყრილობის თავმჯდომარეებად აირჩიეს ბბ. დ. სხირტლაძე, ვ. ბაქრაძე და კ. გვარჯალაძე. ყრილობა დიდი ოვაციით შეეგება ნოე ჟორდანიას და იგი საპატივო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ცოტა ხნის თათბირის შემდეგ მოხდა შეთანხმება : — დაარსდეს ეროვნული საბჭო, განხილულ იქმნას მისი წესდება და აირჩეს დროებითი აღმასრულებელი ორგანო, რომელს დაევალება მოაგვაროს და გაუძღვეს ყველა მიმდინარე საქმეს, ხოლო ექვსი კვირის შემდეგ მოიწვიოს ყრილობის მეორე სხდომა.

ყრილობას დავმჯდომარეობდა ბ-ნი დავით სხირტლაძე. სხდომას მთავრობის სახელით მიესალმა ბ. ევგენი გეგეჭკორი. მას საპასუხოდ გამოეხმაურნენ პარტიის წარმომადგენლები და ყველამ ერთხმად აღიარა თანამშრომლობისა და ერთობის აუცილებლობა. ყრილობა შემდეგ შეუდგა თქვენ მიერ ცნობილი წესდების განხილვას (რომელიც აქვე, ზემოდაა დაბეჭდილი) და მცირე შესწორების შემდეგ იგი დაამტკიცა ერთხმად.

კვირის სხდომას თავმჯდომარეობდა ბ. კ. გვარჯალაძე. დაისვა საკითხი აღმასრულებელი ორგანოს არჩევისა. მაგრამ ვინაიდან საარჩევნო შეთანხმება გაძნელდა, ამიტომ ბ. ნოე ცინცაძემ შემოიტანა წინადადება:— ყველა პარტიის წარმომადგენელს მოეხდინა განცხადება თავის მიზანთა შესახებ. საერთო პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ბ. ევ. გეგეჭკორმა. ილაპარაკეს პარტიის წარმომადგენლებმაც და სოშოს კოლონიის წარმომადგენელმა ბ. ალ შათირიშვილმა. ამას შემდეგ მოხდა არჩევნები. აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: — დავით სხირტლაძე, კ. გვარჯალაძე, რ. არსენიძე, ნ. ცინცაძე, ნ. ურუშაძე, კ. სალია, გ. კერესელიძე და გრ. ურატაძე.

აღმასრულებელი კომიტეტი მაშინვე მუშაობას შეუდგა. დაისვა საკითხი: — მიეღოთ თუ არა მონაწილეობა „რუსეთში შემავალ ერთა ლიგის" ყრილობაზე, რომელიც 1 ნოემბერს გაიხსნებოდა. გადაწყდა დადებითად და არჩეულ იქმნა ორი დელეგატი — ნ. ცინცაძე და დ. სხირტლაძე; მათ დაემატებ მიუნხენის კოლონიის ერთი წარმომადგენელი. ქართველ დელეგატებს დაევალათ: აღნიშნულ ლიგაში ქართველები მონაწილეობას მიიღებენ მას შემდეგ, რაც ლიგაში შემავალი რუსები საქართველოს დამოუკიდებლობას ურეზერვოდ სცნობენ. როგორც ვიცით, ამაზე წინასწარი თანხმობა მოცემულია პასუხისმგებელ რუსთა მიერ. ვნახოთ ჩვენი დელეგატები რას ბაღწევენ და რა პასუხს ჩამოგვიტანებენ. დამსწრე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის უფლებათა

დასაცავად

1951 წლის 28 აგვისტოს ნიუიორკში შესდგა „ქართველ - ამერიკელთა ლიგის“ გამგეობის სხდომა, რომელმაც შემეგი დადგენილება მიიღო —

„ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობა შეუწყვეტლივ რთულდება და მოსალოდნელია მალე დიდი მოვლენების წინაშე დავდგეთ, ამიტომ „ქართველ - ამერიკელთა“ ლიგა ეროვნულად და საჭიროდ სთვლის — ქართული ემიგრაციის ყველა ცენტრებს აცნობოს თავისი პოზიცია ეროვნულ საკითხში.

„ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლი, განისაზღვრება, უცხოეთში საქართველოს ინტერესების დაცვით და საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლით. ქართველი მამულიშვილების საუკეთესო ნაწილი დიდი ხანია ამ მიზანს უანგაროდ ემსახურება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალ საკითხებში უთანხმოებისა, პრინციპიალური საკითხი — საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა — ყოველთვის და ყველასათვის უდავო და კამათის გარეშე სდგას.

„ამ ჟამად, როდესაც მოახლოვდა დრო ყველა მებრძოლი ძალების დარაზმვისა გადამწყვეტი ბრძოლის მისაცემად, საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ბედის მიერ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა და ურყევი რწმენით შევამჭიდროვოთ რიგები. რადგან ქართველი ერი ჩვენი სამშობლოსათვის გადამწყვეტ მომენტში მერყეობას არ გვაპატიებს. ანტიკომუნისტური მსოფლიო ძალები ღღეს აშკარად ირაზმება ძალადობის და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ ბრძოლაში.

„ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საქართველო დაპყრობილია ორის მხრივ — ეროვნულად (რუსეთის ერის მიერ) და პოლიტიკურად (კომუნისტური - ბოლშევიკური წესწყობილებით). ამისდა მიხედვით ჩვენი საწინააღმდეგო ბრძოლაც აუცილებლივ ორივე მხრივ უნდა იყოს მიმართული.

„რუსული პოლიტიკური ემიგრაცია იბრძვის მხოლოდ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ჩვენ კი — დამპყრობელების. ამ გვარად, ქართული და რუსული პოლიტიკური ემიგრაციების გზები სხვა და სხვაა. ამიტომ გვმართებს სიფრთხილე.

„მართალია რუსეთმა ძალით მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ წარმეული დამოუკიდებლობის კვლავ დაბრუნება დღეს უკვე რუსეთის ძალაში აღარ შედის. ამ ნიადაგზე, თანახმად ქართველი ერის ისტორიული და იურიდიული უფლებებისა, „ქართველ - ამერიკელთა ლიგა“ თავის მოქმედებაში თანამშრომლობს ჩრდილო - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოებთან და თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებთან ერთად“.

„ქართველ - ამერიკელთა ლიგის“ გამგეობის თავმჯდომარე

თეიმურაზ ბაგრატიონი

გამგეობის მდივანი **გივი კობახიძე**

წერილი ნიუიორკიდან

როგორც იცით, ნიუიორკში დაარსებულია ქართველ - ამერიკელთა ლიგა, რომლის თავმჯდომარეა ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი, მისი მოადგილე — ბ. პავლე კვარაცხელია და მდივანი ბ. — გივი კობახიძე.

ამა წლის ოქტომბრის სამს, ქართველ - ამერიკელთა ლიგამ გადასცა უნოს ანუ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის სამდივნოს და ამას გარდა უნოში შემავალ ერთა დელეგაციებს მემორანდუმი, რომლითაც იგი იმედს გამოთქვამს, რომ გაერთანებულ ერთა ორგანიზაცია (უნო) ქართველი ერის უფლებებს სცნობს და მას მხარს დაუჭერს. მემორანდუმში მოთხრობილია, რასაკვირველია, მოკლედ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობისა, რუსეთის მიერ პირობის დარღვევისა და უხეში ძალით საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის ამბავი.

„ჩვენ ვთხოვთ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას (უნოს) ახსოვდეს მას, ნათქვამია იქ, ქართველი ხალხის უფლება, იმ ხალხისა, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის წარსულში და დღეაც ეწინააღმდეგება დაჩაგვრას“-ო.

მემორანდუმს დართული აქვს 5 დამატება — 1). საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან ამონაწერები, 2). საქართველოს ურთიერთობა უწინ არსებულ ერთა ლიგასთან, 3). სია იმ სახელმწიფოთა, რომელთაც იცვნეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 — 21 წელში, 4). საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ხელშეკრულებიდან ამონაწერები და 5) აჯანყებათა სია 1802 წლიდან 1937 - მდე.

ამ მოხსენებამ გამოხმაურება ჰპოვა უნოს წრეებში და სხვა და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებში.

ხუთ ოქტომბერს ბ. თეიმურაზ ბაგრატიონმა მოიწვია ნიუიორკის პრესის წარმომადგენლები და მათ გაუმართა მოხსენება საქართველოს საკითხზე. კონფერენციას ხელმძღვანელობდა თვითონ ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი და ბ. პავლე კვარაცხელია. ამ შეხვედრის შესახებ, სხვათა შორის, „ნიუიორკ ჰერალდ ტრიბუნ“-მა დაბეჭდა ვრცელი ანგარიში. წერილს სათაურად აქვს — ქართველები უარჰყოფენ სტალინის უფლებას, ილაპარაკოს საქართველოს სახელით — . შემდეგ აღწერილია თვით კონფერენცია და დასაბუთებულია ქართველი ხალხის უფლებები.

ნიუიორკელი

მამა ფილიპე დე რეჟის

ეს სახელი ქართული ფართო საზოგადოებისათვის უცნობია; მაგრამ მას იცნობს ყველა ქართველი, ვინც ომის ნგრევათა შედეგად იტალიაში მოხვდნენ და საშინელ პირობებში ჩაცვივდნენ როგორც ნვივთიერად, ისე განსაკუთრებით იმ ნადირობისა გამო, რომელიც წითლებმა გამართეს ემიგრანტების შესაპყრობად. რუსის ბოლშევიკები, თავის შეგობარ იტალიელ ბოლშევიკებთან ერთად, დაძრწოდნენ და ეძებდნენ ქართველებს დასაჭერად. ამას გარდა, თვით გამარჯვებული მოკავშირენიც იტალიაში შერეკილ ემიგრაციას არ აყენებდნენ და ისინიც ასობით იჭერდნენ მათ როგორც გერმანიის ყოფილ ჯარისკაცებსა და „სამხედრო დანაშაულეებს“ წითლებს აბარებდნენ. დატრიალდა საშინელი ამბები, რომელთა აღწერას აქ არ შევუდგებით. ვინ იყო მხსნელი? ვინ იყო დამხმარე? არავინ, გარდა რომის ეკლესიისა და მონასტერისა, ბერებისა და მონაზონებისა. ესენი იყვნენ რომ ფარავდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ვისაც წითლების კლანჭებში ჩავარდნა მოელოდათ. მრავალი და მრავალი განწირული გადაარჩინა რომაულმა მონასტერმა.... ამ გადამარჩენელთა შორის იყო ერთი შესანიშ-

ნავი პიროვნება, რომლის სახელია ფილიპე დე რეჟის: მისი სახელის გაგონება ლტოლვილთათვის იყო: იმედი, მფარველობა და ხსნა გაჭირვებისაგან...



ფილიპე დაიბადა 1897 წელს სამხრეთ საფრანგეთში; ჩამომავლობით იგი არის ფრანგი, არისტოკრატი, კონტის გვარისა — დე რეჟის. მის წინაპართა შორის არა ერთი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეა — 1640 წელს წმიდანად იქმნა გამოცხადებული ერთი მისი წინაპართაგანი, იოანე დე რეჟის. და ჩვენი მეგობარიც სასულიერო გზას შეუდგა; მან დაასრულა ნიმის კოლეჯი, განგაიარა მწირობა და 1926 წელს, 12 წლის სწავლისა და წრთვნის შემდეგ მღვდლად ეკურთხა. შემდეგ იგ დაინტერესდა ამოსავლეთის ეკლესიის საკითხებით, და იეზუიტთა გენერალური ორდენის თანხმობით, რუსული ეკლესიის საკითხის შესწავლა დაიწყო. იგი თვით გადავიდა უნიატობაში და უნიატურ მოძრაობასაც ხელმძღვანელობდა. ეს არის მოძრაობა, რომელიც რჩება აღმოსავლეთის ეკლესიის წესზე, ოღონდ რომის პაპსა სცნობს ეკლესიის უზენაეს მეთაურად. მამა ფილიპე სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა და საფრანგეთში იყო იმ დროს, როდესაც იტალიაში ემიგრაციის დევნა დაიწყო. მან სასწრაფოდ დასტოვა საფრანგეთი, სადაც იგი ლტოლვილთ და ტყვეებს ეხმარებოდა და გაეშურა იტალიისაკენ — აქ მას დიდი მოვალეობა დაეკისრა — გადაერჩინა სიკვდილისაგან მრავალი განწირული ხალხი, და მათ შორის ქართველებიც....

30 სექტემბერს, ბუენოს აირესში მას შეუსრულდა 25 წელიწადი თავისი მოღვაწეობისა და აქაურმა უნიატურმა ეკლესიამ აღნიშნა ეს დღე. ბარაკლიის შემდეგ დამსწრე საზოგადოება მიიპატიჟეს ეკლესიის ეზოში, სადაც გამართული იყო სუფრა. პირველად მრევლის სახელით წარმოითქვა სიტყვა. შემდეგ სიტყვა მიეცა ბ-ნ ვ. ნოზაძეს, რომელმაც მამა ფილიპეს მადლობა გამოუცხადა მისი მოღვაწეობისათვის და სიტყვის დასასრულს მიართვეს ფ. ვარლამიშვილის მიერ დახატული სურათი — საეკლესიო დღეობა საქართველოში. მამა ფილიპე აღფრთოვანდა ასეთი სიტყვითა და საჩუქარით და ვინაიდან მე მის გვერდში ვიყავ, მკითხა, თუ როგორ ეთქვა ქართულად მადლობა და ხმამაღლა ორჯერ განიმეორა — გმადლობთ! გმადლობთ! მთელი დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით გაუმასპინძლდა ასეთ გამოსვლას და მეტად კმაყოფილი დარჩა ყველა. შემდეგ ილაპარაკეს რუსულ სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა და ყველამ მას უგულითადესი მადლობა მიუძღვნა მისი დიდი და შესანიშნავი მოღვაწეობისათვის.

გრ. ბუაძე

ბ-ნ ვ. ნოზაძის სიტყვა

ნება გვიბოძეთ მოგმართოთ თქვენ, როგორც ეს მიღებულია ჩვენს, ქართულ ეკლესიაში — მამაო ფილიპე!

ჩვენ, შვილნი ქართველი ხალხისა, ერთ უძველეს ხალხთაგანისა მთელს მსოფლიოში, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში;

ერთად -ერთი ხალხისა, რომელიც გააქრისტიანა დედაკაცმა — განმანათლებელმა ქართველი ერისა — წმიდა ნინომ;

ხალხისა, რომელიც გარშემორტყმული იყო მაჰმადიანური მეზობლებით და საუკუნეთა გასწრივ ქრისტიანობისა და ქრისტიანული კულტურის დასაცავად აზიისა და ევროპის მიჯნაზე;

ხალხისა, რომელიც ამავე ბრძოლას განაგრძობს დღესაც, ეხლა ბოლშევიკურ, ღვთის მოწინააღმდეგე ხელისუფლების მიმართ

შვილნი ამ ქართველი ხალხისა, რომელნიც გაფანტული არიან ევროპასა და ამერიკაში, მეორე ომის შემდეგ აღმოჩნდნენ გამძვინვარებული მტრის — ბოლშევიკების წინაშე — იტალიაში. და არა მარტო ქართველნი, არამედ მრავალნი სხვა ერთა შვილებიც. თითქოს არ იყო გამოსავალი თავი დაეხსნათ მათ წითელი მხეცის ბრჭალებისაგან; თითქოს ყველა უნდა დაგლეჯილიყო შეუბრალებელი მხეცის მიერ. და აი ამ დროა, ვატიკანი და მისი თანამშრომელნი, გაჰოვიდნენ მათ დასაცავად. ეკლესიები და მონასტრები, ბერები და მონაზონნი, დევნილთა გადარჩენას შეუდგნენ; მათ შორის ქართველებიც იყვნენ...

თქვენ, მამაო ფილიპე, ბრძანდებოდით ერთი პირველთაგანი, რომელმაც მიაშურეთ მათ გადასარჩენად. თქვენ როგორც მამა იცავდით მრავალ ასობით თქვენ შვილებს, და მათ შორის ქართველებსაც;

თქვენ აღასრულეთ თქვენი მოვალეობა ქრისტიანული;

თქვენ შეასრულეთ თქვენი ვალი კაცობრიული.

ჩვენ ვაქებთ და ვადიდებთ ასეთ პიროვნებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცოტანი არიან, ცოტანი არიან ეს გმირები და მებრძოლნი ქრისტიანული და ადამიანური მოვალეობის განმხორციელებლნი! ქრისტეს სიტყვა — გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი — ჯერ კიდევ შორსაა განამდვილებისაგან. და ბუნებრივია, როცა ჩვენ ვეთაყვანებით და უგულითადეს მადლობას მივუძღვნით ისეთ მოღვაწეებს, როგორიც ბრძანდებით თქვენ, რომელმაც ეს სიყვარული გვიჩვენა და დაგვიმტკიცა, სიყვარული მოყვრისადმი....

ქართველთა სახელით საერთოდ, და კერძოდ კი იმ ქართველთა სახელით, რომელნიც თქვენ დაიხსენით და გადაარჩინეთ, მამაო ფილიპე, გიძღვნით მადლობას, უგულითადეს მადლობას. გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ამოუწურავ ენერგიას კაცობრიობის სამსახურიათვის....

არაფრით არ შეგვიძლია სამადლობელი გადაგიხადოთ, გარნა მარტო სიტყვითა, მაგრამ დღეს, თქვენი მოღვაწეობის 25 წლის თავზე და თქვენ საეკლესიო დღეობაზე, ჩვენ გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან სურათი, დახატული ცნობილი ქართველი მხატვარ ფელიქს ვარლამიშვილის მიერ. ამ სურათზე წარმოდგენილია ქართული საეკლესიო დღეობა, რომელ-

შიც ჩვენ 30 წელზე მეტია მონაწილეობა აღარ მიგვიღია, მაგრამ რომელსაც ჩვენ კიდევ დავეწერებით, და ამ დღისათვის გიწვევთ თქვენ, მამაო ფილიპე, საქართველოში, ამ საეკლესიო დღეობაზე...

მამა ფილიპეს წერილი

5 ოქტომბერი, 1951 წ. ბუენოსაირეს.

ღრმად პატივცემულო პატონო ვიკტორ, მე უკვე მოგახსენეთ თქვენ თუ როგორ ფრიად მასიამოვნა ქართული საზოგადოების მონაწილეობამ ჩემ მორცხვ „იუბილეში". მაგრამ მე მსურს წერილობითაც თქვენ და თქვენი სახით მთელ ქართულ საზოგადოებას მივუძღვნა ჩემი უგულწრფელესი მადლობა თქვენი ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღებისათვის. ყველამ აღიშნა თქვენი გამოსვლა, მაგრამ მე თვითონ ძეტად დავაფასე ის გრძნობანი ფაქიზი სიყვარულისა და ერთგულებისა, რომელთაც მე ძალიან გამახარეს. გიზღოს თქვენ ასეთი სათნოებისათვის ძმან, რომელმაც აღთქვა არ დასტოვოს უჯილდოდ ერთი ჭიქა წყალიც, რომელიც მ(ს)ს(ი) სახელით იქმნება მიყოდებული.

სულითა და გულით მადლობა თქვენ და ჩემს ძვირფას ქართველებს.

გულწრფელად თქვენი ერთგული ქრისტეაა თანა **მამა ფილიპე**

სავალალო და სამარცხვინო ამბავი

ბუენოს - აირეს ში მეტად სავალალო და სამარცხვინო ამბავი დატრიალდა —

პირველად ქართულ ემიგრაციაში ქართველმა მამაკაცმა დედაკაცზე იარაღი იხმარა და იგი ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმა.

ამ ამბავს დასაწყისი გერმანიაში აქვს, ნგრეგათა და აღრევათა ხანაში. ბ. ცაცა ფალიაშვილი შეხვდა ქბ. თამარა ჭილაიას აბულს და ცოტა ხნის შემდეგ შეუღლდნენ...

ემიგრანტობა იტალიაში, დევნა და ცაცა ფალიაშვილის ესპანეთს იძულებით წასვლა. ქბ. თამარმა ვაკაკურად გადაიტანა ემიგრანტული დუხჭირი მდგომარეობა იტალიაში.. და როგორც იქმნა სამი წლის წინად არგენტინას შეეხიზნა, სადაც იგი თავისი ხელით თავს ირჩენდა.

ქბ. თამარ იყო განუსაზღვრელად კეთილი ადამიანი, კარგი ამხანაგი, და გაჭირვებულის უანგაროდ დამხმარე —უკანასკნელ ლუკმასაც არ დაიშურებდა!

მაგრამ ვინ იცის გულის საქმე და გამოუცნობ საიდუმლოთა ამბავი?! მას თავის ქმარი აღარ უყვარდა და ამას არც მალავდა! თავის ახლო ნაცნობთ ამას აშკარად ეუბნებოდა. და აი, მისი ქმარი ცაცა ჩამოვიდა ესპანეთიდან და დაიწყო ხშირი და ძლიერი უთანხმოება. თამარს აღარ სურდა მასთან ცხოვრება, მაგრამ ცაცა ამას არ ურიგდებოდა და ქალს მოსვენებას არ აძლევდა. ცაცამ მოინდომა ძალითა და ძალადობით სიყვარულის დაბრუნება და მუქარა დაუწყო — ძოგკლავ, თუ ჩემთან არ იცხოვრებო!

ქბ. თამარ თავისთვის ცხვრობდა და, მუშაობას განაგრძობდა და ცაცას მუქარას ყურადღებას არ აქცევდა, — თან ამბობდა ხოლმე — ვერ წარმომიდგენია: ქართველმა კაცმა როგორ უნდა მომკლასო! მას არ სჯერდა მუქარა — ვერ გამიმეტებსო!

მაგრამ გაიმეტა — მოფიქრებული, შეგნებული, წინსწარგანზრახული მუქარა მოკვლისა ცაცამ ერთ დღეს შეასრულა.

20 ოქტომბერს იგი, იმის მიუხედავად რომ ეს აკრძალული ჰქონდა, ძევიდა მასთან ოთახში, იძრო რევოლვერი, დაადგა ქალს თავზე და ... და შედეგი: ორი ტყვია ძუცელში, ერთი ძუძუში, ერთი ძკლავში...

თვითონ კი თავისი უბედურ თავი დაზოგა, არ გაიმეტა სასისკვდილოდ — წავიდა პოლიციაში და გამოცხადდა!

თამარი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იცოცხლა ტახჯვით ერთი კვირის განმავლობაში — ოა გადაარჩენდა! და ტახჯვითვე განუტევა სული.

ამ საშინელ ცხვინო და შემარცხვენელმა ძკვლელობამ ქართველთა ძორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ძგლოვიანი ქართველობა და უცხოელნი ეგზოტიკა თანაგრძნობა გვაქვ საფაფლო პატივით, 29 ოქტომბერს, ხაკარიტა ბაბაფლაოს ძიბაბოეს.

დაბაფლავების ხესი შესრულა მამა ბიკოლოზ ხაბახიძეს.

ი.

სხვა და სხვა

სექტემბრის 2 — 8 - მდე ბუენოს აირესში, უნივერსიტეტის ახალ შენობაში ბოლოს იქნა არგენტინის რესპუბლიკის ყველა პერიოდულ გამოცემათა თანამშრომლებისა და მწერლების ყრილობა, რომელიც დიდი ზეიმით ჩატარდა. ყრილობამ და მისმა კომისიებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, რასაც მთელი პრესა დიდი ინტერესით თვალყურს ადევნებდა. ყრილობას საგანგებო სიტყვით მიესალმა რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენ. ხუან პერონი და მისი მეუღლე ქ-ნი ევა პერონისა.

ჩვენი გამოცემა „მამული" დაშვებულ იქმნა ამ ყრილობაზე, როგორც სრულ - უფლებიანი წევრი და ჩვენი წარმომადგენელი ბ-ნი აკაკი პაპავა მონაწილეობას იღებდა ყრილობის ყველა სხდომაზე.

— 1924 წელს საქართველოშ. მომხდარი აჯანყების წლის თავის აღსანიშნავად და ომში სამშობლოსათვის დაღუპულთა მოსაგონებლად ბუენოს აირესში მყოფ ქართველთა საზოგადოებამ გამართა სამოქალაქო პანაშვიდი. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ბ. ვ. ნოზაძემ და შემდეგ წაიკითხა დამკომის წევრის იასონ ჯავახიშვილის სიტყვა, რომელიც მან გასამართლების დროს წამოსთქვა თბილისში. შემდეგ, ბ. ა. პაპავამ ილაპარაკა პირველი სამხედრო შეთქმულების შესახებ და წაიკითხა დახვრეტილთა სია. კრებამ ყველა დაღუპულთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

— 13 ოქტომბერს შესდგა არგენტინის ქართული საზოგადოების საგანგებო კრება, რომელზეც დამსწრენი გაეცნენ პარიზიდან მოწოდებას ეროვნული ყრილობის დაარსების შესახებ. კრება მიესალმა ამ განზრახულ ნაბიჯს და ვინაიდან არგენტინის ქართულ საზოგადოებას არ შეეძლო თავისი დელეგატის გაგზავნა პარიზს ყრილობაზე დასაწრებლად, ამიტომ თავის დროებით წარმომადგენელად ეროვნულ საბჭოში მონაწილეობის მიღებისათვის აირჩია ბ-ნი ფილიპე შარაძე, პარიზში.

თავჯდომარემ კრებას მოახსენა ქართველ ცნობილ მოღვაწეთა: აქიმ ვახტანგ ღამბაშიძის, ყოფილ ფინანსთა მინისტრის, და საზოგადო მოღვაწის გიორგი ჟურულის, ბაქოს ქართველთა შორის მოღვაწე ლევან მამულაიშვილის და პეტროგრადის ქართველთა შორის მოღვაწე დ. ჭიაბრიშვილის გარდაცვალების შესახებ. კრებამ მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

— პერუში, ქართველ გარდახვეწილს ი. კევლიშვილს ავტომობილი დაეტაკა და გაიტანა. ი. კევლიშვილი გარდაიცვალა და მისი ცოლშვილი ობლად დარჩა.

● შოტლანდიაში გარდაიცვალა ექიმი ვახტანგ ღამაშიძე. განსვენებული როგორ საქართველოში ისე საზღვარგარეთ ქართულ საზოგადოებრივაა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოღვაწეობდა. იგი იყო წარმომადგენელი იმ უფროსი თაობისა,, რომელმაც საქართველოს განთავისუფლების დროშა ჯერ კიდევ ყმაწვილობის ხანაში აფრიალა. გარდაიცვალა იგი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 79 წლისა.

პარიზში გადა-ცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გიორგი ჟორჟოლი. საქართველოში იგი თანამშრომლობდა სხვა და სხვა ქართულ და რუსულ გამოცემებში ბეჭდავდა ნარკვევებს საქართველოს ეკონომიური ცხოვრებიდან, მუშაობდა საზოგადო და საქალაქო დაწესებულებებში (იყო თბილისი ქალაქის გამგეობის წევრი) და სხვა. გიორგი ჟორჟოლი იყო ფინანსთა მინისტრი საქართველოს პირველ ერთვნულ მთავრობაში და შემდეგ არჩეულ იქმნა საზოგადოება „ჩემო"-ს თავმჯდომარედ.მას საერთო სიყვარული და ორმა პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართული საზოგადოების ყველა წრეში.

იონას რიმშა

ასული

მადლობა

კრებული „მამული" - ს გამომცემლობა ულრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სათანადო წვლილის გაღებით შესაძლებელი გახადეს მისი გამოცემა: —

	პესო
არჩილ ხაჩიძე	300
ალ. პაპუაშვილი	250
თენგიზ ქართველიშვილი	150
ქ-ნი გრეტა ბალარჯიშვილი	100
არკადი გორგოშიძე	100
ზურაბ ციციშვილი	100
აკაკი პაპავა	100
ლეო ჭეიშვილი	100
ჯონდო ჩომახ	50
ხუტა ელიავა	50
ქ-ნ ნინო დადიანისა - შვეიც. ფრ.	5

სიყვარული

აბა, ვინ განმიმარტავს : რა არის სიყვარული!?

ბუენოს აირესი. მამა მკერავი. მდიდარი ოჯახი. ვაჟი სუსტი და ნაზი. მამას სურს შვილმა მისი საქმე განაგრძოს. შვილი სურათებს ხატავს. მამა უკმაყოფილოა: — რას დღაბნი! საქმეს მიხედე! მან საქმეს არ მიხედა და ოჯახში დიდი უსიამოვნება მოხდა. დასრულდა გაყრით. შვილმა ქალაქიც მიატოვა და სხვაგან დასახლდა. მსახურობს და მხატვრობას არ ეშვება. ამ სხვაგან მას სიყვარულმა გაუღიმა.. დასრულდა დაოჯახებით. ოღონდ ცოლს არ ესმოდა ქმრის მისწრაფება მხატვრობისადმი. — იგი მოითხოვს ჩაცმა - დახურვას, სინემას და ცეკვას, გართობას.... ქმარი კი სდგას და ხატავს. დაიწყო დიდი უსიამოვნება... დასრულდა გაყრით.

სიყვარული მამაშვილური, სიყვარული ცოლქმრული დასუსტდა და მოკვდა. დარჩა სიყვარული ფერებისადმი, სიყვარული მხატვრობისადმი. მხატვარმა მიატოვა ქვეყანა და ბოლივიაში გადავიდა. დასახლდა სოფელში. ლუკმაპურსაც შოვლობდა და მთელი სიყვარულით ხატავდა.... და ერთ დღეს მოაწყო თავის ნაწარმოებთა გამოფენა ბოლივიის დედაქალაქში - ლა პას. მხატვრობის მოყვარული საზოგადოება შეიძრა: წარმატება დიდი! და მხატვარი სამხატვრო აკადემიის წევრად აირჩიეს.

ყველაფერი ეს ვიცოდი, როდესაც ამ მხატვარის გამოფენაზე ბუენოს - აირესში მივდიოდი. და როდესაც გამოფენის დარბაზში შეველ, გავკვირდი: რა ფერები! ფერთა რა და როგორი შეთხზვანი! რა მოძრაობა ფერთა და რა გაქანება! რა სიმშვიდე და რა სიწყნარე ფერთა, მეორე მხრივ!

აი, სიყვარულის ერთი სახე! აი ნიჭი სიყვარულისა! და როდესაც თვით მხატვარი დავინახე, მას აღტაცებით ხელი ჩამოვართვი და გამარჯვება სიყვარულში მივულოცე.

ეს მხატვარი გახლდათ — იონას რიმშა, — რომლის ერთი ნახატის ასლს აქვე ვათავსებთ

მნახველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხილებანი

„მამული“ - ს რედაქციის განცხადება

ვინაიდან ზოგიერთმა ქართულმა გამოცემამ საჭიროდ სცნო მიუნხენელ ქართველების ერთი ნაწილის ე. წ. „რეზოლუციის“ მოთავსება იმ „რეზოლუციისა“, რომლის სწორ შეფასებას ჩვენი მკითხველი „მამული“-ს ამავე რვეულში იპოვნის, შემდეგი უნდა განვაცხადოთ: —

1.რედაქციამ მოათავსა ბ. კახაბერისა და პ. პარიზელის წერილები, რომლებიც „მამული“-ს ღრმა რწმენით აღნიშნავდნენ ქართული ემიგრაციის მცირედი ნაწილის გუშინდელ ცოდვებს; ავტორები ჰგმობდნენ ქართული ემიგრაციისა და მათი წმიდა საქმისათვის ამგვარ დამამცირებელ მოქმედებებს და აფრთხილებდნენ ამ უმცირესობას — მომავალში მაინც მორიდებოდნენ ქართველობის სახელით რაიმე პოლიტიკურ საქმიანობას, რომლის პასუხისმგებლობა საბოლოოდ მუდამ მთელ ქართულ ემიგრაციას აწვება.

2. რედაქციას აზრადაც არ მოსვლია ასცდენოდა საზოგადოებრივი, ეროვნული სამსახურის და პრესის მაღალი დანიშნულების გზას, და ესა თუ ის პიროვნება დაემცირებინა ან ვინმესთვის შეგნებულად ჩირქი მოეცხო. ამის გამო არც ერთი ქართველი ემიგრანტის ნამდვილი სახელი და გვარი არც პ. პარიზელისა და არც კახაბერის წერილებში მოხსენებული არაა. პ. პარიზელის წერილში გადმოცემულია მხოლოდ დავა იმის შესახებ: შეგვიძლია თუ არა დამამცირებელ საქმეთა ჩამდენნი და მოძმეთა გამცემნი — ქართველებად ჩავთვალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართულ გვარებს ატარებენ... კორესპონდენტი არც თუ ამ გვარებს იხსენიებდა და გვაწვდიდა მხოლოდ ამ „ტიპების“ ლიტერატურულ სახელებს: გრიშა, გიორგი, პლატონი, ვანუა, რაჟდენ კოსტია და სხვა.

3. ერთად - ერთი პიროვნება, რომელიც გარკვეულად და კონკრეტულად იყო დასახელებული პ. პარიზელის წერილში, გახლდათ პროფესორი, დოკტორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, რომელიც პარიზელის თქმით „დაბეზღებით კონცენტრაციულ ლაგერში ამოახჩვეს“-ო ..ეს კი სრული სიმართლეა, რომელიც კარგად იცის მთელმა ემიგრაციამ და ვისი ცოდვა ჩვენ ყველას გვედება, იმიტომ, რომ ეს გაუგონარი ტრაგედია დღემდე სრული სიბნელითაა მოცული.

განსაკუთრებით ედება ცოდვად ეს „ამოხრჩობა“ ქართულ საზოგადოებრივ აზრს, რომელმაც დღემდე ერთი ნაბიჯიც არ გადასდგა ამ ავაზაკურ და გამცემლურ მკვლელობის გამოსარკვევად.

პ. პარიზელის წერილშიც ამ საგანზე გარკვეულად არათერია ნათქვამი, გარდა აღშოოთებისა ამ უცნაური „მდგომარეობის“ გამო.

— იცი, ვინ დაღუპა ის დიდი კაცი? — ეკითხება იგი თავის მეგობარს და პასუხს იღებს:

— გამიგონია, ამბობენ... მე არ ვიცი; შეიძლება მართალია.. და სხვა.

როგორც ხედავთ, აქაც ჩვენს ემიგრანტულ ცხოვრებაში ნაცნობი და ჩვეული დავაა, რომელიც თვითეულ ჩვენთაგანს ხშირად სმენია. და რად არ უნდა გაეშვა რედაქციას ასეთი „დავის“ ნამდვილი სურათი? პ. პარიზელი იძლეოდა ჩვენი ცხოვრების ერთ სურათს, სარკეს, რაც წინაღაც მრავალჯერ გვენახა და სამწუხაროდ არ აღვშფოთებულვართ.

იმის მიუხედავად, რომ არც ერთ წერილში არავინ კერძოდ არ დასახელებულა, ზოგიერთმა ჩვენი ცხოვრების ამ „სარკეში“ თავისი თავი იცნო. — საშინელი აურზაური ასტეხა და უბადრუკი „რეზოლუციით“ ამ „სარკის“ დამსხვრევა მოინდომა.

ამის გამო ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ამგვარ, ხელოვნურად შეკოწიწებული „რეზოლუციების“ უკან ამოფარებით, დღეს თავს ვერავინ დამალავს, ცოდვებს ვერ მიჩქმალავს და „დავა“ უფრო მეტი სიმძაფრით გაგრძელდება. სიმართლის ძიების გზაზე ჩვენც ამგვარი „რეზოლუციები“ ვერ გადაგვეღობება და ვერც ბრალდებულნი შესძლებენ ამით „გათეთრებას“.

ერთად - ერთ ჭეშმარიტ გზად, რომელიც მთელ ქართულ საზოგადოებრივ აზრსა და მასთან ერთად ჩვენც დაგვაკმაყოფილებს და მშვიდობას ჩამოაგდებს, არის გზა სიმართლის ძიებისა, ყველა დასახელებულ ბრალდებათა საფუძვლიანი გამორკვევა და საზოგადოებრივი მსჯავრის დადება.

ამიტომ „მამული-“ს რედაქცია წინადადებას აძლევს მიუნხენის ქართული კოლონიის გამგეობას: —

1. დაუყონებლივ შესდგეს მიუდგომელ, გამოცდილ და სანდო პირთაგან საგანგერო კომისია (ყველა ცნობილ მიმართულებათა წარმომადგენელთაგან და მოწვეულ პირთაგან), რომელიც მოაგროვებს და განიხილავს ყველა საყურადღებო ცნობებს და საბუთებს და ამნაირად, დაკვირვებით ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვევს ჩვენთვისა და ისტორიისათვის: რა არის ამ ბრალდებებში მართალი და რა არის ჭორი.

2. ყველა იმ პირთ, რომელთაც „მამული“-ს ფურცლებზე მოთავსებულ წერილების გამო, თავისი თავი ასე თუ ისე შეურცყოფილად მიაჩნიათ, ან ჰგონიათ, რომ ესა თუ ის ლიტერატურული სახელი საგანგებოდ მასზეა „გამოგონილი“, წინადადებას ვაძლევთ თამამად და აშკარად განაცხადონ, მოითხოვონ საქმის ვამოძიება, მისი არსებითი გარჩევა და ყოველგვარი მითქმა - მოთქმის საბოლოო მოსასპობად, ნაგულისხმევ ბრალდებათა უსაფუძვლობის აღიარება.

3. საგანგებო კომისიის მუშაობის მოკლე ოქმები და განსაკუთრებით კი მისი დასკვნები გამოცხადდეს ყველა მიმართულების გამოცემებში.

როგორც ხედავთ, ჩვენ და ჩვენი თანამშრომელნი მზადა ვართ ეხლავე წარვსდგეთ მიუდგომელი სასამართლოს წინაშე, ოღონდ სიმართლე საბოლოოდ გამოირკვეს.

უპირველესად ყოვლისა უნდა გამოირკვეს ჩვენი დიდი მეცნიერის, თეოლოგიის დოკტორის და არქიმანდრიტის, გრიგოლ ფერაძის დაბეზღებათა შედეგად დაღუპვის ამბავი.

ეხლა სიტყვა „უმართებულოდ“ „შეურაცყოფილთ“ ეკუთვნის.

სამართლიანობა მოითხოვს, ყველა იმ გამოცემებმა, რომლებმაც საჭიროდ დაინახეს მიუნხენელთა „რეზოლუციის“ დაბეჭდვა, ამ ჩვენს განცხადებასაც ადგილი დაუთმონ.

პატივისცემით

„მამული“ - ს რედაქცია

„მწვალებელთა“ საპასუხოდ

გასაოცარი ხალხი ვართ ქართველი ემიგრანტები... მხილებანი და სიმართლის თქმა, რამდენადაც ეს ჩვენ პირადად გვეხება, უეცრივ აგვანთებს და დინჯი მსჯელობის უნარს სრულიად გვაკარგვინებს. იმის ნაცვლად, რომ ბრალდებას კარგად ჩავუკვირდეთ, თავის გასამართლებელი საბუთი მოვიტანოთ, რაც უსაფუძვლოა, — უარვყოთ და რაც ნამოვალია — გაბედულად აღვიაროთ, ამის მაგივრ ავპილპილდებით, ყოველგვარ წონასწორობას ვკარგავთ და სიმართლის მთქმელს დაუზოგველად თავს ვესხმით და „ძირიანად ამოგდებით“ ვემუქრებით.

ასე გვგონია, ყოველგან და ყველაფერში გამოსადეგია საომარი ტაქტიკა: მოწინააღმდეგეზე თავდასხმა სოკეთეს თავდაცვაა!

შეიძლება ომის დროს ეს საჭიროც იყოს, მაგრამ ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია ომის წარმოება და „ფრონტების გაშლა“....

როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, ჩვენ მხოლოდ სიმართლის გაგამორკვევა და დამნაშავეთა გაფრთხილება გვინდოდა, და არა მათთან ომი და განადგურება. აკი ჩვენი მოთხოვნა მარტივი იყო — ვინც გუშინდელ არა - საკადრისი საქმიანობით დამძიმებულია და სახელ - გატეხილია, კეთილ ინებოს და ქართულ ეროვნულ - პოლიტიკურ საქმიანობას მოერიდოს ...

ისე კი, რა თქმა უნდა, ვერავის დავუშლით აკეთოს ის საქმე, რაც მას სურს, და თუ ეს შეუფერებელი და ულირსია, თვითონვე პასუხს აგებს. ასევე შეუძლია, ვისაც სადაც ნებავს ბავს, იქ იმსახუროს; ეს მისი კერძო საქმეა, მაგრამ ამ „საქმეს“ ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს, როცა ასეთ ვაჟბატონს სწადია ასეთი რამ ერის სამსახურად გაასაღოს...

მაგრამ, თუ ჩვენ ვაჭარბებთ, ან თუ პ. პარიზელი ან კახაბერი ვისმეს დაუმსახურებლად ცილსა სწამებს, ეს თვითონ „შეურაცყოფილებმა“ უნდა ბრძანონ და ამ „ცილისწამებისათვის“ პასუხი მოითხოვონ. იქნებ: ჩვენი თანამშრომელნი გულწრფელად სცდებიან და იმ ამბებს, რაც მათ ამხილეს, მართლაც არ ჰქონია ადგილი!... ეს იქნებოდა ჩვენთვის დიდად სასიხარულო, საამაყოც...

და თუ ოდესმე ვინმე იმ საშინელ დამცირებასა და ქართველთა კილვას მოიგონებდა, რაც უცხო სახელწიფოთა რადიოში გვსმენია და პრესაში წაგვიკითხავს, ჩვენ მათ ამ ბრალდებებს უკან წავაღებინებდით და ვეტყოდით: რომ ყოველივე ეს თვითონ ქართველობამ გამოირკვია და საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ეს იყო მხოლოდ უსაფუძვლო ჭორები...

ამ შემთხვევაში „უსაფუძვლოდ ბრალდებულთა“ წინაშე ჩვენ ბოდიშს მოვიხდით, მათ პატივებასა ვთხოვთ და ჩვენს შეცდომას გულწრფელად მოვინანიებთ.

აი, ეს იქმნებოდა კარგი საქმე და ერის სამსახურიც.

თორემ ისე აბა რა ფასი აქვს აპილპილებას, ან საგანგებოდ შეკოწიწებულ „რეზოლუციებს“!... განა ასეთი „შემობრუნება“ რასმეს გაარკვევს ან ვისმეს მორალურად გაამართლებს? ან განა ასეთი „ჩაწყობით“ და „დამუშავებით“ მიღებული რეზოლუციები, რომლის „ავტორებს“ თავისი „განაჩენის“ თვითონვე რეცხვენიათ, ჩვენ შეგვაჩერებს, ან დაგვადუმებს იქ, სადაც საჭიროა — ქურდს ქურდი ვუწოდოთ და გამცემს — გამცემი?“?

საქმე ისაა, რომ „მამულ“-ში გამოქვეყნებულ პ. პარიზელისა და კახაბერის წერილთა გამო მიუნხენის კოლონიის ერთმა ნაწილმა პროტესტი გამოგვიცხადა და დაგვგმო ...

ამ პროტესტის რეზოლუციას ხელს არავინ აწერს არც უკვე გამოქვეყნებულ და არც ჩვენს მიერ მიღებულ რეზოლუციას. ჟურნალი „ჩვენი დროშა“ სწერს —მუნხენიდან გვთხოვენ დაგბეჭდოთო... და ხელმოუწერლად აქვეყნებენ. ხოლო ეს მიუნხენის კოლონია თუ რა არის და როგორ ხდება იქ საზოგადო კრებები, ამას ქვემოდ დავინახავთ; მაგრამ რაც არ უნდა იყოს, თუკინდ ათი კაციც, განა მათ კარგად ესმით და ამ პროტესტის ავტორებს განა კარგად გაგებათ, თუ ვის ან რაგვარ საქმეს იკეთებენ? განა მარტო ის კმარა, რომ რაღაც მანქანებით და „შთაგონებით“ თუ „მეგობრობით“ გულუბრყვილო დამსწრეთ თავს მოახვიონ „მრისხანე განაჩენი“?...

განა იციან ამ „დამცველებმა“, რა სამარცხვინო მდგომარეობაში იყენებენ თავს, როცა სდგებიან იმ ბანაკში, რომელსაც ბრალსა სდებენ გამცემლობაში, მდაბალ სპეკულანტობაში, ქართვ. ტყვეთა სისხლით და საქართველოს სახელით ვაჭრობაში და კიდევ მრავალ უღირს საქმეში...

ჩვენ ვწუხვართ, რომ ორიოდე პირის ანკეტაზე წამოეგნენ დანარჩენი ხათრიანი და გულუბრყვილო დამსწრენი და ამით თავისი თავი ცუდ ყოფაში ჩააგდეს: დაუფიქრებლად და შეუგნებლად მონაწილენი გახდნენ ერთი მუჭა ავანტურისტთა საქმიანობისა.

როგორ? — იკითხავთ თქვენ.

აბა კარგად დაუკვირდით — რას ვწერდით ჩვენ, ვის და რაში ვდებდით ბრალს? და მიხვდებით — ვის ექმაგებიან ისინი.

„საერთოდ ქართული ემიგრაცია“, ვამბობდით ჩვენ, **„ღირსეულად ვიდოდა ამ 30 წლის მანძილზე ეკლიანის გზით და ქართული სიტყვა, ღირსება და ვინაობა მას ერთგულად შეუნახავს... მრავალ უმაგალითო გაჭირვებაში ისინი იდგნენ გმირულად და ვერავითარმა დაპირებებმა და ანგარებამ მათ მცთარი ნაბიჯი ვერ გადაადგმევინა“.**

ეს ეხება ემიგრაციის დიდ უმრავლესობას და განა ეს საამაყო არ არის და განა ეს მართალი არაა?

მაგრამ ყოველ კანონს, თუ ის მართლაც კანონია, გამონაკლისიც თან ახლავს; და ამ სამწუხარო, გამონაკლის შემთხვევებზე ჩვენ ვწერდით:

„იყვნენ აქაც ზამოლნაკლისნი — სულმდაბალნი, ლაჩარნი, პატარა გამცემნი, საკუთარის და ეროვნულის გამკილავნი და მზრახველნი, სხვა ერებში „ღამურებად“ გადაფრენილნი.. საკუთარ კეთილდღეობისათვის მოძმეთა დამგმობნი და გამცემნი, საქართველოს ხარჯით და მისი სახელით მოვაჭრენი“....

მაგრამ იქვე ვანუგეშებდით ნამდვილ მამულიშვილთ იმით, რომ ვიცოდით, **„რომ ეს იყო ერთი მუჭა ავანტურის მაძიებელთა, რომელნიც შემთხვევით მიეტმასნენ ქართულ საქმეს ... ეს არის პატარა, პაწუწუნა კაცების „პატარა შტაბი“, რომლებიც მხოლოდ ანარქიის დროს სუქდებიან“**-ო. (იხილეთ კახაბერის წერილი).

განა ამაზე ნათლად და აშკარად კიდევ შეიძლებოდა საზღვარის გავლება?

ერთი მხრივ ჩვენ დავაყენეთ თავგანწირულთა წმიდა და უანგარო სამსახური და ეს გახლავთ **ემიგრაციის დიდი უმრავლესობა**, ხოლო მეორე მხრივ — მისი ანტიპოდი, გამონაკლისი, რომელიც **„ერთი მუჭა“** კაცუნებისაგან შესდგება, ანარქიის ხანაში რომ სუქდებიან...

და განა არ ყოფილან ასეთები?

განა არ შეგხვედრიათ ესენი?

აქ დავა არცი კი შეიძლება! რასა-

კვირველია: იყვნენ და ეს გახლდა და გახლავს ჩვენთვის სავალალო.

და ჩვენ თუმცა მათ დიდ მნიშვნელობას არ ვაკუთვნებთ, მაგრამ მაინც ვგმობთ და მხოლოდ იმიტომ, და იმდენად, რამდენადაც ამ „ერთი მუჭა ხალხს“ სურს თავისი თავი საშობლოსათვის წამებულთა ჯგუფს მიაწეროს და ითხოვს: თუ „დიმიტრი თავდადებულად“ არა, დიმიტრი აუფიანად მაინც მივიმჩნიოთ.

და განა თქვენ დღესაც იმავე რიხიანობას არ ამჩნევთ მათ, მათ, რომელნიც გუშინ ბრტყელი ფრაზებით პატრიოტობას გვასწავლიდნენ?„

და აი, ესენი ცდილობენ ეხლაც გულუბრყვილო „თავჯდომარეებით“ ფონს გავიდენ და ის მთავარი მიჩქმალონ, რაც ჩვენ ვამხილეთ მაგრამ მათაც მოსდით ხანდახან მარცხი და გვაგონდება ჩვენი ცნობილი ანდაზა: — ქორს ქუდი ეწვის!

მაშ, როგორ უნდა ავხსნათ: რომ, როცა ჩვენ ᲔᲠᲗ ᲛᲣᲭᲐ პაწაწკუნა ავანტურისტებზე მოგახსენებთ (რომელნიც იყვნენ, ყველამ ვიცით!), ეს ვაჯბატონები თავს შეურაცყოფილად სცნობენ და კრებებსა და რეზოლუციებს მიმართავენ! რათა ბატონებო? ვინ მოგახსენათ, რომ იმ „გამონაკლისში“, იმ „ერთ მუჭა“ პატარა ადამიანებში უეჭველად თქვენცა ბრძანდებით? რად წაიკლეთ ასე დაუფიქრებლად ქუდზე ხელი?

ფსევდონიმებს უკან ლაჩრულად რად ეფარებითო!, ამბობენ. უნდა მოგახსენოთ: რომ მსოფლიო მწერლობაში (ანტიურშიდაც) ფსევდონიმები კარგა ხანია, რაც შემოღებულია და შორს რომ არ წავიდეთ, იქნებ ისიც გაგიგიათ, რომ ილია ჭავჭავაძე ოცზე მეტ ფსევდონიმს „ეფარებოდა“, მაგრამ მხოლოდ პრიმიტიულნი თუ მონათლავენ ამას „ლაჩრობის“ სახელწოდებით...

და როდესაც მუინხენის ქართველთ კოლონია თავის პროტესტს ხელმოუწერელად აგზავნის — ეს რაღაცა და მას რა დავარქვათ?!

ეს სხვათა შორის.

ხოლო ეხლა „ქუდს“ რომ თავი გავანებოთ და განზე გადავდოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თქვენ უმაღლესი „სამართლიანობა“ გიკარნახებდათ ამ მრავალგზით **ნაწვალებ** „რეზოლუციას“.....

იქნებ თქვენ მართლაც კეთილშობილურად აღშფოთდით და გსურთ დაგვამტკიცოთ, რომ ეს „შეურაცყოფაა ქართული საზოგადოებრივი თავმოყვარეობის და ღირსებისა“, რადგან კარგად იცით, რომ ქართველობაში არამც თუ „ერთი მუჭა“, არამედ არც ერთი პიროვნება არ მოიპოვება ისეთი, რომელსაც ამგვარი სამარცხვინო რამ ჩაედინოს!

თუ ეს ასეა, ბარაქალა თქვენს „იდეალისტობას“, თქვენს „უმაღლეს წარმოდგენას“....

მაგრამ ეწუხვართ, რომ ამ მხრივ თქვენს რეზოლუციას ვერავინ ირწმუნებს და ასე „ერთხმად“, როგორც თქვენ მათი გამოტანა გჩვევიათ, ჩვენ მას ვერ მივიღებთ.

ჩვენ ვერც ისე გავკადნიერდებით, რომ თქვენებრ „გამოცდილნი“, ისე გულუბრყვილოთ ჩაგთვალოთ... თუმცა ამ „რეზოლუციას“, თქვენ რომ დაგვიანებით გვაახლეთ, ბევრს რამეში იმჩნევა ერთგვარი „გულუბრყვილობა“. (ჩვენ არ მოგახსენებთ : პრიმიტივობა!).

1). პირველი ის, რომ ამ „რეზოლუციას“, რომელიც თქვენ სამი კვირის შემდეგ ოქმიდან ამოსწერეთ, თან ახლავენ ზოგი ცოდვები „წვალებისა და ტანჯვითი მშობიარობისა“.

მაგ. ჩვენ იქ ვკითხულობთ: „ქართულმა კოლონიამ გერმანიაში თავის საერთო კრებაზე 12 (თუ 18) აგვისტოს 1951 წ. მიუნხენში“ და სხვა...

ქართული ენის ინკვიზიციას თავი რომ დავანებოთ, ლოლიკისა და ციფრების აღრევას აშკარად ვამჩნევთ... მიუნხენში იკრიბებიან მიუნხენელი ქართველები (და ისიც ალბათ მცირე ნაწილი, რასაც გაზეთი „საქართველოს“ უკანასკნელი ნომერი გვიმოწმებს) და რა უფლებით ირქმევენ ისინი გერმანიის ქართველთა საზოგადოების სახელს? თუ გამგეობამ საგანგებოდ მოიწვია გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში და კუთხეებში (აღმოსავლეთ გერმანიაშიც) მცხოვრები ქართველები, ან მათ თავისი წარმომადგენლები თუ წარმოგზავნეს? რასაკვირველია, — არა.

მაშ რა საბუთით ახვევენ თავზე ამ ქართველთაც თავის ნაწვალევ და ნაჯახირევ რეზოლუციას? ალლახმან უწყის„

2). შემდეგ. ვის უნახავს, ან სმენია, რომ „კრების ოქმის ამონაწერში“ გადამწერს (გამგეობას) ისეთი რამ შეშლოდეს, როგორიცაა კრების დღის თარიღი? ეს ხომ ქართული ენა არაა, არც რაიმე სტილისტიური ხერხი, რომ შეცდომა მოგვივიდეთ! თქვენს რეზოლუციაში კი ვკითხულობთ: „12“-ს, რომელიც შემდეგ გადაგისწორებიათ „18“-დ! მაშ როდის იყო ეს კრება თქვენი „სინედრონისა“?

3). ოფიციალურ ქვემოდ, ჩვენი „ავტორები“ შეძლებისამებრ ფიქრობენ და სწერენ: „ფსევდონიმებს ლაჩრულად ამოფარებულ ავტორების მიერ გავრცელებულთ („თ“ გაუსწორებიათ „ი“-თ) და აი, აქ იწყება დიდი ტრაღედია „ფალსიფიკატორებისა“... მათ სწადიათ ძალიან მაგარი შეურაცყოფა მოგვაყენონ — „მხილებათათვის“ — და აი, ეძიებენ „შესაფერ“ სიტყვებს და გამოთქმებს, რის დროს თქვენ გაგონდებათ მეორე ბრძნული თქმა: „კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების“ ... ამ მაგარ გამოთქმათა ძიებამ ისე გაიტაცა ჩვენი გმირები, რომ მათ დაავიწყდათ უბრალო რამ, სახელდობრ ის, რომ ამონაწერი „დედანთან სწორი უნდა იყოს“. ეს სიზუსტე სამი კვირის შემდეგ ასე შეუსრულებია პატივცემულ გამგეობას: ჯერ დაუწერიათ — ...„გავრცელებულ(თ) **ბინძურ**“, — ეს გამოთქმა მათ აღარ მოსწონებიათ, მაგრად და მრავალჯერ გადაუშლიათ და ზევით დაუწერიათ: „**ლაჩრულ**“... შემდეგ ესეც იმავე წესით გადაუშლიათ და ეტყობა ბოლოს მიუგნიათ სასურველი მაგარი სიტყვისათვის: „პროვოკატორული“, და დამშვიდებულან...

ჩვენ არ ვიცით, რად შესცვალეს ავტორებმა თავისი ზოგი მაგარი გამოთქმები. მაგრამ გვინდა მოგახსენოთ, რომ ეს საჭირეც არ იყო, რადგან ჩვენ არც მათი „სიბინძურე“ მოგვეკარება და არც მათი „ლაჩრობა“ გაგვაიაზებს.

4). თუ ყურადღებას არ მივაქცევთ „ამონაწერის“ ბოლოში წაშლილ სიტყვას — „ყველას“ —, დავრჩა ამ დოკუმენტში კიდევ ერთი საკრძნობი „ჩართვა“.

ეტყობა ავტორებმა აქ ურთიერთს ძვალიბურად გადახედეს, თვალთ ჩაუკრეს და ერთმა სთქვა: „მოდი, ბარემ ისიც ჩავუმატოთ, რომ ეს დადგენილება კრებამ „ერთხმად“ მიიღო!

— კალამი რომ თან არა მაქვს — შეწუხდა მდივანი.

— არა უშავს, ფანქრით ჩააწერე, რა უჭირს... — გაამხნევა მეორემ და სიტყვა „ერთხმად“ ფანქრით ჩაურთეს...

5). მაგრამ ეტყობა — ბოლოს თავ მჯდომარესაც აღარ დაუჯდა ჭკუაში ამდენი ჯახირი და ოქმის ამონაწერი ხელ მოუწერელად დასტოვა, ხოლო მდივანმა მას მიბაძა, და ასე ანონიმურად გვაახლეს ეს სასახელო

დოკუმენტი „ლაჩრულად ამოფარებულებმა“.

აი, ბატონებო, როგორ ექცევით თქვენ ოფიციალურ რეზოლუციას, რომელსაც რედაქციას უგზავნით.

პირველად ეს გვეუცხოვა, ძალიანაც გაგვიკვირდა, მაგრამ ეხლა, როცა მიუნხენის გაზეთის „საქართველო“ მეოთხე ნომერი მივიღეთ და იქედან გავიცანით იქაური კოლონიის გამგეობის მეთოდები — შესახებ კრებათა „გაჩარხვისა“, უკვე აღარაფერი გვიკვირს, გარდა იმისა, რომ „ჩვენმა დროშა“-მ ის თუმც გულის ტკივილით, მაგრამ მაინც მოათავსა.

აი, სხვათა შორის რას ვკითხულობთ მიუნხენის გაზეთში „საქართველო“:

....„საინტერესოა, რომ იმ კრებაზე დამსწრენი ამბობენ, — არავითარი ასეთი დადგენილება კრებას არ გამოუტანიაო; პირიქით, იქ ითქვა, როგორმე მოისპოს ეს დავაო“.

„ეს შეთხზეს კაორძაია — კუჭუხიძემ კრების შემდეგ და აი, ამაზე ამბობენ ეს ვაუბატონები: — კრებამ ერთხმად დაადგინაო“. რაც არ უნდა ითქვას საზოგადო კრებაზე, ის მაინც თავისას არ იშლის, ატყუებს ყველას, თავისებს და უცხოს ყოველ გან — შიგნით თუ გარეთ, ყველა საშუალებით, ზეპირი სიტყვით, პრესით და ყველა ეს უბედურ საქართველოს სახელით, მის „სასარგებლოდ““.

აბა, ამის შემდეგ როგორ უნდა გვეწყინოს ამ „ავტორების“ რეზოლუცია, ან რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მას? !

არც ჩვენ გვინდა მისი გაზვიადება და „ავტორთა შერცხვენა“...

მაგრამ საერთოდ კი „მხილებებით“ ატეხილი დავის საგანი ჩვენთვის იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენი რედაქცია მიუნხენის კოლონიის გამოწვევას ღებულობს და მას წინადადებას აძლევს — დაამტკიცოს რა არის ჭორი პ. პარიზელისა და კახაბერის წერილებში.

ზემო - აღნიშნული „რეზოლუცია“ ჩვენ ბ- ნ ალექსანდრე კორძაიასაგან მივიღეთ. 1 ოქტომბერს საჰაერო ფოსტით მას ჩვენ შევუთვალეთ: — აღნიშნული პროტესტი დაბეჭდილი იქნება „მამულ“-ში; გთხოვთ გამოგვიგზავნოთ აგვისტოს კრების ოქმი - თქო. ამ ოქმს დღემდე ვუცდით.

რედაქცია

ლიტოველთა კონცერტი

აღარ მახსოვს, რომელ წელს მოხდა ეს ამბავი. ერთ - ერთ ნადიმზე თბილისში, თავი მოეყარა ქართულ საზოგადოებას თავის სტუმრებთან ერთად. სხვათა შორის სტუმრად იყო თბილისში მყოფი საფრანგეთის კონსულიც. რასაკვირველია, მაგიდა იყო ქართული და ლხინიც ქართული. ჩვენმა დიდმა მწერალმა და მოღვაწემ სიტყვა წარმოსთქვა და კონსულს მიმართა, სხვათა შორის სთქვა : განა არაა შესაძლებელი დიდ მუხასთან ერთად იცოცხლოს და იხაროს პატარა, ლამაზმა ია?

ილია ამ სიტყვით დიდსა და პატარა ერს ეხებოდა; იგი გულისხმობდა დიდ რუსეთსა და პატარა საქართველოს; მუხა დიდი და ძლიერი; ია — სუსტი და ნაზი; მაგრამ ორივეს თავისი შვენება აქვს და ორივეს თავისუფალი არსებობა უნდა შეეძლოს.

ამგვარი ფიქრები დამტრიალებდა, როდესაც კონსეხო დე მუხერეს დარბაზში ვიჯექი და ლიტოველთ გუნდს ვუსმენდი. გუნდი გამოწყობილი იყო ეროვნულ ფერად და ნაქარგ სამოსელში, — სცენაზე იდგა 19 დედაკაცი და 20 მამაკაცი, ახალგაზრდა კომპოზიტორის, კუპრვიჩიუსის ხელმძღვანელობით. ვისმენდი ამ შესანიშნავი გუნდის ლიტოვურ ჰანგებს და თავში მიტრიალებდა ილიას სიტყვა: — რა შვენიერი, რა წარმტაცი, რა სურნელოვანი, რა მომხიბვლელი არის ეს ია! რატომ არ აძლევენ მას საშუალებას გაიზარდოს თავისულად, გაიფურჩნოს, გვიჩვენოს თავისი სახე, დაგვანახოს თავისი შვენება, მოაფრქვიოს თავისი სურნელება? არა! არა ხდება ასე. დიდი მუხა დასწოლია მას თავისი სქელი ჩრდილით, უხშობს მას მზის სხივებს, სპობს და ანადგუ-

რებს მას! თუ იგივე ამბავი ხდება მხეცთა სამეფოში, ფრინველთა შორის, თევზთა შორის, მწერთა შორის — სადაც ერთი მეორეს ჰგლეჯს, ერთი მეორეს სწეწს, ერთი მეორეს ჰყლაპავს, — ადამიანი ხომ დიდი, დიდი ხანია გამოვიდა ამ ცხოველური სამეფოდან, ამაღლდა, გონებად გადაიქცა, გარნა ბუნება მას ისევ მხეცური დარჩა. ადამიანთა შორისაც და ერთა შორისაც ძლიერი ბატონობს ძლიერი სჩაგრავს სუსტს და მას ხშირად ჰყლაპავს კიდეც. და ეს ლიტოვური: პატარა და ლამაზი, მომხიბვლელი და სურნელოვანი ია დღეს ვეებერთელა მუხა — რუსეთის — ქვეშ მზის სხივებს მოკლებული სჭკნება და დაღუპვისაკენ მიექანება. მას უკარგავენ თავის სახეს, უსპობენ თავის სურნელებას, სჭედენ ყველასათვის ერთნაირად განმზადებულ კალაპოტში. ამით ისპობა სხვადასხვაობა, ისპობა მრავალფერობა, ისპობა პიროვნულობა ერისა - და იქმნება რუხი, ერთნაირი, უსუნო და უპულო...

და მახსენდება ერთი ქართ. ასულის ნათქვამი — სანამ დიდი სახელმწიფონი არსებობენ პატარა ერებს თავისუფალი ცხოვრების საშუალება არ მიეცემათო! მართალია! ოღონდ ეს პატარა ერები ქედს მაინც არ იხრიან დიდ ერთა წინაშე, იბრძვიან, და იბრძოლებენ თავისი სიტყვით, გალობით, სიმღერით, ცეკვით, ყოველგვარი ეროვნული გამოხატულებით — და ამ ბრძოლის ერთი შვენიერი ნიმუში ვიხილეთ ამ დღეს ლიტოვურ საღამოზე. და იმედიანი, ნასიამოვნები, მხიარულ და კმაყოფილ ხალხთან ერთად გამოვედით დიდი დარბაზიდან. მოვდიოდი და ვფიქრობდი — არა! პატარა ერებს მაინც ვერ მოერევიან„

დამსწრე

ეს წერილი გადაითარგმნა და დაიბეჭდა ბუენოს აირესის ლიტოვურ გაზეთში: „ბალსას“.

საკანი ნომერი 19

დილის ოთხი საათი იყო, როდესაც შინსახკომის ორმა აგენტმა მოათავა ჩემი ბინის ჩხრეკა.

Ну, так на этом мы закончим. სთქვა ერთმა, რომელსაც ნიშნებით ეტყობოდა, უფროსი უნდა ყოფილიყო.

Итак, мы берем с собой карабин с 120 патронами, 2 револьвера, один системы Маузер с 85 патрнами и второй — парабелиум, с 60 патронами, мелкокалиберную винтовку, к нему 250 патронов и одну книгу из библиотеки. (Ошибки ЦК ВКП(б) Бухарина). Правильно, гражданка?

მიუბრუნდა ჩემს ცოლს და სთხოვა აქტზე ხელი მოეწერა.

Захватите с собой, что нибудь потеплее; там вам будет холодно

ამის გაგონებაზე ჩემს ცოლს ფერი ეცვალა და ცრემლები ჩამოსცვივდა.

— ნუ სტირი, ჩემო კარგო! არაფერია! აქ უეჭველად გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი მე დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ისევ აქ ვიქნები. დაწყნარდი! — ვთხოვე განმეორებით მას და შუბლზე ვაკოცე.

შემდეგ ბავშვების ოთახში შეველ, წყნარად დავკოცნე, გავუსწორე გადახდილი საბანი და გამოველ, სადაც აგენტები მელოდებოდნენ.

— მზად ხართ? — შემეკითხა ისევ ის და რა დასტური მიიღო, სამივე ქუჩაში გაველით, სადაც მანქანა ელოდებოდათ.

— სადიტეს „ მიმიპატიჟა მან და შემდეგ თვითონ ამოვიდა. მეორე — მეორე მხარედან შემოვიდა და მე მათ შუა მოვექეცი.

შოფერმა ხუთიოდე წუთში შინსახკომის ახალ შენობასთან (კლასიკურ ქუჩაზე) მანქანა გაჩერა. შევედით საკომენდანტო ოთახში, სადაც კვლავ სხვა პირებმა გამჩხრიკეს. მომხსნეს ხელიდან საათი, ჯიბეებში არ დამიტოვეს არაფერი, გარდა პაპიროსისა და ცხვირსახოცისა, მოხსნეს ღვედი სახლიდან წამოღებულ საბანს და გასცეს განკარგულება იქვე მდგომ პირს —

— საკანში ნომერი 19.

ჩეკისტმა გამატარა ჯერ ერთი კორიდორი, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აუარებელი კარები ჰქონდა დაყოლებული, რომელთაც ზედ მიკრული ჰქონდათ ნიშნები, ციფრების აღნიშვნით — 78, 77, 76, 75 და ასე კორიდორის ბოლოს, ერთ-ერთ კარზე ნაჩვენები იყო ნომერი 56. აქვე იყო კიბე, ერთ მაღლა სართულზე ასასვლელი, ხოლო მეორე, გვერდით დაბლა. ჩვენ ჩავედით ამ კიბეზე, ორი სართულით ქვევით და ისევ სხვა კორიდორში მოვხვედით, სადაც ნომრები უჩვენებდა 25, 24, 23.. და გაჩერდა ნომერ 19-თან აქ მან ამოიღო ჯიბიდან გასაღების შეკვრა, ამოარჩია ერთი და მძიმედ, მეტისმეტად ჩუმად გახსნა კარი, მკრა ხელი, შემაგდო შიგ და კარი სწრაფად გაიკეტა.

კარგა ხანი ვიდექ თავბრუ-დასხმული და გაშტერებული. საკნის მძიმე ჰაერმა სუნთქვა შემიკრა და პირი მწყურვალე ქათამივით ღიად დამრჩა. ძალა მოვიკრიბე, მივიხედ - მოვიხედე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავარჩიე. იქვე ჩემს გვერდით რაღაც კასრი იდგა, რომელსაც სახურავი ჰქონდა დაფარებული, — ფრთხილად მიველ და ჩამოვჯექ, და საკანს თვალიერება დავუწყე. პატარა შუქი, რომელიც საკანს ძლივს ანათებდა, ამოწმებდა, რომ იქ პატიმრები ბევრი უნდა ყოფილიყო. ყველას ეძინა; მძიმედ ქშინავდნენ სხვა და სხვა ტონით ხვრინავდნენ. იქვე კარებთან პატარა მაგიდა იდგა; დავდე ზედ ჩემი საბანი; გავიხადე პალტო, რადგან მეტისმეტად ცხელოდა, წამოვიხურე და ფიქრებში გართულს, ჩამთვლემოდა.

— რაზე ჩამომჯდარხარ, მეგობარო? — წამკრა ვიღაცამ მოულოდნელად ხელი, — ადე აქედან, ჯდომა არ შეიძლება!

—ბოდიში“, — წავილუღლუღე ჩემთვის და მოვეცალე. მან ახადა სახურავი იმ კასრს, მოისაქმა და ისევ ფრთხილად დააფარა; თავის ადგილისაკენ წავიდა; მერმე მობრუნდა, მაგიდის ქვემოდან ერთი უბრალო სკამი გამოათრია და მითხრა იმაზე ჩამომჯდარიყავ. — მადლობა გადავუხადე.

— როდის მოგიყვანეს?

— აგერ სულ ნახევარი საათი იქნება!

— ქართველი ხარ?

— დიახ, ქართველი გახლავარ!

— ეხ! რას იზამ, ძმაო! — წაიბუტბუტა — არაფერია, შეეჩვევი!

და მერმე თითქოს გამოფხიზლდაო მომკიდა ხელი, მიმიყვანა ახლო ბუჟუტუნა ლამფასთან და დამაცქერდა...

— კაცო! შენ მიხა არა ხარ? ღმერთო ჩემო! ეს ვისა ვხედავ„ — გაკვირვებით წამოიძახა მან და თავზე ხელი შემოიკრა.

მე გაშტერებული შევცქეროდი მას, მაგრამ ვერ ვიცანი.

— მე კი მიხა ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ, ძმაო? — შევეკითხე მას, რომელსაც უკვე ცრემლები ჩამოსდიოდა და პატარა ბავშვივით ქვითინებდა.

— ეხ! რაღას მიცნობ! შენ კი არა,

ცად აღმართული, კლდე გულ - ნაღარი,მთა თავ - ჭალარა
კვლავ მედიდურად დასცქეროდა დაცინვით ვაკეს;
მწვერვალის ირგვლივ სხივოსან მზესთან გარს იხვეჭავდა
მღელვარე გრძნობებს მისდამი ლტოლვილს გუნდებად ნაკრებს.
მხარს უშვენებდნენ მას თან მიმყოლნი მთანი ტეხილით,
და უნაგრისებრ თაღნი ნაკვთებით ძირს ეშვებოდნენ,
მკერდის საწყისით თვით ტერფებამდე ლურჯად მოსილნი
ლამობდნენ მთა ბერს ასწვდომოდნენ, ცერზე დგებოდნენ.
მათ აშოტილთა შორის ლანდივით მოსჩანდა ხევი,
პიტალო კლდეთა ქარაგმებით მდიდრად ნახვევი,
სვეტად ჩაშვებულ სინათლესთან მოსჩქეფდა ძალა,
მას ხმას აძლევდა ვაკეთ მომსწრაფვმ თერგი ღრიალა.
ვინ იცის, მთებო, ბერის ჭალარა რად შეგეპარათ!
ჭალების რბევას განდგომილნი მიილტვით ზეცას
და ძირს კი ვაკე ბრძოლის ველად გადაქცეულა,
სისხლით ვერ ძღება, ლამობი ვაუ - კაცნი ცოცხლეულ შთანთქას...
თქვენ მოწამე ხართ საუკუნეთა შთენილი რისხვის,
ორბიტა ბედთა თქვენს თვალთახედვის ირგვლივ ტრიალებს;
მაინც ხართ უტყვი, ჩათხრობილი არას ამზევრებთ,
არვის აჩვენებთ მდიდრად აკინძულს თქვენს მატიანეს.
თქვენი ბარტყები უცხოეთში არწივად ვზრდილვართ,
სამშობლოს ნატვრამ ფრენით აღმართულს ერთხმად შეძახა,
ფოლადის მკერდით მოვაპობდით დაძაბულ ღრუბლებს,
რომ ჩვენი ბუდე თქვენს თბილ გულმკერდში ისევ გვენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლამაზია ეს სურათი, რა თვალწარმტაცი!
ბუნების ეშხითშემკობილი ლაჟვარდი არე,
ყვავილთა ფერებს უამბორებს მკრთალი აჩრდილი,
სიოც ალერსით გარს ევლება ვით მონარნარე...

მოწმენდილ ციდან ბადრი მთვარე უხვად ქათქათებს,
ნაზი შვეულით აფრქვევს სხივებს, ამკობს საუნჯეს...
აქ უნდა იყოს საბაღნარო განთქმულ ედემის...

სწორედ იმ ღამეს, მობიბინეს ლაღად ქმნილ ღამეს
ამ ბაღში მოვხვდი, უჩვევ ჰანგებზე აჟღერდა სული!
ნაზი რხევებით ამოძრავდა ჩემს მიმართ ქალი,

ტანით ლერწამი, ოქროს სამოსში ვით მზის ასული.
ნუთუ ლანდია? ნელი შრიალით მისკენ მივიწევ —
ჯადო-შვენებით თავბრუ მეხვევა და თრთოლვას ვიწყებ.
შავი თვალებით დამატყვევა გიშრის თმიანმა...

ვერა! იმ ღამეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ!
ვსტრფოდი მზის ასულს ამა ქვეყნად ჩემს მნათობ ვარსკვლავს,
ვლამობდი სათნო, უმანკო არსი ჩამეკრა გულში...
რომ ნეტარებას უცაბედად ბოლო მოეღო,
ვაების ზარის შემზარავით ღრიალ-გუგუნში...

გაბრუებულმა მთელი სიმძაფრით ვახილე თვალი,
ირგვლივ ბურუსი! აღარსად სატრფო და არც აჩრდილი!
არსად ედემის საბაღნარო, ის ლურჯი ღამეც!
არც ბადრი მთვარე და მზის ასული ლერწმისებრ ზრდილი

გ. გოგელაშვილი

ალბათ ჩემი ცოლშვილიც კი ვეღარ მიცნობს...

— გიორგი ვარ, გიორგი თათანაშვილი, — მითხრა მან, და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— წამო ცოტა იქით, ჩემს ლოგინზე ჩამოვსხდეთ. ვაიმე, ჩემო თავო! — იმეორებდა იგი. — საიდან? როგორ? რაზე? რაშია, კაცო, საქმე? — მეკითხებოდა გიორგი, მაგრამ რა უნდა მეთქვა, როცა მე თვით არ ვიცოდი, რაში იყო საქმე. მოკლედ ვუამბე ჩხრეკის ამბავი, ჩამოვუთვალე რაც წაიღეს და როგორ შემომაგდეს საკანში.

— განა არა, აღარ სჩანდი! მიკვირდა, სად გაჰქრა ის კაცი - თქო! არც ვინმე შემხვდა, რო მეკითხა! დიდი ხანია აქა ხარ? — შეეკითხე გიორგის.

— აგერ უკვე ცხრა თვეა აქა ვარ და ჯერაც არ ვიცი, რას მდებენ ბრალად, რას მედავებიან ან მე ან იმ ობლად დარჩენილ ჩემს წვრილ - შვილს! გამომძიებელს ჯერ არ გამოვუძახნივარ. მოვკვდი, ჩემო ძმაო, მოვკვდი! ამ საოხრო საკანში, აგერ მალე გაიღვიძებენ შენ თვითონ ნახავ, რამდენი კაცია და როგორ გამოიყურებიან, შენ მგონი მე - 37 უნდა იყო! ამ საოხრო, ამ პატარა საკანში მოჰყავთ ყველა, თითქოს მეტი აღარ ჰქონდეთ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ გადატვირთულია!

კარგა ხანს ვილაპარაკეთ; რამოდენიმე კაცმა უკვე გამოიღვიძა და თუთუნის მოწევას შეუდგნენ; მეც ვთხოვე გიორგის წუმწუმა და ჩვენც გავაბოლეთ.

მალე, თითქო ვიღაცამ გამოაღვიძა, ყველამ ერთად წამოყო თავი; წამოსხდნენ თავიანთ ადგილებზე, სადაც იწვნენ და ორიოდე წუთში ისეთი კვამლი დააყენეს, რომ ერთი მეორეს ვეღარ არჩევდა.

სრულ ექვს საათზე გაიხსნა საკანის კარი, შემოყო თავი ერთმა იქაურმა მოსამსახურემ და გასცა განკარგულება, მომზადებულიყვენ საპირფარეშოზი წასასვლელად. ყველამ საჩქაროდ აიღო თავისი პირსახოცი, საპონი და სხვა, რაც საჭირო იყო, ორმა პატიმარმა (როგორც გამოირკვა, მორიგეებმა) მოამზადა პარაშა გასატანად, და ყველა, მათ შორის მეც (რადგან, როგორც გიორგიმ გამაცნო, დღის განმავლობაში მეტად აღარ გაიყვანდნენ), გვერდით იქვე ახლო, პირისაბან ოთახში, რომელიც იმ ავე დროს ფეხისადგილსაც წარმოადგენდა. დაახლოებით დავყავით იქ 20 წუთი, რის შემდეგ კვლავ გაიხსნა მძიმე ხმით პირისაბანის კარი და მივიღეთ ბრძანება: ისევ საკანში დავბრუნებულიყავით.

იქ გველოდებოდა თბილი წყალი და ორნახევარი ბუხანკა (ბუხანკა — 5 კილო) შავი პური, რომელიც ერთმა პატიმარმა დაჰკრა და ყველას სათითაოდ დაურიგა მისი კუთვნილი ნაჭერი, და მათ შორის მეც. ვედროს თბილი წყალი თურმე ჩაი ყოფილა, სრულიად უფერავი. ვისაც სურდა იღებდა. ყველანი თავიანთ ადგილებზე იხდნენ და შეექცეოდ-

ნენ ამ ძვირფას საუზმეს, რომელიც ზოგმა ერთ ჭამაზე მოათავა.

საკანში, გიორგის გარდა, კიდევ ორი ნაცნობი შემხვდა: გრიშა ღოლობერიძე და დათიკო ჩხეტიანი, რომელნიც შემდეგ დახვრიტეს...

მე მართლა, როგორც გიორგიმ მითხრა, მე - 37 აღმოვჩნდი. მომეტებული ნაწილ პატიმრებისა ქართველები იყვნენ; 6 კაცი იყო სომეხი; 5 — რუსი, 5 — ებრაელი, 1 — ჩეხი და ერთი — პოლონელი. წლოვანებით 19 - დან 70 - მდე. (68 წლისა იყო ალექსანდრე წერეთელი, საჩხერიდან, რომელიც მეტეხის ციხეში გარდაიცვალა).

საკანში, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, გაღებული იყო პაწაწა ფანჯარა ჰაერისათვის. ამას გარდა, საკანში დღეში სამჯერ, თითო საათი საუზმის, სადილის და ვახშმის შემდეგ, არ შეიძლებოდა თუთუნის მოწევა. სამაგიეროდ, სხვა დროს ისეთი ბოლი იდგა, რომ იქ მყოფ პატიმრებს პირდაპირ ახრჩობდა.

მეტად დიდ სიხარულს იწვევდა პატიმრებში ახალი ვინმეს ნახვა. მე პირდაპირ დამასუსტა აუარებელმა შეკითხვებმა. ეს თურმე დიდ გასართობად ითვლებოდა — როცა ახალი ვინმე ემატებოდა აუცილებლივ უნდა გაეგოთ მისი ამბავი.

შეკითხვათა მთელი სისტემა ჰქონდათ გამომუშავებული —

1. კომუნისტია თუ უპარტიო 2. რა ეროვნებისაა; 3. ცოლშვილიანია თუ არა; 4. სადა ცხოვრობდა; 5. სად მუშაობდა; 6. რა თანამდებობაზე; 7. სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლი წარუდგინეს 8. რა ამბავია გარედ; 9. ვინაა დაპატიმრებული პასუხისმგებელ პირთაგან; 10. რა ცვლილებაა უმაღლეს საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებში; 11. ვინ მოხსნეს, ვინ დანიშნეს, რას აბრალებენ იქსს, როდის მოხდა ეს ამბავი და სხვა, რომელიც ეხება მათ დაინტერესებულ პირს; 12. ხომ არაფერი ისმის? იქნება თუ არა ამნისტია და თუ იქნება, როგორ პატიმრებს შეეხება; 13. ხომ არ შეცვლილა უმაღლეს სასჯელის კანონი 14. იმას ხომ არ იცნობდი (ჩამოგიყოლებენ მრავალ გვარს), ან სად არის?; 15. როგორი ამინდია გარედ, ცივა, თბილა, თოვლია თუ წვიმა და სხვა; 16. ენუქიძე იცევ თავის ადგილზეა თუ არა; 17. ომის ხომ არა ისმის რა; 18. ქეიფობს ხალხი თუ არა, რას სჭამენ, როგორ არის პურის საკითხი, ხორცი, შაქარი, ხომ არ შეამცირეს ნორმები... 19. მართალია თუ არა, ვინც დაჭერილია, მათ შვილებს სკოლიდან აგდებენო; 20. როგორ მიდის კოლექტივიზაციის საქმე 21. მართალია თუ არა, რომ საცხოვრებელ ფართობს 8 კვადრატულ მეტრიდან 6 - ზე დააყენებენ; 22. ჩემი ცოლშვილი ხომ არ გამოუყრიათ ბინიდან... და სხვა და სხვა ასეთი და ამგვარი შეკითხვა. ყველა თავისი გასაჭირის მიხედვით ეკითხულობდა ასე წარმოიდგინეთ, რომ იმ დღეს საღამომდე პატიმართაგან თითქმის ნახევარზე მეტი ჩემს ახლოს ტრიალებდა და მელაპარაკებოდა.

— კარგი, კაცო! ნუ მოკალით ეს კაცი! დაანებეთ თავი! გაუშვით, ცოტა დაიძინოს — შესძახა მათ ჩემმა ნაცნობმა გიორგიმ, მაგრამ ისინი მაინც არ მეშვებოდნენ.

— ძილი ღამეც ეყოფა! მეტი რაღა საქმე ექნება! — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ.

— ძილი თორემ, მე გეტყვი. ისეთ რბილ ლოგინზე დაწვება! ამ საოხრო ფიცარზე გინდ დაიძინე, გინდ არა! გვერდები მაქვს გადატეხილებული, ჩემო ძმაო! ალეი შვილი თეფეა აქა ვგდივარ ეს მოხუცი კაცი და აღარ ვიცი, რა ვქნა ბალანდელს ჯერაც არ დაუმთავრებია ჩემი საქმე, თორემ ციხეში ყოფნა ვანდენ; იძახიან, იქ ისე არ არის, როგორც აქო, მაგრამ ვინაა გამკითხავი? სადაა პატრონი?...

1 საათზე კვლავ გაიღო კარი და შემოიტანეს ნახევარი ვედრო „სუფი“ ანუ როგორც პატიმრები ეძახდნენ: ბალანდა; და ისევ მაგრად გაიხურეს კარი; კვლავ დაიწყო ფაცა-ფუცი. დაარიგეს. რა თქმა უნდა მეც შემომთავაზეს. გიორგიმ გასხნა თავისი პატარა ჩანთა, აიღო ყველის მცირე ნაჭერი, ცოტა პური, რომელიც წინა დღეს მის ცოლს შემოუგზავნია და ერთად „ვისადილეთ“.

— ნუ ჩაფიქრებულხარ, რას იზამ, — მითხრა მან — ამ მდგომარეობის ატანა ჩემთვისაც ძნელი იყო, მაგრამ ადამიანი მალე ეჩვევა და იტანს ყველაფერს. აი, ვინ ჯდეს, როგორი სუფია, — მომიწოდა მან ჯამით და მეც ვიგემე. ... ...

ნით საკანის სტაროსტამ შომცა დასაძინებელი ადგილი გიორგის კვერდით; მართალია, ძალიან გაუჭირდათ. მაგრამ მაინც მიიწ - მოიწიეს და მეც როგორც იქმნა ჩავეტევნე.

საწოლი მთლიან ნარს წარმოადგენდა, რომელიც სამ კუთხივ კედლებთან, იატაკიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე იყო გაკეთებული. სიგრძით ნორმალურ სიმაღლის ადამიანზე ნაკლები იყო, ასე რომ მეტ ნაწილს ფეხები ნარს გარეთ ეკიდა. ხალხის სიმრავლის გამო საკანში ბეტად ცხელოდა, ამიტომ მე ჩემი მაუბოქი საბანი დაბლა დავაგე და პალტო ყოველ შემთხვევისათვის დავიტოვე ზევიდან დასაფარებლად.

— ამაღამ გემრიელად დაძინებთ, — უთხრა ჩემს გვერდით მწოლარემ გიორგის. ამ გემრიელი დაძინების მიზეზი ის ყოფილა, რომ თურმე გამომძიებელი შაბათობით, თუ მეტად საჩქარო საქმე არ იქნა. არ მუშაობს და პატიმრებსაც არ ეძახიან, ასე რომ კარების ჩხარუნი არავის შეაწუხებდა.

უკვე ყველანი ნარზე დალაგდნენ. მეც ჩავწექი. ერთ-ერთმა პატიმარმა დაიწყო ზღაპრის გაგრძელება, რომელიც წინა ღამეს შეუწყვეტია. მე ფიქრებმა შემაწუხა; ვიწექ პირაღმა, როგორც ყველანი და ვფიქრობდი ჩემს ობლად დატოვებულ ოჯახზე.

დაძინებისას გიორგიმ კვლავ გამაფრთხილა, რომ ძილი ხდება კომანდით ესე იგი: თუ გვძინავს მარცხენა გვერდზე და ვინმეს სურს გადაბრუნდეს მეორე მხარეზე, მარჯვენა გვერდზე, უნდა დაიძახოს და ყველა ერთსა და იმავე დროს უნდა გადაბრუნდეს. მერმე მეორე დაიძახებს, ისევ უნდა გადმობრუნდე; მერმე ვინმე დაიძახებს — პირაღმა! — და ასე, მთელი ღამე ძილი ხდებოდა კომანდით.— ამასთან ტანის დაფხანა, თუ რამემ შეგაწუხა, შეუძლებელია, რადგან კაცი ისეა ჩაჭედილი რომ აღარ ძალუძს ხელის განძრევა. ამ ტანჯვაში, როგორც იქმნა, ჩამძინებოდა. მახსოვს: ღამე რამოდენჯერმე გადამაბრუნ - გადმომაბრუნეს, მაგრამ ბოლოს გამომეღვიძა, რადგან ვიგრძნე, რომ ტანზე რაღაცეები დაღოღავდნენ და ისე, რომ შეუძლებელი გახდა განმეგრძო ძილი. როგორც იქმნა, გამოვძვერ ჩაჭედილ ადგილიდან და ჩამოვჯექ. დილამდე ვერ მოვისვენე, ისე მაწუხებდნენ. მკბენდნენ კიდეც, მაგრამ იმ მბჟუტავმა ლამფამ ვერაფერი ვერ დამანახვა. როგორც იქმნა გათენდა. გიორგის გაუკვირდა, რომ არ მეძინა. მე ვუამბე მიზეზი და თანაც ვუთხარი — მეტად ბევრი ბაღლინჯო გყოლიათ! მას ჩაეცინა. გამაძრობინა პერანგი და... ღმერთო ჩემო! ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ახლაც თავზარი მეცემა, რომ მომაგონდება ის ამბავი. აუარებელი ტილი მყავდა დასეული... დაფუსფუსებდნენ. მე შიშისაგან ხელიდან გავაგდი პერანგი. პატიმრებმა სიცილი ასტეხეს.

— არაფერია ძია! შეგიჩვევიან! ალბათ უკვირთ, რომ სხვის ტანზე აღმოჩდნენ ჩვენთან შეჩვეული არიან და აღარ გეკბენენ....

ჩემი შავი დრაფის პალტოზე ტილები ისე იყვნენ მოფენილი, თითქოს ზედ რაღაც განგებ მიუყრიათო. შევიჭეროდი გაკვირვებით გიორგის და კინაღამ ბავშვივით ტირილი დავიწყე. გიორგიმ მითხრა — აგერ ის პატიმარი (მიჩვენა პირდაპირ ნარზე ვიღაც ახალგაზრდა) ხოკაის თითოს ერთ კაპიკად და თუ გინდა მას მიეკიო! მე ვთხოვე გიორგის ითქვა იმ ახალგაზრდისათვის და მივეცი მას ჩემი ტანსაცმელი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მან დამიბრუნა და მთხოვა გასამრჯელო. თანახმად რიცხვისა, სამი მანეთი. ამ რიგად ჩემმა ტანმა თითქოს ცოტათი მოისვენა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ცოტა ხნით....

(გაგრძელება იქნება)

მიხაკო თბილისელი

წიგნთა - გაკითხვა

SANDRO NEBLO — Sacred Earth. Hollywood, 1948.

თუ ერისათვის ვინმეს შეუძლია დიდი პროპაგანდის გაწევა, — ეს არის მწერალი, პოეტი თუ პროზაისტი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს პროზაისტთან, რომელიც დიდი ხანია ამერიკაში მოღვაწეობს. ეს გახლავთ სანდრო ნებლო.

ზემოდასახელებული წიგნი „წმიდა მიწა" უკვე მეხუთეა, რომელიც სანდრო ნებლომ დაბეჭდა.

დასახელებული მოთხრობა ემიგრაციის ცხოვრებიდან არის, და ბუნებრივია, რომ მას მხატვრული სახის გარდა პოლიტიკური სახეც ჰქონდეს. და ეს „წმიდა მიწა", რაც ამ წიგნს სათაურად აქვს, არის ის წმიდა მიწა, რომელზეც ასი ათასობით ემიგრაცია ოცნებობს — იგი არის სამშობლო!, რომელსაც თვითეული გარდახვეწილი ეძებს და თავს სწირავს. ამ მოთხრობაში აღწერილია რუსის ემგრანტის ცხოვრება, — ეს ერთ დროს დიდი მხედარი, დღეს მუშა ამერიკის ქარხანაში!

სიყვარული წმიდა მიწა სამშობლოსადმი — არის მთავარი მოტივი, რომელიც მთელ მოქმედებას საფუძვლად უძევს, და რომელიც დრამატიულად განვითარებულია და ტრაგიულად სრულდება. ემიგრანტის ფსიხოლოგია აქ მოცემულია მთელი სიმძაფრით და ისეთი სიმკვეთრით, რომელიც მხოლოდ ძლიერ კალამს შეუძლია.

იმის მიუხედავად, რომ საქმე ერთ რუს დიდ მხედარს ეხება, — მოქმედება იწყება საქართველოში, და აქ მოცემულია ქართული სურათები, ახალგაზრდობის ხანას რომ ეკუთვნის, — მხიარული და ნაირი ფერებით აღწერილი. ემიგრანტულ ფონზე გაშლილი მოქმედებით, ავტორი, სადაც კი შესაძლებელია, და შესაფერი, არ ივიწყებს საქართველოს, ქართველს, და მკითხველთ აცნობს, და მთელი ეს ტრაგიულად დასრულებული მოთხრობაც შოთა რუსთაველის ლექსით არის დამთავრებული — ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი....

მკითხველი

M. TARCHNIŠVILI — Les Récentes Découvertes Épigraphiques et Littéraire en Geórgien. Extrait du Muséon, tome LXIII, 3_4. Louvain, 1950.

წინამდებარე შრომა ეკუთვნის მამა მიხიელ თარხნიშვილს, რომელიც მან დაბეჭდა მეცნიერულ წრეებში დიდად ცნობილ კრებულში — მუზეონ. — ამ შრომაში თავმოყრი-

ლია ყველა უკანასკნელი ცნობა, რომელიც ქართულ ეპიგრაფიულსა და ლიტერატურულ ახლად აღმოჩენილ ძეგლებს შეეხება. ამ ახლად აღმოჩენილი წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ ბოლნისის ეკლესია აშენებული ყოფილა 478 — 493 წ. ამგვარად, ბოლნისის ეკლესია არის ყველაზე უძველესი კავკასიაში. ამასთანავე ეს ახლად აღმოჩენილი წარწერა გვიმტკიცებს, რომ ეს ქართული წარწერაც არის უძველესი ქრისტიანული წარწერა ქართულ ენაზე და ლინგვისტიურად მეტად ძვირფასი. მაგრამ ამ ქართულ ქრისტიანულ უუძველეს წარწერასთან ერთად აღმოჩენილი არიან აგრეთვე წარწერანი არაქრისტიანულიც, ეგრედწოდებულ არამეულ ანუ არმაზულ ენაზე, რომელნიც მეოთხე საუკუნის უწინარეს არიან. ამ წარწერებიდან სჩანს, რომ იმ ხანად ქართული ოფიციალური ენა იყო არამეული, რომელიც უკვე 493 წელში შეიცავალა ქართული წერითი ენით. მამა მიხეილ თარხნიშვილი წარწერათა ამ შეცვლას, არამეულის მაგას ხსნის ქრისტიანობის გამარჯვებით, რომელმაც ხალხური ენა გააბატონა.

შემდეგ მას მოაქვს ახლად აღმოჩენილი წარწერანი მცხეთის ჯვარის მონასტრისა (590 — 607 წწ.), რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს ეკლესია აშენებული ყოფილა სტეფანეს, ადარნასეს და დემეტრეს მიერ. აღმოუჩენიათ აგრეთვე ახალი წარწერანი რაჭაში და წყნისში (სამცხე) მეხუთე - მეექვსე საუკუნისა. უკვე გამოუქვეყნებიათ საქართველოში ე.წ. ხანმეტი მრავალთავი, მერვე საუკუნისა, და 12 ჰომელიისაგან შესდგება. აღმოუჩენიათ კიდევ ქართული ვერსია თეოდოსიისა, რომელიც მეშვიდე საუკუნის საქართველოს შესახებ ცნობებს შეიცავს. და 1946 წ. პროფ. კორ. კეკელიძეს გამოუქვეყნებია მარტვილობა ქართული, რომელიც მეექვსე -მეშვიდე საუკუნეს ეკუთვნის. და სხვა დასხ. მამა მიხეილ თარხნიშვილის მუშაობა დიდად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ქართული მეცნიერების მიღწევას დასავლეთის მეცნიერებას აცნობს და საკუთარ დასკვნებსაც აწოდებს.

ვინი

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სი ყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება..

WACHTANG ZIZISCHWILI — El Icono de Jajuli. Separata de „Archivo Español de Arte'', tomo 24, Nr. 93 año 1951, Madrid.

მეცნიერულ კვლევათა უმაღლესი საბჭო, ესპანეთის მთავრობის დაწესებულება, ინსტიტუტი დიეგო ველასკესისა, ბეჭდავს „არჩივო ესპანიო დი არტე", რომლის მე-24 წიგნში, ნომ. 93, მოთავსებულია ვახტანგ ციციშვილის გამოკვლევა ხახულის ხატის შესახებ.

ხახულის ხატი ერთი უუშესანიშნავესი ძეგლია ხელოვნების ისტორიაში მას არაერთი და ორი მკვლევარი -მეცნიერი შეხებია, და ამავე საკითხს უბრუნდება პროფ. ვახტანგ ციციშვილიც. „ეს ხატი წარმოადგენს უმაღლეს ბრწყინვალებას ქართულ ოქრომჭედლობაში. თავის მინანქართა რიცხვითა და თვისებებით იგი არის მთავარი ძეგლი ამ დარგში. მინანქარნი არიან სხვა და სხვა ხანისა და ისევე მნიშვნელოვანი, ვით პალა დ.ორო ვენეციისა"-ო, ამბობს ვ. ციციშვილი.

შემდეგ იგი აღნიშნავს სხვა და სხვა მეცნიერთა ნარკვევთ ხახულის ხატის შესახებ(რომელიც გელათის მონასტერშია), აღწერს თვით ხატს, რომლის სურათები იქვეა მოთავსებული, სხვა სურათებთან ერთად, გაარჩევს ამ ხატის წარწერას, და დაასკვნის, რომ ხახულის ხატის ხელოვნება არის წმინდა ქართული მეთერთმეტე საუკუნისა.შემდეგ იგი ეხება ხე ცხოველის საკითხს და ამ ხის კავშირს ჯვარის კულტთან, ისტორიულად მოკლედ განიხილავს ხის თაყვანებისა და ხე ცხოველის კავშირს ჯვართან, სვეტიცხოველის ამბავს, ჯვარის თაყვანების მოვლენასაც საქართველოშიც, ქრისტესა და ხე ცხოველის ურთიერთობას, და დაბას გამოსახულად ეხედავთ თვით ხახულის ხატზეო; ხახულის ხატის ფოასკვნის, რომ ყველა ამ ურთიერთობნზე არ არის რაიმე ორნამენტალური მოტივი, არამედ სიმბოლო ხისა თავისი ფოთლებითა და შტოებით გამოისახებაო.

ვ. ციციშვილის ეს ნარკვევი ახალი სიტყვაა ხახულის ხატის გამოკვლევის საკითხში და მან ამ თავისი გამოკვლევით მეცნიერებას ახალი შეხედულება მისცა. გზადაგზა ვ.ციციშვილი სხვადასხვა მეცნიერულ საკითხსაც ეხება, ოღონდ მასზე აღარ შევჩერდებით და ხელოვნების ისტორიის მოყვარულთ ვურჩევთ ამ ნარკვევს თვითონ გაეცნონ.

დიმ.

საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში

ანგორა, 1921 წელი

27 დეკემბერი 1920 წელი

23 საათზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა განსაკუთრებული ვაგონით თბილისიდან ბათუმისაკენ გავიდა ანგორაში გასამგზავრებლად. დელეგაციის შემადგენლობაა—მისი მეთაურია დამფუძნებელი კრების თავჯდომარის ამხანაგი სვიმონ გურგენის ძე მდივანი, — სამხედრო მრჩეველი — გენერალი ერისთავი; მისიის საქმეთა მწარმოებელი — არისტო ჭუმბაძე; ატაშე — მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე; — ზია-ბეი აბაშიძე; ორი ოფიცერი დავალებათათვის — ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი; ორი ჯარისკაცი — შიკრიკად. ქარცივაძე და ზია - ბეი აბაშიძე ორი დღით ადრე გაემგზავრნენ ბათუმს. ვაგონში ბევრი ნაცნობია. საგარეო სამინისტროს დაავიწყდა შიფრის გამოტანება. ერთ - ერთი სადგურიდან ვუდეპეშეთ, ბათუმს გამოეგზავნათ.

23 დეკემბერი, 1920 წ.

ჩავედით ბათუმს 15 საათზე. სასტუმრომდე მივაცილეთ ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი — ბაქირ - სამი - ბეი. იგი მოსკოვიდან ბრუნდებოდა, სადაც იგი იყო მთავრობის მთავრობის წარმომადგენელად ბოლშევიკებთან. მიეგზავნება ანგორას. მას თან ახლავს თევქით - ბეს შვილი და თემირ ბულატ დუდაროვის ძმისწული. სადგურზე ბექირ - ბეის დაუხვდა საპატივო ყარაული. ჩვენ წავედით ბათუმის ოლქის განსაკუთრებულ კომისართან, — გრიგოლ გიორგაძესთან სასადილოდ. საღამო ჟამს ქალაქში გავიფანტეთ.

29 დეკემბერი, 1920 წ.

მთელი დილით ჭუმბაძე და მე მაღაზიებში დავდიოდით. დღით სადილი გვქონდა კომისარ გიორგაძესთან. მე არ წაველ, რადგან ძმასთან დავრჩი. მთელმა დღემ გაიარა ფაცაფუცში. შევისყიდეთ სამგზავროდ დიდი მარაგი სურსათისა და ეს დაემატა თბილისიდან წამოღებულს. ბათუმიდან უნდა გავსულიყავით 18 საათზე. ვუცდიდით ავტომობილებს, რომელნიც თბილისიდან უნდა მოეტანათ. არა სჩანან. გემი გავიდა ზღვაში 20 საათზე. ბევრმა ნაცნობმა მოიყარა თავი ჩვენს გასაცილებლად. ღამით ორი რადიო - დეპეშა გავაგზავნეთ. ვაცნობებდით საგარეო სამინისტროს, კარგად ვიმგზავრეთ

და გავემგზავრეთ-თქო. მადლობას ვუძღვნიდით კომისარ გრიგოლ გიორგაძეს გულითადი მასპინძლობისათვის. ჩვენს გემს აცილებდა იტალიის ნალმოსანი აგორდატ, ალბათ ბექირ - ბეის უზრუნველსაყოფად. იტალიელები ქემალისტებთან კარგ ურთიერთობაში არიან. მოდის ჩვენთან ერთად კოლონელი ბოდრერო, რომელიც კონსტანტინოპოლს მიემგზავრება. ზღვა შვენიერია. არავითარი რყევა.

30 დეკემბერი, 1920 წ.

გათენებისას ტრაპეზუნდს მივადექით. 12 საათზე ჩვენი მისია, ბექირ - სამი - ბეი შვილით და თემურ ბულატ გავედით ქალაქში ნავებით. სანაპიროზე დაყენებულია საპატივო ყარაული. ჯარისკაცები ყოჩაღად გამოიყურებიან, კარგად არიან ჩაცმული, ხოლო ბევრს ქალამანი აქვთ ფეხებზე. ეტლით წაველით დივიზიის უფროსთან. დავრჩით იქ ნახევარი საათი. მოგვართვეს ყავა. შემდეგ წავედით სამოქალაქო გუბერნატორის სასახლეში. იქვე მოვიდა ბოლშევიკების წარმომადგენელი, მორცხვი ახალგაზრდა, რომელმაც დაინახა თუ არა საკმაოდ დიდი საზოგადოება, დაიბნა, ყოველ მხრივ თავის დაკვრით მიესალმა და გვერდზე დაჯდა. არ უთქვამთ, თუ ვინ იყო იგი, და მე მეგონა ვიღაც პატარა მოხელე, გუბერნატორთან რაღაც საქმეზე მოსული, და შეკრთა როცა უცხო საზოგადოებას დაეჯახა-თქო. ყოველ შემთხვევაში არა ვგონებდი, რომ იგი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი იყო. შემდეგ მივიდა იგი გუბერნატორთან და მიულოცა მას თურქეთის ახალი სახელმწიფოს დაარსების წლისთავი. ორი წუთი იჯდა, მერმე თავი დაუკრა ყველას, რაღაც წაილუღლუღა „ამხანაგების“ შესახებ და წავიდა თავის თარჯიმანთან ერთად. მისი წასვლის შემდეგ ყველას ღიმილი მოუვიდა და დაიწყეს ხუმრობა. 5 წუთის შემდეგ გავედით სასახლის ეზოში, სადაც დღეობის გამო ხალხი შეკრებილიყო. აქ იყვნენ ვაჟთა და ქალთა სკოლების მოწაფენი, ჯარისკაცები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მასწავლებელი ქალები ევროპიულად არიან გამოწყობილი, მაგრამ ჩადრებით რა მოდენიმე ახალგაზრდას ეცვა ძველი თურქული ეროვნული სამოსელი. ეროვნული კრების წევრი ტრაპეზუნდიდან, რომელიც იმ დროს ქალაქში იყო, სიტყვას ამბობდა თურქეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და თურქეთთან ინგლისის მეტად მტრულ დამოკიდებულებაზე. მისი ძალიან გრძელი სიტყვის შემდეგ ილაპარაკა ერთმა პატარა მოწაფე ქალმა, რომელიც თურქეთს მიესალმა. სამხედრო ორკესტრის თანგაყოლებით ხალხი დაიძრა ქალაქისაკენ. ჩვენც გავყევით მას დივიზიის უფროსის სახლამდე, სადაც ჩვენ საღილად ვიყავით მიწვეული. გვინდოდა წავსულიყავით სოლომონ მეფის საფლავის სანახავად, მაგრამ ვეღარ მოვასწარით. გემი მალე გადიოდა. დავინტერესდი, თუ სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენელნი როგორ წავიდოდნენ მეფის საფლავზე გვირგვინის დასადებლად. ამის გამო შევეკითხე ბ. როსტომაშვილს. რომელიც ყველაზე მეტად ამას სცდილობდა. მან მიპასუხა — მეფე სოლომონი ითვლება პირველ რევოლუციონერადო. ბ. როსტომაშვილი ყოფილი ანარქისტია. იგი დაბრუნდა სამშობლოში რევოლუციის შემდეგ. გაეცნო ქვეყნის მდგომარეობას, მიხვდა, ანარქისტული ქადაგება ეხლა მხოლოდ ავნებს ქვეყანასო და სოციალისტებს მიეკედლა. ასევე მოიქცნენ სხვა ანარქისტებიც, და ერთი მათი ნაწილი ეროვნულ - დემოკრატებსაც კი შეუერთდა. ეხლა იგი მიემგზავრება კონსტანტინოპოლს მომართვების სამინისტროს დავალებით. ტრაპეზუნდში გავიცანით ახალგაზრდა თურქი ოფიცერი - მფრინავი, რომელსაც საავიაციო სკოლა საფრანგეთში დაუმთავრებია. გემი დაიტვირთა საქონელით და 20 საათზე დაიძრა.

31 დეკემბერი, 1920 წ.

დილით გემი მივიდგა პატარა ქალაქის — კეროსუნდი — ნავთსადგურს. ბექირ - სამი - ბეი შვილით, სვ. მდიანი და მე გავედით ქალაქში. ნავთსადგურზე საპატივო ყარაულია. ვესტუმრეთ თვითმართველობას, სადაც ყავით გაგვიმასპინძლდნენ. ქალაქის მოურავმა გვიხოვა სადილად დავრჩენილიყავით. მაგრამ უარი ვუთხარით, რადგან გემი მალე წავიდოდა. იქ იყვნენ წარმომადგენელნი ადგილობრივი მოსახლეობისა, სხვათა შორის მოლა და ბერძენი მღვდელი. გავიარეთ ქალაქში და დავბრუნდით გემზე. გემს ტვირთავდნენ პატარა კაკალით, რომლითაც ეს მხარე ცნობილია. საღამოს მივუახლოვდით ქალაქ ორდას, რომელიც საკმაო ლამაზად გამოიყურება.. ნაპირზე არ გადავსულვართ. ვეგებებით ახალ წელს. იყო ჩვენი მისია, რამოდენიმე ამერიკელი დედაკაცი და მამაკაცი, რომელნიც სომხეთიდან მოდიოდნენ. სხვათა შორის: მათ სომხეთი სრულებით არ მოსწონებიათ. იყო, რასაკვირველია, ბექირ - ბეი, შევქეთ და ბოდრერო, და კიდევ ორი იტალიელი, რომელნიც პიანოზე დასაკრავად მივიწვიეთ. ერთი მათგანი აღმოჩნდა გემის დალაქი. მაგრამ მათ, ორივეს შესანიშნავად ეჭირათ თავი. კოლონელ ბოდრერომ ასწია ჭიქა და ადღეგრძელა იტალიის მეფე, მერმე თურქეთი და საქართველო. ბექირ - ბეიმ მიგვიწვია ყველა, შემდეგი ახალი წლისათვის — ჩემს სახლში, კონსტანტინოპოლში შევხვდითო! გენერალი ერისთავი, როსტომაშვილი და მე სამ საათამდე დავრჩით თამბაქოს მოსაწევ ოთახში. როსტომაშვილი მოგვითხრობდა, თუ როგორ ეჯდა იგი ციმბირის ერთერთ ციხეში. მარტოდ საკანში. ოთახის კედლები, ხმის მოსპობისათვის, ნაბდით იყო გაკრულიო, და მხოლოდ მერვე თვეზე შემთხვევით გავიგე მსოფლიო ომის დაწყებაო.

1 იანვარი, 1921 წ.

ათ საათზე გადავედით სამსუნში. ჩვენი სასტუმროდან წაველი კოლონელ ბოდრეროსთან ერთად იტალიის არა - ოფიციალურ წარმომადგენელ, გრაფ სმეკერთან .მას ვთხოვე გაეგზავნა დეპეშა იტალიური სამიმოსვლო საზოგადოებისათვის, რათა ბათუმიდან ავტომობილთა გამოგზავნა დაეჩქარებინათ. აქვე, ამავე სასტუმროში ცხოვრობს ბოლშევიკური მისია, რომელიც ანგორას მიდის. მისი მეთაურია აფხაზი — ეშბა. უცნაური მდგომარეობაა. ბოლშევიკები ქემალისტების მოკავშირენი არიან, მაგრამ მათ თურქები პატივით არ ეპყრობიან. ხმა იყო, თითქო უნდოდათ მათთვის ავტომობილის წართმევა, მაგრამ ბექირ - ბეის მოსვლამ უშველაო. მათ ყველგან დაბრკოლებებს უქმნიან. ბექირ ბეი მუდმივ ჩვენთან ზის სალონში, სადაც უშვებენ ან მის, ან ჩვენ ხალხს მხოლოდ. ჩვენს შორის საუკეთესო განწყობილებაა. ბოლშევიკები თავის ოთახებში სხედან და მხოლოდ სასადილოდ მოდიან საერთო დარბაზში. ყველას მათ ბლუზა აცვია და ძველებური ფრენჩი. გვერდზე ჰკიდიათ მაუზერი ან სხვა დიდი რევოლვერი.

ჩვენ საკავშროდ დაგვინიშნეს ლეიტენანტი სეფარ - ბეი.

ნასადილევს გენერალმა ერისთავმა და მე ქალაქში გავიარეთ. შეველედით რეჟის (სახელმწიფო მონოპოლ-

ის) თამბაქოს ქარხანაში. ქარხნის დირექტორი არის თურქეთის ეროვნული ყრილობის წევრი, მაგრამ ვერ შეგუებია ანგორის სასტიკ ჰავას და ამიტომ აქ დაუნიშნავთ თანამდებობაზე. დღისით ემუხვარმა მიიღო წერილი ეშბასაგან. იგი სთხოვს შეხვედრას თავის ოთახში. მათ დიდ ხანს ილაპარაკეს. ეშბამ მონაწილეობა მიიღო სოხუმში ემუხვარის ძმის მკვლელობაში, და ალბათ, ეხლა თავს იმართლებდა.

რადგან ოთახები არა გვყოფნის, ქარცივაძეს, ემუხვარს და მე გვძინავს მისაღებ ოთახში, საველე საწოლებზე.

2 იანვარი, 1921 წ.

დილით ვიყავით სადარბაზოდ სამოქალაქო გუბერნატორთან. შინ დავრჩი ანგორასაკენ გზის შესასწავლად. ნასადილევს სვიმონ მდივანი, გენერალი ერისთავი და მე წაველით სადარბაზოდ დივიზიის უფროსთან. კარგი შეხვედრა გვქონდა. იგი ევროპიულად განათლებული კაცია და საინტერესოდ მსჯელობს. აქ სამხედრო პირებს კიდევ აქვთ პაგონები, მაშინ როცა კავკასიაში მყოფი ოფიცრები და ჯარისკაცები მხოლოდ წითელი მატერიის ზოლებს ატარებენ მკლავზე. ტრაპეზუნდში და კერესუნდში მხოლოდ ჟანდარმები და პოლიცია ატარებდა პაგონებს და სამხედროებს არავითარი გამარჩეველი ნიშანი არა ჰქონდათ. აწესებენ ახალ ფორმას, რომლითაც ხარისხი და სახე იარაღისა აღნიშნული იქნება საყელოზე.

დივიზიის მეთაურის შემდეგ ჩვენ ვეახელით ქალაქის მოურავს, აქაურად — ბალადიეს. იქ არიან ნახევრად კულტურული თურქები, რომელთაგან ერთი მეტად დამტვრეულ ფრანგულს ლაპარაკობს. სვიმონ მდივანმა, რომელიც საქალაქო საქმეებში ყოფილი მოღვაწეა, საკმაოდ გაჭიანურა ბაასი საქალაქო მეურნეობის შესახებ. მან, სხვათა შორის სთქვა : დაკისრებული მაქვს არა მარტო პოლიტიკური მიზანი, არამედ ოსმალეთის ყოველმხრივი შესწავლაცა.

დილით ქალაქის მოურავი სადარბაზოდ გვეწვია. და საღამოსათვის ჩაიზე დაგვპატიჟა. წაველით გენერალი ერისთავი და მე. იქ იყვნენ წარმომადგენელი არა - რიცხოვანი ევროპიული კოლონიისა, და სხვათა შორის, ორი ამერიკელი ქალი, ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტიდან. სიტყვა შეეხო ფრანგული სკოლების დახურვას, რომელიც სამი დღის წინად მოხდა. როგორც მერმე ბექირ - სემი - ბეიმ აგვიხსნა, ეს ზომა მიიღეს თურქებმა იმ რეპრესიების საპასუხოდ, რომელსაც ფრანგებმა მიმართეს, მგონია, სირიაში. ერთი ამერიკელი, რომელიც აქ დიდი ხანია ცხოვრობს, გვიამბობს, რომ ბოლშევიკების ქადაგებას ადგილობრივ მოსახლეობაში მნიშვნელოვანი გასავალი აქვსო. მას ედავება ფრანგი-ლევანტინელი და ამტკიცებს, ბოლშევიკებს აქ არავითარი გავლენა არა აქვთო. ამ უკანასკნელს უფრო ვუჯერებ. ოსმალეთი მდიდარია. ყველაფრის შოვნა შეიძლება. ადგილობრივ მცხოვრებთათვის სიძვირემ იმატა მხოლოდ ათჯერ ასერომ ნიადაგი ბოლშევიზმისათვის ჯერ საკმაოდ მომზადებული არაა. ჩვენ, მართალია, ვალუტის ცუდად დახურდავების გამო ცხოვრება ძვირი გვიჯდება, ყველაფერი ათჯერ მეტი ღირს, ვიდრე თბილისში.

საღამოს შევქეთ - ბეი, ემუხვარი და მე წაველით სინემატოგრაფში, — უბადრუკი რამეა, ძველისძველი სურათებით.

(გაგრძელება შემდეგ)

დ. შალიკაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ თქვენ პატივცემულ კრებულში ადგილი დამითმოთ, რათა შემდეგი განმარტებით ვაცნობო ზოგიერთ პირთ, რომელნიც სხვისი ჩაძახილით, ან გაგონებით უნებლიედ ჭორებს ავრცელებენ და შურისძიებას ჰბადავენ, ისეც განერვიანებულ საზოგადოებაში.

ჩემი სტუდენტობის დროს, ჩემი ნათლია თავადი შერვაშიძე, რომელიც მეფე ნიკოლოზ მეორის სასახლის გამგე იყო, მე სასწავლებლად მეხმარებოდა.

ვინაიდან მე ციხეში 5 წ. და 3 თვე ნაჯდომი ვიყავი, რომ ამ ჩემს პოლიტიკურს სასჯელს თავად შერვაშიძესათვის ზიანი არ მიეყენებინა, ამ დახმარებას იგი მე, პარიზის საკონსულოში მიგზავნიდა და არა კერძო მისამართით.

როდესაც კომუნისტებმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს და ჩემი ასეთი დამოკიდებულება საკონსულოსთან გაიგეს — დიდ გამოძიებას არ შეუდგნენ და საეჭვო პირად მაღიარეს. მე რომ ეს გავიგე, წერილობითი პროტესტი განუცხადე მაშინდელ საკონსულოს მოხელეებს, მაგრამ მათ მოსკოვზე მიმითითეს — იქ უნდა გამოიძიოთო! ვის შეეძლო მაშინ მოსკოვში გამოძიება? ასე დარჩა ეს საქმე.

ამ ომის დროს მე რუსეთში ვიყავი. ქალაქ პიატიგორსკში მე ჩემი ძმისწული ვნახე. დავაბარე, ყოველ მიზეზს გარეშე, ეს საქმე გამოარკვიეთ და შემატყობინეთ-მეთქი. რამდენი წვალება და გაჭირება იყო საჭირო ამგვარი საკითხის გამოძიებისათვის? ბოლოს და ბოლოს კომუნისტებმა მოწმობა მისცეს, სადაც სხვათა შორის სწერია — დიახ, მართალია ალ. დემეტრაშვილი ბურჟუა შერვაშიძესაგან იღებდა ფულს პარიზის საკონსულოს შუამდგომლობით, მაგრამ ამ საქმის ამოქექვა ჩვენ არ გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ა. დ. დემეტრაშვილი ჩვენი პარტიის წევრი თავის დღეში არ ყოფილა და მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნისო.

მე უფრო ნაკლებად მაინტერესებს კომუნისტების აზრი ჩემზე, და თუ ამ საქმეს ვუბრუნდები 34 წლის შემდეგ, — ეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს და, ნამეტნავად, ჩემ არა კეთილ მსურველებისთვის.

ამას გარდა სოციალ.-რევოლუციონერ. კომიტეტის წევრი ლუნკევიჩი კიდევ ამგვარად მიმოწმებს: „ამხანაგო ა. დ. ჩვენ თავის დღეში თქვენ საეჭვო პირად არ გვიღიარებიხართ, და თუ კომუნისტებმა რაიმე დაგწამეს — ეს არ გამიკვირდება, ვინაიდან მათ ჩვენ საუკეთესო პირები დაგვიხვრიტეს, და ამის გაშუქება კი დღევანდელ პირობებში არ შეგვიძლია. ყოველ ამხანაგს მოეთხოვება თქვენდამი ორკეცი პატივისცემა ამგვარი უსამართლო ეჭვიანობისათვის; თუ ვინ არიან კომუნისტები — ვიცით და ყურადღების ღირსნიც კი არ არიან, თქვენც ასე მოიქეცით“-ო.

თუ ამის შემდეგ კიდევ ვისმე ეხერხება ჭორების გავრცელება — ასეთი პირი, მართლა რომ გათახსირებული პირი უნდა იყვეს და სხვა რამე უნდა აღორძიანებდეს მას.

პატივისცემით **ა. დემეტრაშვილი**

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა...

Impr. ''La Voz'', Defensa 828, Bs. As.